

1239
2006



საქართველოს იკლომთეპე



№1 2006

ISSN 1512-0880

საბიბლიოთეკო კვირეული



მიმდინარე წელს საბიბლიოთეკო კვირეულის ჩაგარება დაგეგმილია 28 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით!

მოეუწოდებთ ყველა ბიბლიოთეკას, რომელ გიჟსა და უწყებას არ უნდა განეკუთვნებოდეს, აქტიურად გამოეხმაუროს ამ ღონისძიებას, ჩაებას საბიბლიოთეკო საქმის პოპულარიზაციაში, იზრუნოს, რამდენადაც შეიძლება, მეგაღ მოიზიდოს საზოგადოება, გააძლიეროს მომხმარებლებთან კონტაქტები, ხელი შეუწყოს საბიბლიოთეკო რესურსების ფართოდ გამომზეურებასა და მათზე მოთხოვნილების გაზრდას.

ყოველი ბიბლიოთეკა ხალხის საკუთრებაა! ის ეკუთვნის ჩვენს ნორჩ თაობას, ჩვენს ახალგაზრდებს, ყველა ასაკის ადამიანს, ის ჩვენი ყველა ოჯახის კუთვნილებაა. სწორედ ამიტომაც საბიბლიოთეკო კვირეულის ღვეიზად იქცა მთარული გამოთქმა – „ყველა ბიბლიოთეკა ჩემი ბიბლიოთეკაა!“

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ჟურნალის რედაქცია


ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და
კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-
კოორდინატორი

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გულიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82

ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

საქართველოს ბიბლიოთეკა № 1 – 06

შინაარსი

ბიბლიოთეკა – მორალური ფასეულობა	4
საბიბლიოთეკო ასოციაციაში	
2000-2005 წლებში ასოციაციის მიერ და მისი მონაწილეობით განხორციელებული პროექტები	7
საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები 2006 წლისათვის	9
საბიბლიოთეკო მენეჯმენტი	
ცისანა წერეთელი – ბიბლიოთეკარის პროფესიული ეტიკა	11
ზუმრედ გოდერძიშვილი – საბიბლიოთეკო სემინარების მნიშვნელობის შესახებ	17
ისტორიის ფურცლებიდან	
სოფიო ღონდაძე, ნინელი მელქაძე, თამარ გომიძე, ნანა წერეთელი – სასწავლებლების ბიბლიოთეკები ძველ ჩინეთში	19
ლალი ყაულაშვილი – პედაგოგიური წიგნის გამოცემა XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში	21
ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი	24
მამულიშვილები	
დარეჯან კოტეგიშვილი, სოფიო არჩვაძე – ილია ჭავჭავაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა	30
ავთანდილ დიასამიძე – გრიგოლ გურიელის პირადი ბიბლიოთეკა	33
ჩვენი ბიბლიოთეკები: წარსული და აწმყო	
მარიამ გონაშვილი – ძნელად გასარკვევეი პერსპექტივა	41
ლია ქუთათელაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა	43
გამოცდილების გაზიარება	
მაია სულთანაშვილი – მარად აქტუალური თემა	45
საბიბლიოთეკო კონტაქტები	
დარეჯან კოტეგიშვილი, მზია გოგონიძე – შეხვედრა კონფლიქტის ზონაში	48
პროფესიონალი გვირგვინი	
მალხაზ ზაალიშვილი – ნიგრიტები ადამიანის სიცოცხლისათვის და მათი გამოყენება ბიბლიოთეკაში	49
პროფესია და პროფესიონალები	
გული კირცხალია – წიგნისა და ყვავილების საუფლო	52
კორესპონდენციები	
მაკა ლეჟავა – ვაჩუქოთ ბავშვებს – სიხარული...	54
მელა შიუკაშვილი – მუზათა საუფლოში	56
შეხვედრა ოგია იოსელიანთან	58
ცისანა ქოჩეჩაშვილი – ბიბლიოთეკის ფასი: შენ უნდა იყო ის მოყმე	60
ჩვენი დარგის სახელოვანი მოღვაწენი	
ირინა გოგლიძე – თამარ თოთიბაძე – 110	62
მკითხველები გვწერენ	
მზია გარაშვილი-ფიფია – მივესალმები ჩვენს ჟურნალს	64
რევიუ	
იური მგალობლიშვილი – კინოკლასიკის პოეტური რეალიზმი	65
ბიბლიოგრაფიული ესკიზი	
ნანა ფირცხალავა – აკადემიკოს ევგენი ხარაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად	68
ინფორმაცია	
დაუვიწყარ პიროვნებათა გამომსახველი შტრიხები	71
ინდოელი მწერლის ნაწარმოები ქართულად	71
მზია რამზაძე – სტუმრად თურქ კოლეგებთან	72
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	73
საცნობოდ საკითხავი	
ქება წიგნისა	75
ნეკროლოგი	
ხსოვნა	76

Библиотека Грузии, № 1-06

Содержание

Библиотека – моральная ценность	4
В библиотечной ассоциации	
Проекты 2000-2005 г.г., осуществленные ассоциацией и при ее участии	7
Стратегические направления библиотечной ассоциации в 2006 году	9
Библиотечный менеджмент	
Цисана Церетели – Проффессиональная этика библиотекаря (продолжения)	11
Зумруд Годердзишвили – О значении библиотечных семинаров	17
Страницы истории	
Софио Гонгадзе и др. – Учебные библиотеки в древнем Китае	19
Лали Каулашвили – Издание педагогической книги в Грузии в конце XX и начале XXI веков	21
Нинель Мелкадзе, Александр Лория – К истории МБА в национальной библиотеке Грузии	24
Сыны отечества	
Дареджан Котетишвили, Софио Арчвадзе – Культурно-просветительская деятельность Ильи Чавчавадзе	30
Авандил Диасамидзе – Личная библиотека Григола Гურიели	33
Наши библиотекари: прошлое и настоящее	
Мариам Гонашвили – Трудно определяющаяся перспектива	41
Лия Кутателадзе – Научная библиотека Тбилисского государственного медицинского университета	43
Обмен опытом	
Майя Султанишвили – Вечно актуальная тема	45
Библиотечные контакты	
Дареджан Котетишвили, Мзия Тогонидзе – Встреча в зоне конфликта	48
Беседует профессионал	
Малхаз Заалишвили – Нитриты для жизни человека и их применение в библиотеке	49
Профессия и профессионал	
Гули Кирцхалия – Царство книг и цветов	52
Корреспонденция	
Мака Лежава – Детям – радость	54
Медя Шиукашвили – В царстве муз	56
Встреча с Отиа Иоселиани	58
Цисана Кочечашвили – Цена библиотеки: ты должен быть тем рыцарем	60
Известные деятели нашей отрасли	
Ирина Гоглидзе – Тамара Тотибадзе – 110	62
Нам пишут читатели	
Мзия Гарашвили – Читатели – нашему журналу	64
Ревю	
Юрий Мгалоблишвили – Поэтический реализм – классики кино	65
Библиографические эскизы	
Нана Пирцхалава – О бессмертии имени академика Евгения Харадзе	68
Информация	
Штрихи незабываемых личностей	71
Произведения индийского писателя на грузинском языке	71
Мзия Размадзе – В гостях у турецких коллег	72
Хроника библиотечной жизни: события, факты	73
Чтения для любознательных	
Хвала Книге	75
Некролог	
Память	76

Georgian Library № 1-06

Table of Contents:

Library – A Moral value	4
In The Library Association	
The projects implemented by and via Library Association – 2000-2005.	7
Strategic directions of the Library Association for 2006.	9
Library Management	
Tsisana Tsereteli – Librarian’s professional ethics (continued)	11
Zumrud Goderdzishvili – About the importance of library seminars	17
From the history pages	
Sofio Ghongadze et all. – Educational libraries in an Ancient China	19
Lali Kaulashvili – Publication of pedagogy books at the end of 20-th century and at the beginning of 21- st century	21
Ninel Melkadze, Alexandre Loria – Interlibrary loan of National Library: Historical aspects	24
The sons of Fatherland (Patriots)	
Daredzan Kotetishvili, Sofio Archvadze – Cultural and educational work of Ilia Chavchavadze	30
Avtandil Diasamidze – The private library of Grigol Gurieli	33
Our libraries: perfect and present	
Mariam Goniashvili – Hardly defined prospective	41
Lia Kutateladze – Scientific Library of Tbilisi State Medical Institute	43
Sharing experience	
Maia Sultanishvili – Ever essential topic	45
Library contacts	
Daredzan Kotetishvili, Mzia Togonidze – Meeting in a zone of the political conflict	48
Professional’s Advice	
Malkhaz Zaalishvili – Nitrates for the human life and their use in libraries	49
Profession and professionals	
Guli Kirtskhalia – The land of book and flowers	52
Correspondences	
Maka Lezhava – Joy to children	54
Medea Shiukashvili – In a realm of muses	56
Medea Shiukashvili – Meeting With Otia Ioseliani	58
Tsisana Kochechashvili – Library’s value: You should be that young man	60
Distinguished workers of our field	
Irine Goglidze – Tamar Totibadze – 110	62
Letters	
Mzia Garashvili – From the readers of our Journal	64
Review	
Iuri Mgaloblishvili – Lyrical realism of classical movies	65
The Bibliographic sketch	
Nana Pirskhalava – For the eternity of the academician Evgeni Kharadze	68
Information	
The strokes of unforgettable people	71
The work of Indian writer in Georgian	71
Mzia Razmadze – Visiting Turkish colleagues	72
The Chronicle Of Library Life: Events, facts	73
Reference reading	
Praising the book	75
Obituary	
Memory	76

ბიბლიოთეკა – მოკალუკი ფასეულობა

მორალი ლათინური სიგყვაა და ადა-
თებს, მნე-ჩვეულებებს, საქციელს
ნიშავს. როგორც თითქმის ყველა
ძველი ცნება, ღროთა განმავლო-
ბაში მისი გაგებაც უფრო მოცულო-
ბითი და გევადი გახდა, მაგრამ მისი არსი და,
რაც მთავარია, მნიშვნელობა საკმაოდ ურყევი
აღმოჩნდა. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს
როგორც ერთი, ისე რამდენიმე პიროვნების,
მასისა თუ მთელი ერისა და კაცობრიობის მი-
მართ. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის ჩვენი
ერისათვის, მეგყველებს საყოველთაოდ აღი-
არებული დებულება – მორალური ნორმების
მიხედვით მოქმედება განპირობებულია ფიზი-
კური არსებობის შენარჩუნების ინგერესით
(ქსე). მაშასადამე, უაღრესად მნიშვნელოვანია,
ქვეყანა როგორ იცავს თავის მორალურ საფუ-
ძვლებს, რამდენად მგკიცე და პრინციპულია
მისი პომიციი ამ თვალსაზრისით.

რა აყალიბებს სამოგალოების მორალს? რა
ქმნის მას? – უპირველეს ყოვლისა, ის სული-
ერი ფასეულობანი, რომელსაც ის ფლობს –
იცავს, ავითარებს, ქმნის. მორალი სამოგალო-
ებრივი ცნობიერებისა და სულიერი კულტურის
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. ის წარ-
მოადგენს იდეალების, მისწრაფებების, გრძნო-
ბების, შეხედულებების, პრინციპებისა და ნორ-
მების სისგემას, არეგულირებს სამოგალოების
ურთიერთობას. ის არის ქცევის კანონზომიერი
საფუძველი, რომელსაც ადამიანი საკუთარი
შეგნებით ემოჩიელება. აქ მთავარია შინაგანი
რწმენა და არა ძალდაგანება, მაგრამ სამოგა-
ლოებაში ვლინდება როგორც სათნობა, ისე
მანკიერება. მორალი, როგორც სამოგალოების
ფიზიკური არსებობის პირობა, აიძულებს ამ სა-
ზოგალოებას, იბრძოლოს მანკიერების წინა-

აღმდეგ არსებული კანონიერი ფორმებით, გა-
ნასხვავოს ერთმანეთისაგან უანგარო და ანგა-
რებიანი მოგივები. როგორადაც არ უნდა იყოს,
მორალი არ შეიძლება ითვალისწინებდეს მხო-
ლოდ ვიწრო, შემზღულ, ჯგუფურ ინგერე-
სებს, მორალის საფუძველი მოგადასაკაცობრიო
სულიერი სამყაროს ფარგლებში განიხილება.

მორალის ჩამოყალიბება ადამიანის წარმო-
შობისთანავე ხდება. იგი ადამიანის ისეთივე
სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანია, რო-
გორც ამროვნება და მეგყველება. იმის მიხე-
დვით, თუ რა გმითა და მიმართულებით წარი-
მართება, ის ადამიანის თვითრეფლექსად
იქცევა და მისი სინდისის განმსაზღვრელად მო-
გვევლინება.

მორალში გამოიხატება ადამიანის უზოგა-
დესი დანიშნულება, რაც გულისხმობს მისი შე-
მოქმედებითი უნარის გაშლას, განვითარებასა
და თვითრეალიზაციას. მხოლოდ მისი მეშვე-
ობით შეიძლება ადამიანს საკუთარი მოვალე-
ობის განცდა დაეუფლოს.

როგორც ვხედავთ, მორალი არის ის, რაც
გამოარჩევს ადამიანს ქვეყნის სხვა ბინად-
რთაგან, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რისკენაა
მიმართული, რამდენად მაღალმოქალაქეობ-
რივი და ჰუმანურია, ეს უკვე განსაზღვრავს მის
ხარისხსა და ღონეს. ამაზე კი თავიდან ბოლო-
მდე დამოკიდებულია ის, როგორ შეინარჩუ-
ნებს სამოგალოება, ხალხი, ერი თუ პიროვნე-
ბები ფიზიკურ არსებობას.

ცნობილია, რომ არსებობის პირობას წარ-
მოადგენს, ერთი მხრივ, საარსებო საშუალებე-
ბი, მეორე მხრივ, მორალი – მთელი მათი
აგრნობუგებითა და განშგოებებით.

მორალის ჩამოყალიბება, განვითარება, მა-
რთვა მთლიანად სამოგალოებაზე დამოკიდე-

ბული, რა თქმა უნდა, არსებული ფიზიკური პირობების გათვალისწინებით. სამოგადოებაში ჩამოყალიბებული სოციალური გარემო, შეიძლება ითქვას, წარმოშობს და ადგენს მორალს. ამდენად, სრულებითაც არ არის უსაფუძვლო, თუ ვიცვით, რომ მორალი და სოციალური გარემო ურთიერთშენივთებულნი არიან. სოციალური პირობები მორალის სიმყარესა თუ სიმყიფეს იწვევს, და ამიგომაც სამოგადოება, ხალხი, ერთი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, შეურყვნელად შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი მორალი. ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ის სულიერი ფასეულობანი, რომლებსაც კაცობრიობა ქმნის და, ესა თუ ის სამოგადოება ითვისებს რა მას, თავის გრადიციულად გამყარებულ მორალურ ნორმებსა და კანონებს უხამებს.

მორალი მთელი გარემო პირობების ნაყოფია, რომელიც როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სამყაროსაგან შედგება. სულიერი სამყარო ის ქვაკუთხედი, რომელზედაც აშენებულია მორალის მთელი შენობა – მისი სტრუქტურა და არქიტექტონიკა; სულიერი სამყარო იმ ფასეულობებისაგან შედგება, რასაც ადამიანი ქმნის – ფიზიკური თუ გონებრივი პროდუქტის სახით, რომელიც საყოველთაო მორალის გამომხატველია. სულიერი ქცევის ერთ-ერთ პროდუქტს დამწერლობა წარმოადგენს – თუ რამ შექმნილა მისი მეშვეობით, ყველაფერი სულიერ საუნჯედ ითვლება, მით უმეტეს, როდესაც ის ადამიანის მიერ არის დაუნჯებული, მოვლილი და დაცული. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, წიგნი – მისი კონკრეტული თუ უზოგადესი გაგებით.

წიგნი კაცობრიობის სულიერი განძია, მორალის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფუნდამენტი. ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული, მორალურ კატეგორიებთან პირდაპირ ურთიერთმიმართებაშია – წიგნის შექმნა, დამუშავება, გამოცემა-გამრავლება, გაფორმება, კითხვის მართვა, გავრცელება, კომერცია, დაცვა... ამიგომაც ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძი-

რითადესი მოქმედი ძალაა, რომელიც მორალს აგებს და აშენებს, როგორც სისტემას; იგი ამ სისტემის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც ორგანულადაა შენივთებული ამ სისტემის სხვა ნაწილებთან.

ბიბლიოთეკა, მას შემდეგ, რაც მან მომსახურების ფუნქციები შეიძინა, არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ წიგნების ორგანიზებულ ნაერთს, თუმცა მხოლოდ ეს რომ იყოს, ის მაინც განიხილება როგორც სულიერი ფასეულობის ობიექტი. წიგნების ყოველგვარი თავშეყრა თავისთავად სულიერი სიმდიდრეა როგორც პიროვნების, ისე ერის, ხალხის, სამოგადოებისა, თუმცა მას არც უგილიგარული ღირსება აკლია, მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკი ბიბლიოთეკაზეა, სადაც წიგნები დაცულია როგორც სულიერი ფასეულობა, ისე მაგერიალური ღირსებით. ამას გარდა, ბიბლიოთეკა წარმოადგენს მორალური მემოქმედების, სამოგადოების განვითარების, ესთეტიკური აღზრდის, განათლების, კულტურული ჩვევების დანერგვის, მეცნიერულ-გეგმიკური პროგრესის, ინტელექტუალური მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სამოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებას. ბიბლიოთეკა ღღეს არის სამოქალაქო სამოგადოების ჩამოყალიბების აქტიური მემოქმედი, ადამიანურ ურთიერთობათა ორგანიზატორი, სოციალური ინსტიტუტების საყრდენი ინსტრუმენტი.

ამის უგულებელყოფა ან, უკეთ რომ ვთქვათ, დაუნახაობა, იწვევს იმგვარ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებსაც ღიდი ზიანის მოგანა შეუძლია სამოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის გაუბრალოებული გაგება, მით უმეტეს, მის მიმართ სალიკვიდაციო მოქმედება. როცა სოფლებში, სკოლებში, საერთოდ, უარყოფენ ბიბლიოთეკების არსებობის აუცილებლობას და აუქმებენ მათ, ღიდი ზიანს აყენებს ეროვნულ-მორალურ გრადიციებსა და სამოგადოების ინტელექტუალურ-ესთეტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას. ეს რომ კეთდებოდეს სახსრების უქონლობის გამო და არა პრინციპე-

ბიდან გამომდინარე, კიდევ არა უშავს, მას დროებითი ხასიათი ექნებოდა, მაგრამ როდესაც ყოველივე ეს პოლიტიკად იქცევა, როდესაც ეს მანე სგრაგეგიული გეგმიდან გამომდინარეობს და მორალურ-ეთიკური ნორმები უღვეს ამას საფუძვლად, ეს უკვე საშიშია და, ამდენად, მიუღებელი.

თითქოს სხვა საკითხია, მაგრამ მორალურ კატეგორიებთან ახლოსაა ბიბლიოთეკების ფონდების განიავების საქმე, რაც ყოველად უპასუხისმგებლოდ ხდება ჩვენში ამჟამად. ეს არა მარტო მაგერიალური გარალია, არამედ სულიერიც, საზოგადოება გულგრილ დამოკიდებულებას ეჩვევა წიგნობრივი ფონდების მიმართ, უმუშავდება ნიჰილიზმი, უღარდებლობა. ეს კი, ცხადია, მანე მეგავლენას ახდენს ადამიანებზე.

აუქმებენ ბიბლიოთეკებს, ხდება მათი ლიკვიდაცია, მაგრამ ვითომ აქ არაფერი, საზოგადოება დუმს. აბა, ვის აინგერესებს, სად მიდის დაკეტილი ბიბლიოთეკის ფონდები, ვინაა მათი განიავებისთვის დამნაშავე, ან ვინ იღებს პასუხისმგებლობას მათ დაცვაზე? აქ სრული ქაოსია. არ არის კანონქვემდებარე აქტები. ვინც როგორ თვლის საჭიროდ, ისე მოქმედებს, საბიბლიოთეკო კანონს კი ზოგჯერ არად დაგიღვენ. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება ყველა თვალსაზრისით ვნებს საზოგადოებას – მაგერიალურად თუ მორალურად.

საეჭვოა, ამგვარ ვითარებას დავაღწიოთ თავი, თუ მთელმა საზოგადოებამ არ აიმაღლა ხმა. ლაპარაკი არაა რაიმე რეფორმების უგულებელყოფაზე, ქსელის მოწესრიგებისათვის ბიბლიოთეკების შეკვეცაზე, გაერთიანება-გამსხვილებასა და ამგვარ ღონისძიებებზე. საქმე ეხება საბიბლიოთეკო საქმისადმი ერთგვარ აგდებულ დამოკიდებულებას, საერთოდ, ბიბლიოთეკების უგულებელყოფას, მათი შევიწროებისა და ხელისუფლების მიერ ხელის აღებას. სამწუხაროდ, ბევრგან საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე დამანგრეველ გავლენას ახდენენ ადამიანები, რომლებიც რომელიმე კუთხით უფლებამოსილი არიან, მართონ ეს სა-

ქმე. შეიძლება მათ მიღებული აქეთ საკმაოდ კარგი ოფიციალური განათლება, მაგრამ არაწიგნიერი გარემო და საერთო კულტურის დაბალი დონე ხელს უშლის ასეთ ადამიანებს აწონილი და გონივრული ანალიზის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები. სადაც ეს ასე არ არის, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ინტელექტუალურად და მაღალკულტურული მოღვაწეებით არის წარმოდგენილი, იქ სურათი სხვაგვარია. მართალია, ხელმოკლეობა თავის მკაცრ სიგყვას ამბობს, მაგრამ ეს თავისთავად კომპენსირდება საქმისადმი კეთილი და გონივრული დამოკიდებულებით.

საერთო სურათი საქართველოში ძალიან მძიმეა. რა ელის დარგს არაჟინ იცის, ზოგან როგორ და ზოგან როგორ მიდის ე. წ. ოპტიმიზაცია. საკითხავია, რა ეკონომიკურ ეფექტს ვღებულობთ, რა გარალს. ზოგიერთ რაიონში, გამგებლები ადგილებზე ისე იქცევიან, როგორც ფოდალები თავიანთ საბაგონოში – აუქმებენ სოფლად თუ სკოლებში ბიბლიოთეკებს ან სკოლის ბიბლიოთეკებს აკისრებენ სოფლის ბიბლიოთეკის ფუნქციებს, აუქმებენ ცენტრალური ბიბლიოთეკის ღირექტორების შტაგებს, არღვევენ საბიბლიოთეკო კანონს, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სპეციალისტთა მოსაზრებებს.

ყველამ უნდა ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ადამიანებმა, რომლებიც საბიბლიოთეკო საქმის სამსახურში დგანან. უნდა გვახსოვდეს, რომ ბიბლიოთეკა ჩვენს მორალურ გარემოს აქანდაკებს. არაერთ ცნობილ მოღვაწეს აღუნიშნავს, რომ ისინი ქვეყნის კულტურის დონეს იმით განსაზღვრავენ, თუ როგორი ბიბლიოთეკებია აქ. ამიგომაც ბიბლიოთეკის ხელყოფა და უგულებელყოფა – ეს იგივეა, რა მორალური საწყისების ნგრევის მცდელობა. ეს კი ფრიალ სახიფათო მოვლენაა, რამეთუ მორალური ნორმების მიხედვით მოქმედების უარყოფა – ეს იგივეა, რაც ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ინგერესების წინააღმდეგ გამოსვლა.

2000-2005 წლებში ასოციაციის მიერ და მისი მონაწილეობით განხორციელებული პროექტები

გასული წლის 21 ოქტომბერს, როგორც უკვე ვიგყობინებოლით, გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საერთო საანგარიშო კრება. მთავარი ინფორმაცია გამოქვეყნდა კიდეც. ამჟამად ვაქვეყნებთ ჩატარებული მუშაობის ამსახველ მასალასა და სამომავლო სტრატეგიულ გეგმას, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, უფრო კონკრეტულად გავცნოთ, რა მუშაობა ჩაუტარებია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას 5 წლის განმავლობაში და რას ისახავს მიზნად.

- დაფუძნდა ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ და გამოიცა მისი 20 ნომერი. ჟურნალი გავრცელდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. შეიქმნა მისი ელექტრონული ვერსია;
- შეგროვდა საქართველოს რეგიონების საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკების სტატისტიკა და გამოქვეყნდა ინტერნეტში ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე;
- შეგროვდა და დამუშავდა თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის დეცალური სტატისტიკა. გამოსაცემად მომზადებულია თბილისის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების რაოდენობის, შენობის ფართობის, მკითხველთა წლიური აღრიცხვის, გაცემული მასალების რაოდენობისა და სხვა სტატისტიკური ინფორმაციის ამსახველი ცხრილები და გრაფიკები, შედარება საფრანგეთის, გერმანიის და ავსტრიის ბიბლიოთეკებთან;
- მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „ქართული ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები ინტერნეტში“, რომლის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატამ და ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნონ 2001-2005 წლების ბიბლი-

ოგრაფიული ბაზები ინტერნეტში. პროექტი ძალზე მნიშვნელოვანია, გარდა თვით ინფორმაციისა, აგრეთვე სტანდარტებისა და ტექნოლოგიური პრობლემების გადაჭრის მხრივ, გამოყენებულია მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგიები და ფორმატები, მისი წარმატებით დასრულება საფუძველს ჩაუყრის ამ გიპის პროექტების შემდგომ ფართო გავრცელებასა და განვითარებას. ძალზე მნიშვნელოვანია ბიბლიოგრაფიული სტანდარტების შეთანხმება მონაწილეებს შორის;

- მომზადდა ინგლისურ-რუსულ-ქართული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დარგის ინტერაქტიული ლექსიკონი. ეს ლექსიკონი ყველასათვის მისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით, უფრო მეტიც, ითვალისწინებს ტერმინების ფართო განხილვას და დაზუსტებას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით. პროექტი გრძელდება. ვიწვევთ სპეციალისტებს მონაწილეობის მისაღებად. წლის ბოლოს ლექსიკონის საბოლოო ვერსია გამოიცემა ბუკლური სახითაც;
- 2001 წლიდან დაიწყო მუშაობა პრო-

ექტზე „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის“. პროექტის ფარგლებში ყველა მის მონაწილე ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტს, კოლეჯს, საინფორმაციო ცენტრს მიეწოდება 7000-ზე მეტი დასახელების ელექტრონული ჟურნალი და 2000-ზე მეტი ელექტრონული გაზეთი რუსულ და ინგლისურ ენებზე. პროექტი ღიაა ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისათვის. ამ ელექტრონულ მონაცემთა ბანკის ჟურნალების თემატიკა ძალზე ფართოა და მოიცავს 1960-2005 წლებს. ვგზნავთ პროექტის გაფართოებასა და სპონსორების მოზიდვას;

✦ მოვაწყვეთ ასოციაციის გამგეობისა და „ჟურნალ საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციის შეხვედრები საბიბლიოთეკო სამოგალოებასთან მრავალ რაიონში;

✦ რეგულარულად ვაწყობთ უცხოურ ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ცენტრების შეკრებასა და ინფორმაციების გაცვლას. მაგალითად: თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან ერთად მოვაწყვეთ რამდენიმე სემინარი-დისკუსია საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საკითხებზე;

✦ ჩატარდა სემინარები და კონფერენციები მრავალ თემაზე, როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით (გერმანია, ავსტრია, ფინეთი, საფრანგეთი);

✦ 2004 წ. ჩატარდა მნიშვნელოვანი კონფერენცია „ამერიკაეკასიის ქვეყნების კონფერენცია ბიბლიოთეკების სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში“;

✦ ორგანიზებას ვუკეთებთ საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულებს. დაარსდა „ბიბლიოთეკარის დღე“ – 30 აპრილი;

✦ 2001-2005 წწ მონაწილეობა მივიღეთ მრავალ კონფერენციაში საზღვარგარეთ: IFLA-ს გენერალური კონფერენციები (გლანგო, ბერლინი), ყირიმის საერთა-

შორისო კონფერენციები, ლაიფციგის წიგნის ბაზრობა და საბიბლიოთეკო კონგრესი, ფინეთის საბიბლიოთეკო ასოციაციის სემინარი „ბიბლიოთეკა და საინფორმაციო სამოგალოება“ და სხვა;

✦ 2-ჯერ განხორციელდა პროექტი: „აღმოსავლეთი-აღმოსავლეთი“. ამ პროექტების ფარგლებში მოხდა ბიბლიოთეკარების, უნივერსიტეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების წარმომადგენლების ერთობლივი მივლინება ლიგვის რესპუბლიკაში და ლიგველი კოლეგების ჩამოსვლა საქართველოში;

✦ განხორციელდა ბიბლიოთეკართა 2 ჯგუფის (10 და 16 კაცი) ვიზიტი აშშ-ში ამერიკის ბიბლიოთეკების გასაცნობად;

✦ 2005 წელს კულტურის სამინისტროს, გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან ერთად განხორციელდა რეგიონალური ბიბლიოთეკებისათვის ახალი წიგნების შექმნა;

✦ დახურვისაგან დავიცავით მრავალი ბიბლიოთეკა;

✦ მონაწილეობა მივიღეთ 3 რეგიონში „ამერიკული კუთხეების“ გახსნაში;

✦ დაფუძნდა „საქართველოს ბრდასრულთა განათლების ასოციაცია“;

✦ დაფუძნდა „სკოლის ბიბლიოთეკების ასოციაცია“, როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ფილიალი, რეგულარულად იმართება სკოლის ბიბლიოთეკართა შეხვედრები და მათი ჩართვა ასოციაციის საქმიანობაში. მომზადდა პროექტი „სანიმუშო სასკოლო ბიბლიოთეკა“;

✦ მოეწყო ზოგადი, უმაღლესი და სპეციალური განათლების ახალი კანონპროექტების განხილვა და წინადადებები მიეწოდა სამინისტროებსა და პარლამენტს.

განხილულ იქნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის როლი სასწავლო პროცესში და მისი სანიმუშო დებულება;

- ✦ მზადდება კანონპროექტი „გამოცემების სავალდებულო ცალების შესახებ“;
- ✦ საბიბლიოთეკო ასოციაცია გახდა იფლა-ს „ეროვნული წევრი“ 2005 წლიდან. დამ-

ყარდა კონგაქტები ამერიკის, ლიგვის, ფინეთის, რუსეთის, გერმანიის, ბრიტანეთის საბიბლიოთეკო ასოციაციებთან;

- ✦ შეიქმნა ასოციაციის ვებსაიტი, შეგროვდა ბიბლიოთეკართა ელექტრონული მისამართები და შეიქმნა „დაგზავნის სიები“, როგორც კომუნიკაციის მოსახერხებელი ფორმა.



საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები 2006 წლისათვის



საჯარო ბიბლიოთეკები (საბავშვო და ახალგაზრდობის ჩათვლით)

- მრგვალი მაგილების ციკლის ჩაგარება (ბიბლიოთეკარების, იურისტების, ეკონომისტების... მონაწილეობით), მუშა ჯგუფის შექმნა, საბოლოო პრაქტიკული რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ბიბლიოთეკის დაფინანსების მოდელი;
- სამაგალითო საბავშვო ბიბლიოთეკის პროექტი;
- ბუკლეტის თუ წიგნის გამოცემა – პრაქტიკული სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკართათვის;
- მეგობართა საზოგადოებების შექმნა 5-10 ბიბლიოთეკასთან;
- მენეჯმენტის კურსის ჩამოყალიბება და სწავლების დაწყება;
- მრავალეროვან რეგიონებთან მეტი მუშაობა (მდგომარეობის შესწავლა);
- სამხედრო ნაწილების საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის შესწავლა.

სასკოლო ბიბლიოთეკები

- სანიმუშო სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი;
- ასოციაციის წესდების, სამუშაო ადგილის, რეგისტრაციის, „ნამდვილი“ გამგეობის

არჩევის საკითხების მოგვარება;

- საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანება;
- სასკოლო ბიბლიოთეკების კვირეულში აქტიური მონაწილეობა;
- მრგვალი მაგილების, სემინარების მოწყობა (მაგ. უცხოელთა მონაწილეობით) პრობლემების განსამღვრა;
- სტატისტიკური ცნობების შეგროვება სკოლის ბიბლიოთეკების მდგომარეობაზე;
- იფლას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გამოცემები;

უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკები

- გამოკითხვის ჩაგარება, ამრის გამოვლენა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში უპირველესი პრობლემების დასადგენად და შემდეგ მათი გადაწყვეტის გზებზე მსჯელობა (კომიტეტში, სემინარებზე);
- უმაღლეს სასწავლებლის ბიბლიოთეკის როლის, სტრუქტურული და ფინანსური მოდელის და დებულების განხილვა;
- კონსორციუმში მეტი უნივერსიტეტის გაწევრიანება, რეგიონების და კომერციული უნივერსიტეტების ჩათვლით;

- საუნივერსიტეტო-სამეცნიერო ბიბლიოთეკების კომიტეტის ჩამოყალიბება;
- 1-2 საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან მეგობართა საზოგადოების ჩამოყალიბება;
- სტანდარტები, ნორმატივები, ინსტრუქციები, სტატისტიკა, ანგარიშები (მინიმუმი).

ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობები

- კანონები. სავალდებულო ეგზემპლარის კანონპროექტის დასრულება და განხილვების მოწყობა;
- ასოციაციის „მზრუნველთა საბჭოს“ ჩამოყალიბება და მოწვევა;
- „ლობსტების“ მოძიება ხელისუფლებაში (ცენზურალურ, თბილისის და სხვა);
- კულტურისა და განათლების სამინისტროებთან თანამშრომლობის გაღრმავება და კონკრეტიზაცია;
- „კვირეული 2006“;
- საბიბლიოთეკო ეთიკის კოდექსის შექმნა. განხილვა და მიღება;
- ბიბლიოთეკართა უფლებების დაცვა;
- ბიბლიოთეკარებისათვის ხელფასების მომატების საკითხის დაყენება;
- საბიბლიოთეკო ქსელის სახელმწიფო პროგრამა თუ კონცეფცია;
- მასმედიასთან მუდმივი კონტაქტების ჩამოყალიბება;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გამომცემლებთან ურთიერთობები.

ფონდებთან ურთიერთობა

- ახალი ფონდების „აღმოჩენა“;
- შემოწირულობების მოზიდვა;
- საზოგადოებრივ ფონდებთან მუშაობის რეგულარული ჯგუფის შექმნა;
- ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“;
- ჟურნალის დანართის ან ახალი ჟურნალის შექმნა მეტი აქცენტით სამეცნიერო საქმი-

ანობაზე, ავტომატიზაციაზე;

- ჟურნალის საქმიანობის პერიოდული ანგარიშგება ასოციაციის გამგეობისათვის;
- ჟურნალში ასოციაციის საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება;
- ჟურნალის გავრცელების საკითხების მოწესრიგება და გირაჟის ზრდა.

საგარეო ურთიერთობები

- იფლა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ლიგვასთან, ამერბაიჯანთან, სომხეთთან და ყაზახეთთან საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება; ურთიერთობის დამყარება ისეთი ქვეყნების ბიბლიოთეკებთან, როგორცაა: გერმანია, ინგლისი, ამერიკა, ავსტრია, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი, რუსეთი, უკრაინა.

ასოციაციის, როგორც ორგანიზაციის, გაძლიერება

- გამგეობის სწავლება (თუ როგორ მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციების გამგეობები);
- აუდიტის ჩატარება და საბუღალტრო საკითხების მოწესრიგება;
- წევრებსა და საწევროების მუსტი აღრიცხვა (მონაცემთა ბაზის შექმნა) და მათთან მეტად აქტიური კომუნიკაცია;
- რეგიონების ბიბლიოთეკების ასოციაციის მართვაში მონაწილეობის გაძლიერება (გამგეობის თათბირებში მონაწილეობა, რეგიონალური ოფისების ჩამოყალიბება);
- საერთო კრების ჩატარება (ვადის წინასწარ განსაზღვრით);
- მივლინებების უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით მათი წინასწარი დაგეგმვა;
- ჟურნალში 5 წლის მუშაობის ანგარიშის გამოქვეყნება, კვირეულის დროს ანგარიშის წარდგენა;

- ჟურნალში ასოციაციის საქმიანობის ამსახველი მასალების გამოქვეყნება;
- ასოციაციის ოფისის კეთილმოწყობა (მცირე რემონტი, ავეჯი, ბიბლიოთეკა);
- გამგეობის წევრების ჰონორარებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტა;

- უაკ;
- გერმინოლოგია;
- სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება;


ავტომატიზაცია

- თანამედროვე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის დანერგვა;
- შეერთებული კატალოგის მხარდაჭერა;
- პროექტი ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის;
- ახალი პროექტების იდეებზე მუშაობა და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- კონსორციუმთან ურთიერთობები.

სამეცნიერო საქმიანობის გამოცოცხლება ბიბლიოთეკებში

- თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ბიბლიოთეკებში;
- სტატისტიკის ანალიზი-დამუშავება;
- იფლა-ს სექციებში აქტიური მონაწილეობა;

ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო მ ე ნ ე ჯ მ ე ნ ტ ი



ცისანა წერეთელი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
მთავარი ბიბლიოგრაფი

ბიბლიოთეკარის პროფესიული ეტიკა*

ბიბლიოთეკარის საუკეთესო პიროვნული თვისებების ნუსხაში მითითებულია ახალი იდეების განხორციელების უნარ-ჩვევები, ანალიტიკური ამროვნების უნარი. ეს თვისებები სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაკავებული ბიბლიოთეკარების, ბიბლიოგრაფების პროფესიოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მოიაზრება. პროფესიული კოდექსის შედგენისთვის სასურველია და, ვფიქრობთ, აუცილებელიც, განისაზღვროს ბიბლიოთეკარების მიერ შესრულებული სამუშაოს, მათ მიერ განხორციელებული საკითხების შინაარსობრივი მხარე.

ბიბლიოთეკებში დამკვიდრებული ცნების „ასახვა“ შინაარსობრივი აზრი მდგომარეობდა სხვადასხვა საბიბლიოთეკო ღონისძიებების ნუსხის, სიის შედგენაში, თუმცა ბოლო პერიოდში ცნება „ასახვა“, ვფიქრობთ, მეტ სიღრმეს და შინაარსს იძენს, ისეთი საბიბლიოთეკო პროცესების გასაცნობიერებლად, როგორცაა ინფორმაციის მოძიება-მოპოვება, შენახვა, გადამუშავება-გაანალიზების და გადაცემის უნარის მიმართულებით.

ბიბლიოთეკის სპეციალისტთა პროფესიული ეტიკა სპეციფიური მოთხოვნებისა და მორალური ნორმების ერთობლიობაა, რომლის შინაარსში მოცემულია საბიბლიოთეკო სპეციალისტის მიერ პროფესიული მოვალეობის შე-

სრულება ინფორმაციის მსურველთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროფესიული საქმიანობა, რომლის ობიექტი ცოცხალი ადამიანები არიან, წარმოქმნის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ურთიერთობების რთულ სისტემას. ამ სისტემაში მოიაზრება:

პროფესიის საკანონმდებლო ბაზა;

საბიბლიოთეკო სპეციალისტების ურთიერთობა მკითხველთან;

საბიბლიოთეკო სპეციალისტების პროფესიული ურთიერთობა კოლეგებთან;

საბიბლიოთეკო სპეციალისტების ურთიერთობები საზოგადოებასა და გარემოსთან.

აღნიშნული ურთიერთობები ისეთი მეცნიერების შესწავლის საგანია, როგორცაა პედაგოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ინფორმატიკა, თეოლოგია, ეკოლოგია... თითოეული ეს დისციპლინა იკვლევს ბიბლიოთეკარის შრომითი საქმიანობის გარკვეულ ასპექტს. თანამედროვე პირობებში რელიგიამ თავისი მისია უნდა შეასრულოს საზოგადოების განვითარებაში, მისი სულიერი პრინციპების, ეკოლოგიური, ჰუმანური განათლებისა თუ განვითარების მეშვეობით. ეკლესიის დამოკიდებულება ეკოლოგიურ პრობლემებთან მდგომარეობს საზოგადოების სულიერ აღზრდაში.

საბიბლიოთეკო სპეციალისტების პროფესიული მორალი ეფუძნება მკითხველებთან, ინფორმაციის მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთობას, მათი ინტერესებისადმი ყურადღებას, მკითხველის მოთხოვნების სრულყოფილად დაკმაყოფილების სურვილს, მზაობას. ბიბლიოთეკის თანამშრომლის მორალურ-ეთიკური ქცევა დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის კულტურულ, სულიერ პოტენციალზე, ეკოლოგიურ ეთიკაზე (2004 წელს ქ. კიევი ბიბლიოთეკების მიერ ორგანიზებული იყო სემინარი სათაურით: „ეკოლოგიური ეთიკა. ბიბლიოთეკები, როგორც ეკოლოგიური პოლიტიკის ცენტრები“), რელიგიურ მრწამსსა და შეგნებაზე.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის სპეციალისტების სამეცნიერო-ინფორმაციული და ბიბლიოგრა-

ფიული საქმიანობის ბევრი პროცესი თავისი არსით კვლევითი ხასიათისაა. რას მოიცავს ეს? მკითხველთა გაურკვეველი მოთხოვნების დაზუსტება, ინფორმაციის მოძიების სტრატეგიის დამუშავება, კორექტირება და მუდმივად შემავსებელი საძიებო-გამოვლენილი დოკუმენტების მრავალასპექტური ანალიზი. ბიბლიოთეკის სპეციალისტების მიერ ჩატარებული ამგვარი შრომა, კვლევა-ძიება, ვფიქრობთ, სიახლეთა დანერგვის ერთ-ერთი პირობაა.

სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკაში მთავარია საბიბლიოთეკო საქმიანობის მოდერნიზაცია, რაც გულისხმობს:

ა) მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების სრულყოფას;

ბ) მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში საინფორმაციო-კონსალტინგური ცენტრის შექმნას;

გ) ბიბლიოთეკების პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად, მოსახლეობისათვის ინფორმაციების საჭიროებისამებრ მიწოდებას და დასვენების ორგანიზებას;

დ) საბიბლიოთეკო სისტემაში ყურადღების კონცენტრირებას ინფორმატიკის პროცესის პროექტულ მართვაზე;

ე) საერთაშორისო საინფორმაციო-საბიბლიოთეკო სისტემაში ბიბლიოთეკების ინტეგრირება მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია მიიღოს უმოკლეს დროში;

ვ) საბიბლიოთეკო ნოვაცია – ვირტუალური ვებ-ცნობების გაცემა;

ზ) თეორიული მსჯელობებისა და დასკვნების საფუძველზე საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული და კვლევითი საინფორმაციო საქმიანობისას ახალი ფორმების და მეთოდების დანერგვა.

მეთოდური ხასიათის ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-საინფორმაციო კვლევები დაფუძნებული პროფესიულ ეთიკაზე, ვფიქრობთ, გულისხმობს იმ თვალსაზრისის განვითარებას, თუ როგორ და რომელი წყაროებიდან ხდება კვლევისა თუ ინფორმაციის მოძიებისთვის სა-



ჭირო ყველა სახის ინფორმაციის მოპოვება. ექსპერტების მიერ დასახელებულია შემდეგი წყაროები: სტატისტიკური სამმართველოები, სხვადასხვა სახის კვლევითი ცენტრები, რომლებიც მუშაობენ მკვლევარისათვის საინტერესო პრობლემებზე, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მეცნიერული გამოკვლევები და ლიტერატურა ამ კვლევების შესახებ, ბიბლიოთეკები, ინტერნეტ-ინგრანეტ-ექსტრანეტი, კონფერენციები, სემინარები, შესაბამისი სფეროს საწარმოები, ადგილობრივი მომსახურება, ორგანიზაციებში ჩატარებული გამოკითხვები ან გამოკვლევები და სხვ. თუმცა ამ წყაროების სისტემა თანამედროვე პერიოდში შეიძლება ატარებდეს მობილურ ხასიათს და ჩამონათვალი შეიკუმშოს ბიბლიოთეკებში და, საერთოდ, საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში ავტომატიზაციის პროცესების დანერგვის გამო. მით უმეტეს, რომ IFLA-ს პრეზიდენტის პროგრამაში ასახულია ბიბლიოთეკების სპეციალისტებისათვის სასურველი ის თვისებები, რომლებიც ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის ნორმებში ახდენს არსებით ცვლილებების კორექტირებას. კომპიუტერული, ციფრული განათლება, საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომპეტენცია, ინტერნეტის და საბიბლიოთეკო რესურსებით კომპეტენცია სარგებლობა, ვერბალური განათლება.

ინტერნეტის რესურსებში ყურადღება საკმარისადაა გამახვილებული ბიბლიოთეკარის, საბიბლიოთეკო ეთიკის, ბიბლიოგრაფის პროფესიული ეთიკის, ურთიერთობის ეთიკის, ბიბლიოთეკარის რიგორიკის, მოსმენის ეთიკის, ინფორმაციასთან თავისუფალი დაშვების, კითხვის კონფიდენციალურობის, ცენზურის და უშვებლობის, პრიორიტეტული მომსახურების, საბიბლიოთეკო ეტიკეტის შესახებ. შესაძლებელია ისეთი რთული საკითხების შესახებ ინფორმაციების მიღება, როგორცაა საბიბლიოთეკო ეთიკის ნორმები, თუმცა ბევრთ აღნიშნული საკითხების ერთმნიშვნელოვნად განხილვა,

ფიქრობთ, რეალობას არ წარმოადგენს და სასურველია მათი დამუშავება რეგიონალური თვალსაზრისით.

ინტერნეტში ბიბლიოთეკარის პროფესიული კოდექსის შესახებ შეიძლება წაკითხული იყოს სამეცნიერო ბიბლიოთეკების ელექტრონული კატალოგებში: www.librarynovouralsck.ru (78 საიტი და 146. დოკ.), www.library.ustu.ru. საინტერესოაა წარმოდგენილი საიტები ინტერნეტრესურსებში ბიბლიოთეკარის ეკოლოგიური ეთიკის შესახებ: www.ekoethics.ru (364 საიტი), wwwbash.edu.ru, wwwgpntb.ru, ხოლო რაც შეეხება თანამედროვე ინტერნეტწყაროებში საბიბლიოთეკო ეთიკური ნორმების შესახებ თანამედროვე ინფორმაციებს, იგი ინოვაციური ხასიათის მაგარებელია. მისამართებზე wwwrsl.ru, wwwgnesin.ru – მოცემულია საბიბლიოთეკო ეთიკური ნორმების ანალიზური მიმოხილვა, რაც შეეხება სისტემური ბიბლიოთეკარის საბიბლიოთეკო ეთიკის ნორმებს, მის ძირითად პასუხისმგებლობაში მოიაზრება მუშაობა ტექნიკურ პერსონალთან, რეგროკონვერსიის განხორციელება, მონაცემთა ახალი ბაზების დაგეგმვა.

ცნება კომპიუტერული ეთიკა თანამედროვე ინტერნეტწყაროებში მრავალფეროვანი ინფორმაციებითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა გამოცემა – Кузменко. Компьютерная этика и право (<http://wwwgmk.pp.ru/it-eth.htm>).

ბავშვების, მოზარდების დასაცავად პორნოინფორმაციის თუ ძალადობის შემცველი მასალებისაგან სასურველია ინტერნეტი და ასევე საგლევიზიო გადაცემები თუ საკომუნიკაციო სხვა საშუალებები დაცული იყოს ამგვარი ინფორმაციებისგან შემზღუდვის გზით, ინტერნეტის „ფილტრაციის“, მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ-რესურსებში კომპიუტერული ეთიკის შესახებ 12972 დოკუმენტია მოცემული. ყურადღებას იქცევს საიტი sp.sz.ru სადაც ნათქვამია, რომ „ბრიტანეთის სახელმწიფოს მმართველები აპირებენ ბავშვებისთვის კომპიუტერული ეთიკის სწავლებას.“



ელექტრონულ ეპოქაში აუცილებელია ინტერნეტცენზურა, პროგრამა ცენზორის ჩართვა პორნოსაიგების ბლოკირების მიზნით. iMature ფირმის მიერ მოწოდებული აღნიშნული გამოგონება იწოდება AGR და არსებობს დამოუკიდებელი მოწყობილობის სახით ან დამონტაჟებულია კლავიატურაში. აღნიშნული მოწყობილობა აღამიანის თითების მიხედვით ადგენს მის ასაკს და მცირეწლოვანთა შემთხვევაში მოქმედებაში მოჰყავს პროგრამა. ცენზორი (ინტერნეტ-ცენზორი მოზარდებისთვის// კვირის პალიგრა. 2005.6.12 ივნ.გვ. 17)

დიდ ყურადღებას იმსახურებს ცნებები ინფორმაციის მისაწვდომობა და საბიბლიოთეკო ცენზურა. როცა ბიბლიოთეკებში ცენზურაზე საუბრობენ, ჩვენი ბიბლიოთეკები დიდ სირთულეს აწყდებიან მკითხველისთვის პორნოგრაფიული ლიტერატურის შექმნა-მიწოდების თვალსაზრისით. უცხოეთში ეს საკითხი ყოველთვის დიდ ეთიკურ პრობლემას წარმოადგენდა. ჩვენი სახელმწიფო კი მხოლოდ ახლა იწყებს ასეთ ლიტერატურასთან ღიად მუშაობას. ბიბლიოთეკები პორნოგრაფიული მიმართულების გამეთების, ჟურნალების, გამოფენების თუ სხვა ექსპოზიციების მოწყობას ჯერ არ ცდილობენ, რომ ღია დაშვებით წარმოადგინონ, ამგვარი სახის ლიტერატურას ბიბლიოთეკები გასცემენ მკითხველის პერსონალური თხოვნით. აშშ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, ფედერალური მთავრობის მიერ მიღებულია კანონი „კომუნიკაციების მწიფობის სტანდარტების შესახებ“; კანონი კრძალავს შეურაცხმყოფელი მასალების გავრცელებას. რუსულ საბიბლიოთეკო ლიტერატურაში მოცემულია წინააღმდეგობრივი ხასიათის შეხედულებები საბიბლიოთეკო ცენზურის შესახებ. ამიგომ უნიფიცირება, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება, ვფიქრობთ, არცთუ ახლო პერსპექტივაა, მით უმეგეს, თუ არ მოხდება საბიბლიოთეკო ეთიკური ნორმების სტანდარტულ ჩარჩოებში მოქცევა.

რუსეთის ფედერალურ კანონში საბიბლი-

ოთეკო საქმის შესახებ (ს.გ.12) მითითებულია, რომ არ დაიშვება სახელმწიფო ან სხვაგვარი ცენზურა, რომელიც ბლუდავს მომხმარებლების უფლებას საბიბლიოთეკო ფონდებში თავისუფალი დაშვების მიმართულებით. კანონი მნიშვნელოვნად აიოლებს ბიბლიოთეკის საქმიანობას და ბიბლიოთეკარს აძლევს ინდივიდუალური მოქმედების უფლებას, ხელმძღვანელობს რა პროფესიული ეთიკით, მორალური მრწამსით. საბიბლიოთეკო სპეციალისტი ცენზურის საკითხს თვით წყვეტს კონკრეტულ შემთხვევაში.

ამის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2005 წელს ყირიმში ჩატარდა მე-12 საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ბიბლიოთეკები და საინფორმაციო რესურსები მსოფლიო მეცნიერების, განათლების, კულტურის და ბიზნესის სფეროში“. შექმნილი იყო სექციები შემდეგი პრობლემურ-თემატური მიმართულებით: 1) ეთიკა და ელექტრონული ინფორმაციის უსაფრთხოება, 2) ეკოლოგიური ეთიკა, ეკოლოგიური ინფორმაცია და ბიბლიოთეკების როლი მოსახლეობის ეკოლოგიურ განათლებაში. 3) სამედიცინო საინფორმაციო რესურსები და სისტემები. 4) ბავშვები, კომპიუტერები და ინტერნეტი – სასკოლო ბიბლიოთეკების პრობლემები.

ბიბლიოთეკების სპეციალისტების და მკითხველთა პროფესიული ურთიერთობები ძირითადად მომსახურების სფეროს ბიბლიოთეკარების საქმიანობით განისაზღვრება.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წელს მიღებულია „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, აღნიშნულ კანონში (თავი2. მუხლი 7) განხილულია ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება-მოვალეობანი, მკითხველის უფლებები (მუხლი 9), ბიბლიოთეკის მოვალეობანი (მუხლი 10), ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობები (მუხლი11)... სასურველი იქნებოდა ჩამოყალიბებულიყო კანონი უცენზურო ინფორმაციის გავრცელების შესახებ, რომელიც აკრძალავდა



ისეთი მასალების გავრცელებას, რაც მიიხსნა მიაყენებს ბავშვების, მოზარდების ფსიქიკას, მათ აღზრდას სასურველია სპეციალური განკარგულების მიღებაც, რომელშიც მითითებული იქნება, რომ ბიბლიოთეკა მოვალეა ხელი შეუწყოს სიგყვის, ინტელექტუალური თავისუფლების კორექტულად გამოყენებას, მაგრამ ამავე დროს მან უნდა დაიცვას ლექსიკური სისუფთავე, არ გაავრცელოს უხამსი ლიგერატურა.

თანამედროვე ეტაპზე ბიბლიოთეკის პიროვნული თვისებების გავლენა მათ მიერ შესასრულებელ საქმიანობაზე არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ინფორმაცია მწირია და გაბნეული, თუმცა არსებული მასალების ანალიზი, ჩვენი აზრით, იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას, რომ ბიბლიოთეკარების პიროვნული თვისებები გავლენას ახდენს მათ პროფესიულ საქმიანობაზე. მაგალითისთვის: სამეცნიერო ბიბლიოთეკის კატალოგი პიროვნული თვისებების გავლენას ახდენს ბიბლიოთეკაში კატალოგიზაციის მართვის პროცესზე, საბიბლიოთეკო პროფესიისათვის დამახასიათებელ ზოგად პროფესიულ თვისებებთან ერთად. კატალოგისგს, სასურველია, ჰქონდეს სპეციფიკური თვისებები, რაც გულისხმობს პრობლემის მთლიანობაში აღქმას, ურთიერთმიმართებას და ანალიზის უნარს.

როდესაც ბიბლიოთეკის სპეციალისტების პიროვნული, მნეობრივ-ეთიკური ნორმების შესახებ ვსაუბრობთ, ალბათ სასურველი იქნება ყველა რანგის სპეციალისტის მიერ საერთო სოციალური ცოდნა, ყველა მიმართულების პრობლემატიკა, ახალი მონაცემები, დასკვნები და ა.შ. სრულად და ღრმად იყოს გამოყენებული, ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის სპეციალისტების პროფესიული ეთიკური პრობლემების კვლევისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საბუნებისმეტყველო დარგის (ბიოლოგია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია). უახლესი მიღწევები, რაც ეთიკური ცოდნის სფეროში მუდმივი ზრდის და განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წა-

რმოადგენს. მით უმეტეს, რომ ჰუმანიტარული ეკოლოგიის და ეკოლოგიური ეთიკის გაცნობა სპეციალისტების თუ ნებისმიერი ადამიანისათვის დაფუნდებულია ბუნების აღქმაზე, როგორც მორალური თანასამოგადოების წევრზე, მორალურ სუბიექტზე.

ამრიგად, საბიბლიოთეკო სამოგადოებას, როგორც სხვა ნებისმიერს, ესაჭიროება პროფესიული, ინტელექტუალური და სხვა ურთიერთობების რეგლამენტაცია და კავშირი გარემოცვართან. რაც, ვფიქრობთ, პირადი ფსიქოლოგიური წარმატების გარეშე ძნელად მისაღწევია, ამ მხრივ საინტერესოა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკოლოგის, ვ.ა. გრაჩოვის მონოგრაფია ეკოლოგიის დარგში: „Теория и практика Личного успеха“, ფსიქოლოგ დ. კარნევის შრომები ურთიერთობის სფეროში: „Как заводить друзей и оказывать влияние на людей“.

ინფორმაციის და საბიბლიოთეკო სპეციალისტების პროფესიული ეთიკური ნორმების დადგენის მიზნით, სასურველი იქნება, სხვადასხვა ბიბლიოთეკების სპეციალისტთა პროფესიული ლიფერენციაციის საფუძველზე შეიქმნას საბიბლიოთეკო მორალურ-ეთიკური ნორმების შემცველი ლიფერენციებული ხასიათის ნაშრომები, დამუშავდეს საბიბლიოთეკო ეთიკური კატეგორიები, კვლევითი მუშაობა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:

- ა) ბიბლიოთეკაში ინფორმაციის მისაწვდომობა;
- ბ) საბიბლიოთეკო ცენზურა და საბიბლიოთეკო მასალებით შეუმზღდავი სარგებლობა;
- გ) საბიბლიოთეკო ეკოლოგიური ეთიკა და სიგყვის ეკოლოგია;
- დ) საბიბლიოთეკო კითხვის კონფიდენციალობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში პრიორიტეტული მომსახურება;
- ე) საბიბლიოთეკათმორისო აბონემენტის კონფიდენციალურობის პოლიტიკა;
- ვ) ბიბლიოთეკის ფონდების, საცავების, ჰი-

გიენის და რესტავრაციის განყოფილების ბიბლიოთეკარების პროფესიული ეთიკის ნორმების დადგენისას განხორციელდეს ღიფერენციური მიდგომა;

ბ) იკითხებოდეს კურსი „სხვადასხვა ბიბლიოთეკების და ბიბლიოთეკარების პროფესიული ეთიკა“;

თ) სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ფილოლოგების, კულტუროლოგების, ნეიროფიზიოლოგების, ეკოლოგების და სხვა სპეციალისტების მიერ კონფერენციებზე, სემინარებზე ყურადღება გამახვილდეს აღნიშნული პრობლემის შესახებ, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნას ნორმატიული და ამავე დროს სამეცნიერო დისციპლინა ბიბლიოთეკების სხვადასხვა სპეციალისტებისათვის;

ი) ბიბლიოთეკის სპეციალისტებისთვის ეთიკის კოდექსები დამუშავდეს სოციოლოგიური კვლევების, ინტერვიუს, მინი-გამოკითხვების საფუძველზე;

კ) ბიბლიოთეკების ყველა ქვეგანყოფილების თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტრუქციებში აისახოს პროფესიულ-ეთიკური ნორმების შესაბამისი პუნქტები, რომელთა დახმარებით თითოეულ სპეციალისტს შეეძლება

გააკეთოს სწორი მნიშვნელობის არჩევანი პროფესიული ქცევის განხორციელებისას.

ლ) ბიბლიოთეკების სპეციალისტებისთვის მიწოდებული უნდა იყოს ინფორმაციები თანამედროვე ინტერნეტრესურსებში ასახული ეთიკური პრინციპების ნორმების პროფესიულ-საბიბლიოთეკო მომსახურების, მოგადასაკაბრობრივ ასპექტების საბიბლიოთეკო ეტიკეტის mars.udsu.ru-შესახებ.

გემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მიზანმიმართულად, სწორად და გლობალურად გადაწყვეტის მიზნით, მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკოლოგიურ განათლებას, ინფორმირებას, ისე ეკოლოგიურ, უფრო ზუსტად, ეკოლოგიზირებულ აღზრდას, რაც უპირველესად გულისხმობს შესაბამისი ეთიკური განწყობის ფორმირებას, ბუნებისდაცვითი მოთხოვნების შესაბამისი ეკოლოგიური ჩვევების განვითარებას, ყოველივე ამან კი შესაძლებელია გააძლიეროს პროფესიული ეთიკის საფუძვლები, გააფართოოს მისი გავლენა მომიჯნავე დისციპლინებზე და ამით გააძლიეროს ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის თანამედროვე სამეცნიერო მიმართულების სხვადასხვა ასპექტები.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბანძელაძე გ. ეთიკა – თბ., 1970.
2. ეკოლოგიური ფილმების ვიდეოთეკა: კატალოგი. – 1999.
3. Александрова Р.И. Смолянова А.В. Экология и мораль – 1984
4. Алтухова Г. Профессиональная этика библиотекаря. / Интернет-магазин Бамбук. (shop.bambook.com)
5. Андерсон Дж. Экология и наука об окружающей среде: биосфера, экосистема, человек – 1985
6. Бг нба В.Р. Экология и мораль – 1991
7. Библиотекарь и читатель: этика взаимоотношений, точка зрения. (http://www.kitaphane.ru)
8. Бородавкин С.В. Этика и экологическое воспитание – 1988
9. Езова С.А. Профессиональное поведение библиотекаря в ракурсе психологии // Научн. и техн. б-ки – 1994 – № 1. с. 58-63
10. Иркутская областная библиотека – Профессиональная этика библиотекаря. – М. – 1996 (Учебн. пособие) irblib.ru
11. http://rsuh.ru/section_rtm.id=104
12. http://www.memphis.edu/ispages/standards/acceptable.htm.
13. http://referat.niv.ru.
14. http://www.irex.ru/dos/eac/rus-univ/index.htm.
15. Ecology and Biblical Studies//The Environment And Regions Education-Summer Seminar on Halki 94.-s.44.
16. Ecology and Ethics//The Environment And Regions Education-Summer Seminar on Halki 94.-s.46.

ზუმრუდ გოდერძიშვილი
ახალგაზრდობის რესპ. ბიბლიოთეკის მეთოდგანყოფილების გამგე

საბიბლიოთეკო სემინარების მნიშვნელობის შესახებ

ბიბლიოთეკის სადღეისო ვითარების განზოგადება მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს ბიბლიოთეკის მენეჯერებს. ცნება „ბიბლიოთეკა“ მარტივი განმარტებისა და მნიშვნელობის გაგებიდან განთავისუფლდა და უფრო მრავალგვარი მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც არა მარტო წიგნის და მასთან დაკავშირებულ ფუნქციებს მოიცავს, მკითხველისა და ბიბლიოთეკარის ურთიერთობისა და თანამშრომლობის საკითხებს, არამედ ისეთ ღრმა მნიშვნელობის საკითხებსაც, როგორცაა სამეცნიერო და საკვლევო მუშაობა, რომელიც აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით მეთოდურ საქმი-



ანობაში. სახელდობრ, საუბარია ელექტრონიკული მანქანების – კომპიუტერების გამოყენებით საბიბლიოთეკო ოპერაციების წარმოებაზე. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე საბიბლიოთეკო მუშაობაში კომპიუტერებმა და ახალმა ტექნოლოგიებმა გარდაქმნეს საქმე, რომლის ძირითად მაგისტრალს საინფორმაციო მუშაობის სფერო წარმოადგენს. საინფორმაციო მუშაობა საოცარი დინამიურობით გარდაიქმნა და ფართო პერსპექტივა შეიძინა ქვეყნებისა და ხალხთა შესახებ ინფორმაციების გავრცელების მზარდი მოთხოვნის პირობებში.

ბიბლიოთეკების როლი ამ მხრივ მეტად დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩევა. მეტად გაიზარდა მომხმარებლის მოთხოვნების დიპაზონი, მისი ინტერესების სფერო. ბიბლიოთეკარი თავისი მუშაობის სრულყოფისათვის ცოდნას იძენდა მოსამზადებელი საკვალიფიკაციო კურსების გავლის მეშვეობით, აგრეთვე, გარდებოდა გამოცდილების ურთიერთგაზიარების, სასწავლო სემინარების ჩატარების

პრაქტიკული და თეორიული მუშაობა, რაც დიდად უწყობდა ხელს ბიბლიოთეკართა პროფესიულ სრულყოფას.

საბიბლიოთეკო სემინარები, რომლებიც ყოველთვე გარდებოდა ბიბლიოთეკართათვის, არა მარტო პრობლემატურ საკითხებს აშუქებდა, არამედ მიმდინარე საბიბლიოთეკო მუშაობის პერსპექტიულ თემასაც ეხებოდა და ამით ხელს უწყობდა შრომითი პროცესების პროგრესირებას.

„ბიბლიოთეკარის პროფესიული ღონისა და მუშაობის გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ბიბლიოთეკარი იძულებულია, რაღაც პერიოდულობით გაიაროს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ანუ პროფესიული გადამზადება“.

„(დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის – თბ. 2000. – გვ.50).

(დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისათვის – თბ. 2000. – გვ.50).

სავსებით ნათელია, ბიბლიოთეკებისთვის რამდენად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს საბიბლიოთეკო სემინარი.

საბიბლიოთეკო სემინარები მუდამ იყო საშუალება ბიბლიოთეკების მუშაობის მაღალი პოტენციალის შენარჩუნებისათვის, ვინაიდან იგი მოიცავდა არა მარტო წიგნის პროპაგანდის მნიშვნელოვან მხარეებს, არამედ იდეოლოგიური მიმართულების სწორ ორიენტიაციასაც განსაზღვრავდა და წარმოადგენდა საბიბლიოთეკო მუშაობის გზამკვლევს, ხოლო მეთოდური მუშაობის პერსპექტივა გამოიკვეთებოდა მეთოდური სემინარების ჩატარებისას.

საბიბლიოთეკო სემინარები არა მარტო წიგნის პროპაგანდის სიახლეებს ანმოვადებდა, არამედ საბიბლიოთეკო მუშაობის მრავალ საკვანძო საკითხზეც გამოჰქონდა თავისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც თავისთავად ინერგებოდა ბიბლიოთეკებში.

საბიბლიოთეკო სემინარებს ხელმძღვანელობდა მეთოდური განყოფილება. მეთოდისგები წინასწარი მომზადების საფუძველზე ბიბლიოთეკარებს უტარებდნენ საუბრებს, ლექცია-სემინარებს (გაკვეთილებს), რომლებიც გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და ცოდნის მაღალი დონით. საბიბლიოთეკო სემინარი არა მარტო სპეციალიზებული მასალით იფარგლებოდა, არამედ რომელიმე საზოგადო, სამეცნიერო მოღვაწის, მწერლის, გამოჩენილი პიროვნების შემოქმედებით მიმოხილვასაც ახდენდა, რაც საბიბლიოთეკო მუშაობის პროფილს შეესაბამებოდა და ხელს უწყობდა მომხმარებელთან მუშაობის სწორ ორიენტიაციას. ამდენად, მეგად მნიშვნელოვანია და აუცილებელი საბიბლიოთეკო სემინარების სისტემატური ჩატარების პრინციპული აღიარება. ჩვენ სრულიადაც არ ვეთანხმებით იმას, რომ ამ მიმართულებით რაც იყო, ის ბრმად გადმოვიღოთ და იგივე პრინციპები ვაღიაროთ. მთავარია ვირწმუნოთ, რომ სემინარის ფორმა მისაღებია, ხოლო რა შინა-

არსით მოხდება მისი დაგვირთვა, ეს უკვე იმ ახალი კონცეფციების გასარკვევია, რაც დაინერგა თანამედროვე საბიბლიოთეკო საქმეში. განაგრენინგები, რომლებიც ასე აქტიურად ინერგება ჩვენში, სემინარული მუშაობის განშტოება არ არის. მთავარია, ახლებურად დამუშავდეს სემინარის არსი, მისი ფორმა, პრინციპები, ამოცანები და ტექნოლოგია.

ქურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“ რამდენადმე თვითონ იგვირთა სემინარების ჩატარების პროგრამირების მისია საკმაოდ მაღალი დონითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ აქ სუბიექტური ამრი ნაკლებად ფიგურირებს ან კიდევ განზოგადებულად წარმოჩნდება და, ამდენად, ფაქტობრივად, გამორიცხულია პოლემიკის შესაძლებლობანი. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს, რომ ქურნალის ამრით, საბიბლიოთეკო სემინარი არ კარგავს თავის ფუნქციას და იგი საბიბლიოთეკო მუშაობის აუცილებელ კომპონენტად გვევლინება.

ალბათ დაგვეთანხმება სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის მეთოდური ცენტრი, რომ მის მიერ ჩატარებული სემინარები, რომლებიც იშვიათობას წარმოადგენს, (მაქსიმუმ – თვეში ერთხელ), დიდ დახმარებას უწევს მეთოდური მუშაობის სრულყოფას. ასეთი პრაქტიკა თავისთავად საბიბლიოთეკო მუშაობის პროფესიონალიზმით ხასიათდება (პროფესიული ცოდნის და გამოცდილების შექმნა ხშირად ხდება საბიბლიოთეკო სემინარების სისტემატური მუშაობის შედეგად).

საბიბლიოთეკო სემინარების სპეციფიკამ დაგვარწმუნა, რომ პრაქტიკაში განსაკუთრებით დიდად სასარგებლოა მეთოდსამსახურების კოორდინირებული მუშაობის სისტემა. ამ შემთხვევაში აუცილებელია მეთოდური ცენტრების მიერ ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, რაც გაზრდის ინტერესებს სიახლესადმი და მოგვცემს ახალ-ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის საშუალებას.



სოფიო ღონღაძე, ნინელი მეღაძე, თამარ გოშაძე, ნანა წერეთელი



სასწავლებელი ბიბლიოთეკები კვლ ჩინეთში

აღიარებული ფირფიცებისა და ძვირადღირებული აბრეშუმის შემცველმა ქალაქმა დიდი გავლენა იქონია ჩინური ლიგერაგურის განვითარებასა და ქსილოგრაფიის გავრცელებაზე. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩინური კულტურის ისტორიისთვის, რაც უმთავრესად ბეჭდური პროდუქციის რაოდენობის მრდით გამოიხატა. წიგნი იშვიათ ფასეულობას წარმოადგენდა და ძალიან ხშირად, სწორედ საჭირო სახელმძღვანელობის უქონლობა მნიშვნელოვნად აძნელებდა განათლების მიღებას.

X-XIII საუკუნეებში სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდში ქსილოგრაფიული გამოცემები ისე ფართოდ გავრცელდა, რომ სინ ბინის გადმოცემით, XI ს-ის დასაწყისში ნაბეჭდი კომენტარები კლასიკური წიგნებისათვის ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

სწავლულთათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა წიგნის ფორმის შეცვლასაც. გრძელი გრაგნილებით სარგებლობა, რომელთა სიგრძე ხშირად ათ მეტრს აღწევდა, რათქმა უნდა, ძნელი იყო... რვეულივით აკინძული წიგნები ბევრად უფრო მოსახერხებელი გახდა წასაკითხად და შესანახადაც. ბეჭდური გამოცემების გავრცელებასთან ერთად, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა განათლების მიღებაც. სკოლებში სწავლა შეეძლოთ არა მხოლოდ არისგოკრაგებს, არამედ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებს.

მთავრობის განკარგულებით პროვინციის მმართველებს უნდა შეეკრიბათ ის პირები, რო-

მლებსაც შეეძლოთ სასწავლებლებში მასწავლებლებად მუშაობა – ყველა მხარესა და ქალაქში გაიხსნა სკოლები, თუმცა ბოგიერთ ადგილას მმართველთა უპასუხისმგებლობის გამო – დიდი დაგვიანებით. ამ დროიდან სასწავლებლები იხსნება ჩინეთის შორეულ პროვინციებშიც კი, რის შემდეგაც ჩინეთის ბევრი რაიონი განათლების ღონით არ ჩამორჩებოდა იმ დროისათვის ცნობილ მინის ფუძიანის და შუ სიჩუანის პროვინციებს. სახელმწიფო სამხარეო სასწავლებელი გახსნილი იყო შორეულ და ნახევრად ველურ კუნძულზეც კი, სადაც XI ს-ის დასაწყისში დამნაშავეებს ასახლებდნენ.

სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდში გაიზარდა სკოლების რაოდენობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასკოლო ქსელის გაფართოებას, რაც დაკავშირებული იყო საჯარო მოხელეთა კადრების მომზადებასთან.

სასწავლებლების განვითარება მჭიდროდ უკავშირდებოდა მათი ბიბლიოთეკების განვითარებას.

სასკოლო ბიბლიოთეკების ორგანიზაციაში დიდი წვლილი შეიგანა ხელისუფლებამ. დროთა განმავლობაში სასწავლო ბიბლიოთეკები არსდებოდა საოლქო და სამაზრო სასწავლებლებში. 1034-1038 წლებში აგებულ ერთ-ერთ ასეთ ბიბლიოთეკას მიეძღვნა სტაგია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბიბლიოთეკის სამხრეთ ნაწილში მოთავსებული იყო კლასიკური ლიგერაგურა, დასავლეთით – ისტორიული, ხოლო აღმოსავლეთით – მხაგვრული ლიგერაგურა და აგრეთვე მწერალ-ფილოსოფოსთა თხზულებანი. შენიშვნათა ავტორი აღნიშ-

ნავს, რომ წიგნებს თან ახლდა სპეციალური გეთით დამუშავებული აბრეშუმის ქსოვილისაგან დამზადებული ეტიკეტები.

განსაკუთრებით დიდი ფორმაგის ნაშრომთა კრებულები თავმოყრილი იყო ე.წ. შუ იუანებში, რომლებიც წარმოადგენდა უმაღლეს სკოლებს ანუ აკადემიებს მდიდარი წიგნსაცავებით. ერთგვარ ბიბლიოთეკად შეიძლება ჩაითვალოს ხანის პერიოდის სტელები კონფუციურ-კლასიკური ტექსტებით, რომლებიც მოთავსებული იყო შუ იუანის აკადემიის შესასვლელთან.

სტელებზე ამოგვიფრული ტექსტების წასაკითხად და ესტამპაჟების გადასაღებად იმდენად მრავლად მოდიოდნენ, რომ მთავარი ქუჩა გადაჭედილი იყო ათასობით ოთხთვალა ეტლებით. საოცარია ის ფაქტი, რომ ესტამპაჟების გადაღების პროცესმა, რაც ბევრად არ განსხვავდებოდა წიგნის ბეჭდვისაგან ქსილოგრაფიული მეთოდებით, მაშინვე არ წარმოშვა აზრი ტექსტის მექანიკური გამრავლების შესაძლებლობაზე სუნის მმართველობის პერიოდში გერმინმა „შუ იუანმა“ უფრო კონკრეტული მნიშვნელობა მიიღო და წარმოადგენდა ადგილს, სადაც მიმდინარეობდა მეცადინეობა გამოჩენილი სწავლეულების ხელმძღვანელობით. ამავე პერიოდში დამხმარე სახელმძღვანელოების უმრავლესობა ამოღებულ იქნა სასწავლო ბიბლიოთეკიდან, ვინაიდან ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ასეთი სახის ლიგერაგურას მიანი მოჰქონდა კონფუციურ-კლასიკური ლიგერაგურის განვითარებისათვის და ხელს უწყობდა სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას იმ პირთათვის, რომლებიც ხარისხს იცავდნენ მხოლოდ წარმატებული კარიერისთვის. სასწავლებლების ბიბლიოთეკების წიგნებით შევსება ხდებოდა არამარტო ყიდვით, არამედ სხვა საშუალებითაც. მათ შორის დიდი ადგილი ეჭირა კერძო პირთაგან შემოწირულობებს, რომელთა რიცხვი ზოგჯერ ძალიან დიდ რაოდენობას აღწევდა.

ხელისუფლების განკარგულებით დედაქალაქიდან წიგნები იგზავნებოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სასწავლო ბიბლიოთეკებშიც. 1001 წელს გამოიცა ბრძანება, რომ საოლქო და სამაზრო სასწავლებლებსაც გადასცემოდათ 9 კლასიკურ წიგნთა თითო ეგზემპლარი.

ისტორიული წყაროების მიხედვით, სუნის დინასტიის პერიოდში ხელისუფლების მიერ სასწავლებლების მომარაგება წიგნებით გრძელდებოდა შემდეგ პერიოდშიც. გარდა ამისა, სასწავლო ბიბლიოთეკების შევსება ხდებოდა გადაწერის გზითაც, წიგნადი ფონდი ივსებოდა თვით სასწავლებლების მიერ ნაბეჭდი ლოკუმენტებითაც. მთელ რიგ ჩინურ ქსილოგრაფიულ წიგნებს გააჩნდათ სასწავლებლის გიპოგრაფიის შტამპი, რაც ადასტურებს იმას, რომ სუნის მმართველობის დროს არსებობდა მკაცრი წესები ბიბლიოთეკის წიგნების გამოყენებისა. მაგალითად: წარწერები შტამპზე მიუთითებდა, რომ მოცემული წიგნი საოლქო სასწავლებლის საკუთრებას წარმოადგენდა. მისი გამოგანა იკრძალებოდა და ქურდობად ითვლებოდა. ეს ამკარად მიუთითებდა სახელმწიფო კონტროლს წიგნებზე. სუნის პერიოდში გამოცემულ ერთ-ერთ ქსილოგრაფიულ წიგნს თან ახლდა მკითხველისადმი მიუთითება წიგნის მოხმარების შესახებ, რომელიც მიუთითებდა მათ, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ წიგნებს და ამასთან შეახსენებდა ბიბლიოთეკარს, რომ მას ეკრძალებოდა დაზიანებული ან დასვრილი წიგნის მიღება. დაბეჭდილ წესებს თან ახლდა მიუთითება ბიბლიოთეკაში წიგნის მოხმარების შესახებ. ბიბლიოთეკარს ევალებოდა, ყოველთვიურად შეემოწმებინა წაღებული წიგნები, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მკითხველს აუცილებლად უნდა აენაზღაურებინა წიგნის ღირებულება, ხოლო მითვისების შემთხვევაში, ის ისჯებოდა.

ლალი ყაულაშვილი

კულტურული ნიშნის გაშვება XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში

შკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა გამოცემული წიგნების და სახელებათა რაოდენობა. შეიქმნა მრავალი ახალი კერძო გამომცემლობა, რამაც ხელი შეუწყო წიგნის შინაარსობრივ გამრავალფეროვნებას, ასევე ამაღლდა წიგნის მხატვრული და პოლიგრაფიული გაფორმების დონე, ქართული წიგნი გახდა თითქმის ყველა საერთაშორისო კონკურსის თუ გამოფენის მონაწილე. ბევრი მათგანი დიპლომებითა და პრემიებით აღინიშნა.

მეოცე საუკუნის ბოლოს დაარსებულ იმ გამომცემლობათა შორის, რომლებიც სასწავლო-პედაგოგიურ წიგნს გამოსცემენ, განსაკუთრებული ადგილი უკავია გამომცემლობა „ლეგას“, რომელიც დაარსდა 1991 წელს და ძირითადად სახელმძღვანელოებს გამოსცემს, მისი გამომცემებიდან გამორჩეულია 2001 წელს გამომცემული იგალიური ენის სახელმძღვანელო. 1992 წელს დაარსდა გამომცემლობა „ნეკერი“, რომელიც გამოსცემს სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ფილოსოფიური თხზულებების თარგმანებს. საშუალოდ წელიწადში გამოსცემს 20 დასახელების წიგნს. ამავე წელს დაარსდა გამომცემლობა „კეგელი“, რომელიც წელიწადში გამოსცემს საშუალოდ 30 დასახელების წიგნს, გირაჟი შეადგენს 1000, მისი გამომცემები ძირითადად სახელმძღვანელოებია.

გამომცემლობა „მერიდიანი“ დაარსდა 1994 წელს. წელიწადში გამოსცემს საშუალოდ 20 დასახელების წიგნებს. ათწლიანი მოღვაწეობის პერიოდში გამოსცა 150-ზე მეტი დასახელების წიგნი, რომელთა შორის უმეტესობა სახელმძღვანელოებია. გამომცემული აქვს რო-

გორც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ოცდაათამდე დასახელების სასკოლო სახელმძღვანელოები: ხელოვნების, ბუნებისმცოდნეობის, ისტორიის, და ლიტერატურის დარგებიდან, აგრეთვე საუნივერსიტეტო ლიტერატურა: იურიდიული, ენათმეცნიერების და ისტორიის დარგში.

1994 წელს დაარსდა საგამომცემლო ფირმა „ლაბჰარი“, წელიწადში გამოსცემს საშუალოდ 50-60 დასახელების სასკოლო-სახელმძღვანელო წიგნებს, მისი გამომცემებიდან გამორჩეულია „დედა ენა“.

1994 წელს დაარსდა გამომცემლობა „ინგლექტი“. წელიწადში გამოსცემს საშუალოდ 15 დასახელების წიგნს 500-600 გირაჟით. რომლის ძირითადი გამომცემები სასწავლო სახელმძღვანელოებია. მისი ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოში არსებული არაქართული (სომხური, რუსული, აზერბაიჯანული) სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მომზადებასა და სკოლებში გავრცელებას. ამავე წელს დაარსდა შემდგომი პასუხისმგებლობის საწარმო „ფორმა“, რომლის საშუალო გირაჟი შეადგენს 5000 ეგზემპლარს. მისი გამომცემებიდან გამორჩეულია 2001 წელს გამომცემული ქართული ენის სახელმძღვანელო, რომლის გირაჟი შეადგენს 10 000.

1995 წელს დაარსდა გამომცემლობა „ლიოგენე“. წელიწადში გამოსცემს საშუალოდ 30 დასახელების წიგნს 500 გირაჟით. სხვადასხვა სახის გამომცემებთან ერთად გამოსცემს სახელმძღვანელოებს. ამავე წელს დაარსდა შემდგომი პასუხისმგებლობის საწარმო „საარი“,

რომელიც საშუალოდ გამოსცემს 10-14 წიგნს, გირაჟი შეადგენს 300-400 ეგზემპლარს. მისი გამოცემიდან განსაკუთრებით გამოირჩეულია 2001 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები, რომელთა გირაჟი 10000 შეადგენდა.

1996 წელს დაარსდა გამომცემლობა „ელფი“. წელიწადში გამოსცემს საშუალოდ 13 დასახელების წიგნს 300-500 გირაჟით. მისი საგამომცემლო პრიორიტეტებია სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ მსოფლიოში ცნობილი გამომცემლობების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს „მომავლის გამომცემლობები“ ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები კომპიუტერის შემსწავლელთათვის: „ინტერნეტის სახელმძღვანელო“, „კომპიუტერის სახელმძღვანელო“, რომელთაც მინიჭებული აქვთ განათლების სამინისტროს გრიფი და მათ იყენებენ თბილისის სკოლებსა და კოლეჯებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2001 წელს გამოცემული „კომპიუტერის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“.

საგანმანათლებლო ინოვაციების დარგში გამოცემული აქვს ბავშვებისათვის: „მხიარული მათემატიკა“, „მე მიყვარს მათემატიკა“, რომელთაც წარმატებით იყენებენ სკოლებსა და კოლეჯებში. მოსწავლეთა ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებისათვის „როგორ ვისწავლოთ“, რომელიც შედგენილია თანამედროვე მეთოდით და ერთნაირად იყენებენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები. გამოცემული აქვს თ. ადამიას მიერ თანამედროვე მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო „მხიარული დედა ენა“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ამის დადასტურებაა ის გამოხმაურებები, რომლებიც დაიბეჭდა საქართველოს პრესაში, „მხიარული დედა ენა“ 5-7 წლის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. თუ მეთოდის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი საგანმანათლებლო ინოვაციაა და ანვითარებს იმ ბო-

გად უნარებს, რაც ამ ასაკში აუცილებელია.

სამეცნიერო ლიგერატურის დარგში გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები: „რა არის გლობალიზაცია“, „ინფლაციის თეორია“, „საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება“, აღნიშნული სახელმძღვანელოები განკუთვნილია როგორც სტუდენტებისათვის, ისევე პროფესორ-მასწავლებლებისათვის. გამოსცემს აგლასებს. დღეისათვის გამოცემული აქვს „საქართველოს საბავშვო აგლასი“, უახლოეს მომავალში მკითხველს ჰპირდება მსოფლიო აგლასის გამოცემას.

1996 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „ლობა“, რომლის საგამომცემლო პრიორიტეტებია სამეცნიერო ლიგერატურა და სასწავლო წიგნები. წელიწადში საშუალოდ გამოსცემს 15 დასახელების წიგნს გირაჟით საშუალოდ 1000.

1998 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „სეზანი“, რომლის საგამომცემლო პრიორიტეტებია სამეცნიერო, რელიგიური, სასწავლო ლიგერატურა, წელიწადში საშუალოდ გამოსცემს 20 დასახელების წიგნს 4000-5000 გირაჟით. მისი გამოცემებიდან გამოირჩეულია 2000 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები, რომლის გირაჟი შეადგენდა 20000 ეგზემპლარს.

1999 წელს დაარსდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „კაბალონი“, მისი საგამომცემლო პრიორიტეტებია სასწავლო სახელმძღვანელოები, სამეცნიერო-პოპულარული ლიგერატურა, გამოცემული წიგნების რაოდენობა შეადგენს 10-ს, გამოცემული წიგნების გირაჟი – 3000. მისი გამოცემებიდან გამოირჩევა 2001 წელს გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელო 5000 გირაჟით. ამავე წელს დაარსდა გამომცემლობა „ლია“, მისი საგამომცემლო პრიორიტეტებია სასწავლო სახელმძღვანელოები. წელიწადში გამოცემული წიგნების რაოდენობა შეადგენს 20-ს, საშუალო გირაჟი – 3000-5000 ეგზემპლარს. მისი გამოცემებიდან



გამორჩეულია 2001 წელს გამოცემული გეოგრაფიის სახელმძღვანელო 15000 გირაჟით.

2000 წელს დაარსდა გამომცემლობა „ლოგოს პრესი“. მისი საგამომცემლო პრიორიტეტებია სასკოლო სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიგერაგურა. წელიწადში გამოცემული წიგნების რაოდენობა შეადგენს 20-ს. გამოცემული წიგნების საშუალო გირაჟი – 50-ეგზემპლარია.

2002 წელს დაარსდა შემღვდული პასუხისმგებლობის საწარმო „პირველი ელექტრონული გამომცემლობა“. საგამომცემლო პრიორიტეტებია ელექტრონული წიგნები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, სახელმძღვანელოები. წელიწადში გამოსცემს 10-12 დასახელების წიგნს, გამოცემული წიგნების გირაჟი საშუალოდ შეადგენს 2000-3000 ეგზემპლარს. მისი გამოცემებიდან გამორჩეულია 2001 წელს გამოცემული „ქართული ფოლკლორი“, რომლის გირაჟი შეადგენდა 25000 ეგზემპლარს.

სასწავლო პედაგოგიურ წიგნებს გამოსცემენ ის დარგობრივი გამომცემლობები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მეოცე საუკუნის დასასრულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. ასეთებია: 1995 წელს დაარსებული გამომცემლობა „ქართული მედიცინის საერთაშო-

რისო ფონდი“, რომელიც ძირითადად გამოსცემდა სასწავლო-სამედიცინო ლიგერაგურას. წელიწადში გამოცემული წიგნების რაოდენობა შეადგენს 2-ს. გამოცემული წიგნების საშუალო გირაჟი შეადგენს 500 ეგზემპლარს. 1999 წელს დაარსდა გამომცემლობა „მთაწმინდელი“, რომელიც გამოსცემს სამედიცინო დარგის პედაგოგიურ ლიგერაგურას. მის მიერ წელიწადში გამოცემული წიგნების რაოდენობა შეადგენს – 20-ს. საშუალო გირაჟი – 200 ეგზემპლარს. მისი გამოცემებიდან გამორჩეულია 2001 წელს გამოქვეყნებული „შინაგან დაავადებათა სიმპტომატიკა“, რომლის გირაჟი შეადგენდა 20000-ს. ამავე წელს დაარსდა გამომცემლობა „დედა ენა“, რომელიც გამოსცემს ამავე დარგის ლიგერაგურას.

სახელოვნებო დარგის სასწავლო ლიგერაგურას გამოსცემს 1994 წელს დაარსებული გამომცემლობა „ცის ნამი“, რომელიც წელიწადში გამოსცემს 10-12 წიგნს, საშუალო გირაჟი შეადგენს 1000 ეგზემპლარს, მისი გამოცემებიდან გამორჩეულია 2001 წელს გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელო „მუსიკა“. სახელოვნებო დარგის პედაგოგიური ლიგერაგურის გამოცემას აგრძელებს 1947 წელს დაარსებული გამომცემლობა „ხელოვნება“.

გამოყენებული ლიგერაგურა:

1. ქართული წიგნი: ცნობარი. – თბ., 2002.
2. <http://www.gtu.ge/gamomcemloba/about.html>
3. <http://www.tsu.ge/geo/publisuing%20geo.htm>
4. www.sulakauri.com.ge
5. www.meridianpub.com
6. azri-virtualave.net/azri.htm
7. <http://www.elf.ge>

ნინელი მეღვინე, ალექსანდრე ლორია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმორისი აპონეპენტი

(ისტორიული თვალთახედვით)



ენციერებისა და გექნიკის განვითარება ყოველთვის იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვრცელდებოდა ინფორმაცია ქვეყნებს შორის.

ასეთ დროს უდიდეს როლს ასრულებდა სწავლულთა და ოსტატთა მოგზაურობანი, მათ მიერ ჩამოტანილი მატერიალური ფასეულობანი და ინფორმაცია. ძალიან ადრე დაკანონდა გამოკვლევებისა და დაკვირვებების შედეგად შექმნილი წიგნების თარგმნის წესი. ამის დამკვიდრების ინიციატორები ყოველთვის იყვნენ ბიბლიოთეკა-წიგნსაცავები. შუა საუკუნეების საქართველოში, როგორც ყველგან, ერთი სამონასტრო წიგნსაცავი მეორეს დროებით ათხოვებდა წიგნებს გადასახუსხავად.

ხელნაწერებით ამგვარი ცვლა თანდათან რეგულირდებოდა, ვიდრე ის არ გადაიზარდა ორგანიზებულ სისტემად, რასაც დღეს ჩვენ ბიბლიოთეკათმორის აბონემენტს ვუწოდებთ (ბზა).

ძნელია ითქვას, სად და როდის დაიწყო ამ სისტემამ არსებობა; მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ წამოწყებას სათავე გერმანიაში აქვს. ევროპაში ამ იდეის სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი ყოფილა გენიალური გერმანელი მწერალი და მოაზროვნე იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749-1832). ვაიმარში უზენაეს მოხელედ ყოფნის დროს ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საჰერცოგო კარის ბიბლიოთეკას. იყო მრავალი სიახლის დამნერგავი. მისი ბრძანებით შედგა ინკუნაბულებისა და უნიკალური გამოცემების კატალოგი, შემოღებულ იქნა დაუსწრებელი აბონემენტი პროფესორთათვის, დამყარდა ურთიერთობა იენის უნივერსიტეტის ბიბლი-

ოთეკასთან, რაც საბოლოოდ გაფორმდა მათ შორის წიგნების დროებით ურთიერთთხოვების ხელშეკრულებით.

ამგვარი წესი თავდაპირველად გერმანიის სხვა ბიბლიოთეკებმაც დაამკვიდრეს, შემდეგ კი ეს მთელ ევროპაში გავრცელდა, ხოლო ამერიკელებმა ამ სისტემას ფართო ასპარეზი გაუხსნეს და მეთოდოლოგიური საფუძველი შეუქმნეს. ამან ხელი შეუწყო ბზა-ს მთელ მსოფლიოში გავრცელებას.

ამჟამად მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკები აქტიურად სარგებლობენ ამ სისტემის სხვადასხვა ფორმით. ყველგან, სადაც სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და პოლიტიკური დიალოგი, მკვეთრად იზრდება ინფორმაციის გაცვლისა და დოკუმენტების შეუფერხებლად წვდომის მოთხოვნილება. საბიბლიოთეკო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციისა (IFLA) და მისი დაწესებულებების მიერ, იუნესკოს მხარდაჭერით, შემუშავებულია გამოცემების საყოველთაო მისაწვდომობის კონცეფცია, რომლის მთავარი ამრი იმაშია, რომ ყოველგვარი გამოქვეყნებული მასალა მისაწვდომი იყოს ყველასათვის. „მისაწვდომობის“ კრიტერიუმად აღებულ უნდა იქნეს ისეთი პროცესები, როგორიცაა: მასალის პუბლიკაციისა და გავრცელების პირობები, ბიბლიოთეკებისა და არქივების დაკომპლექტების ხარისხი, მკითხველთა უზრუნველყოფისა და მასალის დაცვის ღონე მომავალი მკითხველებისათვის. აი, ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რამდენად მაღალხარისხოვანია „საყოველთაო მისაწვდომობა“.

„საყოველთაო მისაწვდომობა“ გული-

სხმობს როგორც მსოფლიოს გამოცემათა მისაწვდომობას, ისე მსოფლიოსათვის ყოველი გამოცემის მისაწვდომობას. ბიბლიოთეკის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს ამ პროცესს, რაც სწორედ ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის მეშვეობით ხორციელდება.

ბშა ღღეს წარმოადგენს მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო საბიბლიოთეკო მომსახურების კანონზომიერ ფორმას. ფაქტობრივად, ნაციონალურ მასშტაბებში სხვადასხვა ღონისა და უწყებების ბიბლიოთეკების ბშა-თი ურთიერთობა წარმოადგენს ფუნქციონალური ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითს.

საქართველოში ბშა-ს ისტორია სათავეს იღებს იქიდან, როცა რუმინანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკა (ღღეს რუსეთის სახელმწ. ბიბლიოთეკა – ГБР) თავისი ფონდებიდან დროებითი სარგებლობისათვის წიგნებისა და ხელნაწერების სამეცნიერო ორგანიზაციებსა და საზოგადოებებზე გაგზავნას იწყებს. ამ ბიბლიოთეკის დაარსებიდან (1862) პირველ ათეულში წიგნებისა და ხელნაწერების გაცემის რაოდენობა 40-50-ს აღწევდა ყოველწლიურად. მის აბონენტებს შორის იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიის საზოგადოების კავკასიის განყოფილების (КОИРГО) ბიბლიოთეკა და „გფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. ამის თაობაზე დასახელებული ორგანიზაციების ანგარიშებში მასალები საკმაოდაა მიმოფანტული. ეს ბიბლიოთეკები არა მარტო ღებულობდნენ წიგნებს რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან, არამედ თავადაც აგზავნიდნენ, განსაკუთრებით კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, რის შესახებაც უგყუარი ცნობები არსებობს. მაგალითად КОИРГО-ს მაგიახეს 1862 წლის ანგარიშში წერია: „კავკასიის ხაზინის მარცხენა ფრთის შგაბის უფროსი 13 ღეკემბერს (№2105) აუწყებს ჩვენს განყოფილებას, რომ მარცხენა ფრთის სგაგისგკური და სამხედრო-სგაგისგკური აღრიცხვისათვის ღანიშნულია ღავიღოვი. გვსურს რა ხელი შეუწყოს ოფიცერს მასზე ღა-

კისრებულ ღავალებს წარმაგებით შესრულებაში, გთხოვთ, „კოირგოს“ ბიბლიოთეკიდან გაიგზავნოს მარცხენა ფრთის შგაბში ღიგერაგურა, რომელიც ეხება კავკასიის სასაზღვრო ხაზს და სგავროპოლის გუბერნიას, აგრეთვე „Записки КОИРГО“-ს გამოცემები. აქვე აღნიშნავთ, რომ მათი ღამუშავების შემღეგ ისინი ღაუყოვნებლივ იქნება ღაბრუნებული“. ჩვენმა ბიბლიოთეკარმა კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის შგაბის უფროსს გაუგზავნა „Записки КОИРГО“-ს 4 გამოშება“.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივში 1905 წლის კაბრაში (გვ. 16-17) ღაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის (АН) ბიბლიოთეკამ ღამოუგზავნა წიგნები თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს რ.გ. შმიღგს ორი თვის ვაღით. ცნობიღია, რომ ამ ღიგერაგურამ ხელი შეუწყო კავკასიის ბუნების ძეგლების ღაცვის ინსგრუქციის პროექტის შექმნას.

მიუხეღავად წიგნების ამგვარი მიმოქცევისა, რუსეთის იმპერიაში საკმაოღ ღიღი ხნის განმავლობაში არ არსებობღა ბშა-ს სისგემის სპეციალური ინსგრუქცია. საერთოღ, წიგნები სხვა ბიბლიოთეკიღან იშვიათაღ გამოიწერებოღა ღა ყოველთვის საჭირო იყო ყოველი წიგნის მოთხოვნაზე ყოფიღიყო იმპერატორის (უკიღურეს შემთხვევაში მინისგრის ან მეფისნაცვის) სპეციალური რებოლუცია.

1917 წლის ნოემბერში ვ.ი. ღენინმა საჯარო ბიბლიოთეკას პეტროგრადში წერილობითი ღავაღება მისცა გაღასულიყო წიგნების გაცვლაზე როგორც პიგერისა ღა პროვინციების ყველა საზოგადოებრივ ღა სათემო ბიბლიოთეკასთან, ასევე უცხოეთის ბიბლიოთეკებთან (ფინეთი, შვეღეთი ღა სხვ.).

1928 წლის თებერვალში რსფსრ მთავარმეცნიერებასთან არსებულ საბიბლიოთეკო კომისიის სხღომაზე მიიღეს ღებუღება სამეცნიერო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის შესახებ.

წელიწღელში „Ежегодник НКП“ მთავა-

რმეცნიერებამ თავისი პასუხისმგებელი პირების მიერ სახელმწიფო ბიბლიოთეკებს მოუწოლა მიეღოთ ზომები ხსენებული დებულების ცხოვრებაში გასაგარებლად, ხოლო შედეგები ეცნობებიათ მთავარმეცნიერებისათვის (1928, 13 აპრ. № 15, ცირკულარი. № 357).

რამდენად მნიშვნელოვანი იყო ბშა-ს გავრცელება საბჭოთა კავშირში ამ პერიოდისათვის, მეტყველებს ისიც, რომ ბშა-ს სახელმწიფო კრულებო ბლანკში სპეციალურად იყო მითითებული პუნქტი, რომ ბშა-ს აბონენტ-ბიბლიოთეკას თავის მოვალეობად უნდა ეღიარებინა ბშა-ს პოპულარიზაცია, და ემზუნა მასზე მოთხოვნის გაზრდისათვის.

ცხადია, საქართველოს ბიბლიოთეკები ვალდებული იყვნენ მიეღოთ ის წესები, რაც საკავშირო მასშტაბით ვრცელდებოდა, მაგრამ ეს მოითხოვდა საქმის სათანადო შესწავლას, ორგანიზაციას და მეთოდურ დამუშავებას. ჩვენში ამისათვის მუშაობა თავიდანვე დაიწყო და მაღალი შედეგებიც იქნა ნაჩვენები, მაგრამ უფრო აქტიურად ამ საქმის მოგვარებას 1931 წლიდან შეუდგნენ. მანამდე ამ საკითხებით დაინტერესებული იყო სკოლისგარეშე განათლების სახლთან არსებული „საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი“. აქ იყო ორგანიზებული სპეციალური კურსები საბიბლიოთეკო განათლების მისაღებად.

კურსებზე სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ მეცნიერ მუშაკები და კვალიფიციური ბიბლიოთეკარები: გ. გეხტმანი, გ. ჩურსინი, ე. გორინა, ი. ციციშვილი, გ. ბაქრაძე, ლ. ეგორაშვილი, მ. მათათაშვილი, გ. ცაგარელი, შ. დოლაქიძე, ვ. ჯოჯუა, დ. მარკევიჩი, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ. სწავლების ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო პროგრამა – საბიბლიოთეკო საკანონმდებლო პრობლემები მიჰყავდა ვიქტორ ბროსეს. საგულისხმოა, რომ ის ოფიციალურად მუშაობდა ამავე დროს საქართველოში ბშა-ს დანერგვისა და გავრცელების პრობლემებზე. ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც ამუშავებდა ბშა-ს საკანონმდებლო და გექნი-

კური ორგანიზაციის ინსტრუქციებს.

თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების სპეციალურმა კომისიამ „საბიბლიოთეკათმორისო აბონემენტის დებულების შედგენა სწორედ ვიქტორ ბროსეს დაავალა (თავმჯდომარე გ. გეხტმანი, მოადგილე გ. ბაქრაძე, მდივანი ვ. ბროსე, მისი მოადგილე ნ. ლორთქიფანიძე).

1930 წლის 13 მარტს აღნიშნული კომისიის მეოთხე სხდომაზე ვ. ბროსემ წაიკითხა საწარმოო კომისიის დავალებით მის მიერ შემუშავებული „დებულების პროექტი“. პროექტი მოწონებულ იქნა როგორც სადირექტივო დოკუმენტი სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის.

როცა 1929 წელს გაუქმდა სკოლისგარეშე განათლების სახლთან არსებული კაბინეტი, მთელი მეთოდური და სამეცნიერო მუშაობის სიმძიმე საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ იტვირთა. სულ მალე (1931) აქ შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი. მას თავიდანვე მუსტად განუსამზღვრეს მიზნები: ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი უნდა ეწეოდეს იდეოლოგიურ ბრძოლას ბურჟუაზიულ გავლენების წინააღმდეგ და უმკაცრესი თვითკრიტიკით ახდენდეს საბიბლიოთეკო საქმის ყოველგვარი თეორიის გადახედვას იმისათვის, რომ სათანადო შეფასება მიეცეს იმ მემკვიდრეობას, რაც არსებობს საქართველოში.

კაბინეტის შტაბი შემდეგნაირად განისაზღვრა: ნ. ლორთქიფანიძე – კაბინეტის გამგე (შეთავსებით. ძირითადად ეკავა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სწავლული მდივნის ადგილი), დ. მარკევიჩი – კონსულტანტი და ერთი შტაბი ბიბლიოთეკარისათვის.

ვ. ბროსე, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო ბშა-ს ჩამოყალიბებისა და მეთოდურად სწორად წარმართვისათვის, ასრულებდა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის რუსული ლიტერატურის განყოფილების გამგის მოვალეობას, პარალელურად მოღვაწეობდა ხსენებულ კაბინეტში. 1931 წლის 25 თებერვალს გადაიყვანეს კავკასიათმცოდნეობის განყოფილების გამგედ. მეგად მერყევი გამო-



დგა ამ დიდი სპეციალისტის მდგომარეობა. თანახმად 1931 წლის 16 ივლისის ე. წ. „წმინდის კომისიის“ მიერ შედგენილი დოკუმენტისა (22 ოქმი, №1-2), II კატეგორიით მოხსნილ იქნა ამავე წლის 15 თებერვალს რუსუდან მიქელაძესთან ერთად. იგი შემდეგ კვლავ დააბრუნეს სამსახურში და რარიტეტის საცავის გამგედ დაინიშნეს. მისი მოღვაწეობის ეს ხანა საკმაო ბუნდოვანებითაა მოცული. დოკუმენტების მიხედვით, 1936 წლის 7 თებერვალს ის თავისი სურვილით წასულა სამსახურიდან.

1931 წლის 27 აგვისტოს შედგა თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების საწარმოო კომისიისა და სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკების რეკონსტრუქციის კომისიის გაერთიანებული სხდომა (თავმჯდომარე ს. ეული, წევრები: დ. მარკვეიჩი, გ. ბაქრაძე, ი. ციციშვილი, ი. იაგორაშვილი, ვ. ბროსე და სწავლული მდივანი ნ. ლორთქიფანიძე). სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში შეიქმნა 5 სექტორი და 8 კაბინეტი. ბშა-სთვის განსაკუთრებული ვითარება შეიქმნა: როგორც გამონაკლისი, მისი ფუნქციები სამდივნოს დაეკისრა.

1937 წ. უკვე საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის 23 აპრილის №138 ბრძანებაში ვკითხულობთ: „საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის წარმოება გადაეცეს სამკითხველო დარბაზს. დაევალოს დარბაზის გამგეს მ. კალანდაძეს გააპრობონოს საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტი და მუსგად აწარმოოს ხელშეკრულების გაფორმება, წიგნების გაცემა და აგრეთვე ბიბლიოთეკისათვის საჭირო ლიტერატურის მიღება აღნიშნული წესით“.

როცა ვლადიმერ კობთ ბშა-ს დანერგვის საწყის ეტაპზე, არ შეიძლება განსაკუთრებით არ მოვისხენით ვიქტორ ბროსე (1893-1937). ის იყო ამ საქმის ნოვატორი, მეთოდისტი, ორგანიზატორი. იგი პეტერბურგში დაიბადა, წარმატებით დაასრულა აქ უნივერსიტეტის სამართლის ფილოსოფიის სპეციალობა 1917 წელს და ასპირანტურაში განაგრძო სწავლა, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იძულებული გახდა

საქართველოში ჩამოსულიყო და გაეგრძელე ბინა დიდი ბაბუის საქმე – ელვაწა საქართველოს მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის დარგში.

ბევრი არაფერი შემოგვრჩა მისი და მის შესახებ. ყოველივე ეს რეპრესიების ღვარცოფმა შთანთქა 1937 წელს, როცა ის დახვრიტეს. მაგრამ უბრალო დაკვირვებითაც ნათლად ჩანს ამ პიროვნების ერუდიცია და პროფესიონალიზმი, რაზეც მეტყველებს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ „შრომებში“ გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია და მის მიერ 1929 წელს შედგენილი დებულების პროექტი „ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის შესახებ“.

ბშა-ს საწყის ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ გამოკვეთილი არ იყო მისი არსი, ვ. ბროსე მეცნიერულად ამუშავებდა ამ საკითხებს, ეცნობოდა საკავშირო გამოცდილებას და დებულებებსა და ინსტრუქციებზე მუშაობდა, აშვე დროს უხდებოდა კოლეგებისათვის ახსნა-განმარტებების მიცემა. ამაზე მეტყველებს მისი ერთი გამოსვლა, რომელიც ფიქსირებულია ერთ-ერთ ოქმში. მას შემოაქვს წინადადება, რომ გააქტიურდეს ურთიერთობა სხვა ბიბლიოთეკებთან, მათ უნდა იცოდნენ, რა ლიტერატურას ვფლობთ ჩვენ. „ეს არ იქნება ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტი, – ამბობს ის, – ეს იქნება მკითხველთა გაცვლა-გამოცვლა, და არა წიგნების გაცვლა“. აქვე ის აყენებს საკითხს, საქმის შესწავლის მიზნით, მკითხველებისათვის სათანადო წრის შესაქმნელად.

ვ. ბროსეს საქმე დ. მარკვეიჩმა განაგრძო. მან 1941 წელს გამოაქვეყნა კიდევ მეთოდური სახელმძღვანელო ბშა-ს შესახებ. სამწუხაროდ, ვ. ბროსე მასში სრულიადაც არ არის მოხსენებული. ამან არ უნდა გამოიწვიოს რაიმე გაუგებრობა – რეპრესირებულთა ხსენება ბეჭდურ სიგყვაში ხელისუფლების მიერ სასტიკად იკრძალებოდა.

ბშა-ს სისტემის ჩამოყალიბებისათვის საქმიანობა მთელ სსრ კავშირში დიდხანს მიმდინარეობდა. 1933 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებაში – „თვითგანათლების საქმის გაუმჯობესე-

ბის შესახებ“ ნათქვამია: წინადადება მიეცეს განსახკომებს, იმგვარად მოაგვარონ ბიბლიოთეკების ურთიერთობა, რომ მკითხველებს მოემსახურონ არა მარტო მათ მფლობელობაში არსებული ფონდებით, არამედ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ გამოიყენონ სხვა ბიბლიოთეკების ფონდებიც.

ამ დადგენილებით განსახკომებს დაევა-
ლათ, დაედგინათ და გამოექვეყნებინათ სიები
იმ ბიბლიოთეკებისა, რომლებიც მოვალენი
არიან უმრუნველყონ ამ საქმის ორგანიზაცია
რეგიონში, აგრეთვე შეიმუშაონ წიგნების და-
ცვისა და თავის დროზე დაბრუნების წესები.

გემოხსენებული დადგენილების საფუძვე-
ლზე საქართველოში 1934 წლის 14 მაისს ცე-
ნგრაღური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ
მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოში
საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“.

ბშა-ს სისგემა საწყის ეტაპზე მოიცავდა მხო-
ლოდ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს და შედეგე-
ბიც საკმაოდ მოკრძალებული იყო, მაგრამ მო-
მავლისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1939 წელს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და
სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლი-
კური მეთოდცენტრის მიერ ჩატარებული გამო-
კვლევების შედეგად ირკვევა, რომ 1934-1938
წლებში საქართველოს ბიბლიოთეკების მიერ
ბშა-თი მიღებული იყო სულ 1. 946 წიგნი, ხო-
ლო სხვა ბიბლიოთეკებს გაეგზავნა 994 ეგზე-
მპლარი.

1937 წ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჯერ
სექტორი, შემდეგ სპეციალური განყოფილება
შეიქმნა. ალბათ ამიგომაც მოგი თვლის, რომ
ბშა-ს საქმიანობა საქართველოში სწორედ ამ
წლიდან იწყება, რაც არ შეესაბამება სიმარ-
თლეს. ის კი ცხადია, რომ ამ წლიდან ბშა-ს
განყოფილება თანდათან უფრო მობილური
ხდება. იბრდება მასზე მოთხოვნა. გამოიკვეთა
ბშა-ს სისგემა.


მთელ საბჭოთა კავშირში ბშა-ს განვითარე-
ბის ხანგრძლივ პერიოდში საჭირო ხდებოდა
გარდაქმნები და სიახლეთა დანერგვა. საკმა-

რისი არ იყო 1934 წელს გამოქვეყნებული დე-
ბულება აბონემენტის შესახებ“, რომელიც არ
უმრუნველყოფდა ბშა-ს გექნიკური ოპერაცი-
ების წარმოებას ნორმატივების მიხედვით.
ერთიანი ორგანიზაციული და გექნიკური ფორ-
მების უქონლობა აძნელებდა საქმეს. საქა-
რთველოში დ. მარკვეიჩმა ბშა-ს საქმიანობის
საფუძვლად აიღო მოსკოვის საოლქო ბიბლი-
ოთეკისა და მ.ე. სალგიკოვ-შჩედრინის სახე-
ლობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბი-
ბლიოთეკის გამოცდილება, და დანერგვა საქა-
რთველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.
სწორედ ამ ბაზაზე შექმნა მან დოკუმენტი, რო-
მლის გამოყენებაც შეიძლებოდა მთელი ქვე-
ყნის მასშტაბით. მან დიდი პოპულარობა მო-
იხვეჭა, რამედაც მეცყველებს ამ დოკუმენტზე
დაკვეთები, რომლებიც მოვიდა სსრ კავშირის
სხვადასხვა ქალაქებიდან (მოსკოვის სამთო
ინსტიტუტის, უკრაინის ჰიდროლოგიური ინსტი-
ტუტის, წითელი არმიის სამხედრო-საინჟინრო
აკადემიის, სამარყანდის უნივერსიტეტის, უზბე-
კეთის ცენტრალური საცნობარო, მოსკოვის
ახალი გექნიკის ბიუროს გექნიკური, მოსკოვის
სახელმწიფო საისტორიო, ლენინგრადის მეგა-
ლურგიური ქარხნების საპროექტო ინსტიტუ-
ტის სამეცნიერო-გექნიკური და სხვა ბიბლი-
ოთეკებიდან).

მომდევნო წლები უკვე იქცა საქართველოში
ბშა-ს სრულყოფილად ჩამოყალიბების ხანად.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა
1955 წელს სსრ კავშირის კულტურის სამინი-
სტროს მიერ მიღებული ახალი „დებულება ბი-
ბლიოთეკათმორისი აბონემენტის შესახებ“,
რომელიც სავალდებულო იყო ქვეყნის ყველა
ბიბლიოთეკისათვის. ამან ხელი შეუწყო საქა-
რთველოში ბშა-ს ქსელის გაფართოებასა და
განვითარებას.

60-80-იან წლებში საქართველოს სახელ-
მწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ერთი-
ორად გაზარდა ბშა-თი როგორც წიგნების მი-
ღება, ისე გაცემა. ის იქცა რესპუბლიკის მთა-
ვარ სამეცნიერო ბიბლიოთეკად და სამეცნი-



ერო-მეთოდურ საკოორდინაციო ცენტრად ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის დარგში.

50-60-იან წლებში საქმეს ართულებდა იმ გარანგიების მოთხოვნები, რომლებსაც ესა თუ ის ბიბლიოთეკა ითხოვდა. თითქმის ყველა ბიბლიოთეკას თავისი დებულება ჰქონდა, რაც ართულებდა გლობალურ ურთიერთობას. ამიგომაც მიზანშეწონილი იყო 1969 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დებულების დამტკიცება, რომლის საფუძველზე ბშა-ს საკავშირო სისტემა უკვე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-გეროგორიულ დაყოფას, აგრეთვე ბიბლიოთეკების ქსელსა და გიპებს, მათი ფონდების მოცულობასა და შინაარსს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას, როგორც რესპუბლიკაში საკოორდინაციო და მეთოდურ ცენტრს ბშა-ს განხრით, ზოგი ახალი ფუნქცია დაეკისრა და მკვეთრად ჩამოყალიბდა მისი ამოცანები და გექნიკური პროცესების მართვის წესები. კიდე უფრო განმტკიცდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც დამტკიცდა საკავშირო სტანდარტი „ГОСТ-7.31-81-ЕДИННАЯ Государственная система межбиблиотечного абонементов“.

სწრაფად ვითარდება და იზრდება რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბშა. ფართოვდება მისი გეოგრაფია, იზრდება წიგნების მიმოქცევის მოცულობაც. მაგალითად, თუ 60-იანი წლების დასასრულს მისი ფონდებით სარგებლობდა დაახლოებით 700 ქალაქის ბიბლიოთეკები, 80-იანი წლების ბოლოს მათი რიცხვი 3 ათასამდე გაიზარდა, ხოლო 90-იანი წლების ბოლოსათვის – 4 ათასამდე.

როგორც წესი, ბშა-თი მოთხოვნილი წიგნები უმეტესად ემთხვევა მეცნიერულ და გექნიკურ ინგერესებს, გამიზნულია სერიოზული მუშაობისათვის. ამას ადასტურებს ბოლო წლების სტატისტიკური ანალიზიც. მაგალითად, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის ბშა-ს მიერ დაკმაყოფილებული 5074 მოთხოვნილი წიგნების 95% სამეცნიერო ლიგერატურაზე მოდის. ყველაზე მეტად მოთხოვნილი იყო საქართველოში XIX საუკ. გამოცემული ლიგერატურა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ყოველთვის გულდასმით და შემოქმედებითად ეკიდებოდა ბშა-ს ფუნქციონირებას, მისი განვითარების თეორიასა და პრაქტიკის საქმეს. ამის დადასტურებაა ის აქტიური საქმიანობა, რომელსაც განყოფილება ეწევა, აგრეთვე თუნდაც საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით 1986 წელს შემოღებული ქართულენოვანი მოთხოვნის ბლანკის შექმნა და სხვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც დღეისათვის ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული წიგნსაცავი, ფლობს ისეთ რესურსებს ნაბეჭდი თუ ელექტრონული სახით, რომ მას უნარი შესწევს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით დააკმაყოფილოს საერთაშორისო საზოგადოების ფართო მოთხოვნები წიგნსა და ინფორმაციაზე, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული გექნოლოგიების პირობებში საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მომავალი ბშა-ს განვითარების მხრივ მეტად საიმედო და პერსპექტიულია.

გამოყენებული ლიგერატურა:

შრომა შესრულებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივის მასალების მიხედვით, აგრეთვე გამოყენებულია: საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1905 წლის კაბრა.

Записки КОИРГО – 1962.


Маркевич Д.Н. Межбиблиотечный абонемент. – Тб., 1941.

Обращаемость фондов Национальной библиотеки Грузии: по материалам МБА / отв. исполнитель Н.В. Мелкадзе; отчет НИР отдела Национальной библиотеки Грузии. – 1991.

დარეჯან კოტეტიშვილი, სოფიო არჩვაძე

ილია ჭავჭავაძის კულტურულ-საბანმანათლებლო მოღვაწეობა

იმ გამოჩენილ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ქართველი ხალხის ეროვნულ სიამაყეს შეადგენენ, ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველთაგანია. იგი იყო პოეტი, ბელეტრისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, იურისტი. მისი შემოქმედების მრავალფეროვნება და ინტერესთა სიფართოვე ნამდვილი ენციკლოპედიური ხასიათისაა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მრავალმხრივ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეორეს ვერ დავასახელებთ. მან ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგს. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ილია იყო განახლების პრინციპების ფუ-



ძემდებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, ხალხის ინტერესების დამცველი, ერის განმანათლებელი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, დიდი მამულიშვილის მოწამებორივ აღსასრულამდე, ქართველი ერის ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელსაც სათავეში არ ჩასდგომოდეს, თავისი გადამწყვეტი

სიტყვა არ ეთქვას ერის სინდისს – ილია ჭავჭავაძეს. „იქნებ არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“, – ასე დაახასიათა დიდი თანამედროვე ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელმა – იაკობ გოგებაშვილმა.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსულას იწყებს „საქართველოს მოამბე“. ეს იყო ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც მხოლოდ 1863 წელს გამოდიოდა და სულ 12 ნომერი გამოიცა. მიუხედავად მცირე ხნით არსებობისა, ამ ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი კულტურის ისტორიაში. იგი ეხებოდა ძირითადად საზოგადოებრივ პრობლემებს, ილაშქრებდა ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, გამოდიოდა თავისუფალი შრომის მოსარჩლედ, იბრძოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და ამაღლებული პატრიოტიზმისათვის, იღვწოდა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის.

ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური ნაწარმოებები, ისე თარგმანები.

ცნობილია, რომ ჭავჭავაძის მთელი სიცო-


ცხლე უშუალოდ წიგნთან იყო დაკავშირებული. ილია ბევრს კითხულობდა და ხშირად წიგნებზე ლამეებიც ათენდებოდა. გამოვილოდა თუ არა რაიმე შესანიშნავი წიგნი, იგი ერთ-ერთი პირველი იყიდა მას, გადაიკითხავდა, საჭირო აღნიშვნებს გააკეთებდა, შემდეგ კი თავის ამრს სხვებს გაუზიარებდა. ცოლის გავრცელებისა და ფართო მასებში განათლების შეგანის უმნიშვნელოვანეს საშუალებად ილიას ბიბლიოთეკა მიაჩნდა: ჯერ კიდევ პეგერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, ამ უძველესი სასწავლებლის მოსწავლე ქართველი სტუდენტები ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ეროვნული ბიბლიოთეკის დასაარსებლად ძველი წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვებას შეუდგნენ. ამ საქმეში აქტიურად ჩაება პეგერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის აბსოლუტური უმრავლესობა. იმ დროს ჯერ კიდევ სტუდენტები, შემდეგ კი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: ნიკოლოზ და ბესარიონ ლოლობერიძეები, მიხეილ ანდრონიკაშვილი, პეგრე ნაკაშიძე, აკაკი წერეთელი და სხვები, ლექციებიდან თავისუფალ დროს პეგერბურგის წიგნის მაღაზიებსა და ბუკინისტებთან აგარებდნენ საჭირო ლიტერატურის ძიებაში. პეგერბურგელ ქართველ სტუდენტებს ბიბლიოთეკის დაარსების საქმეში დიდი დახმარება გაუწია იქაური უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა ლექსიკოგრაფმა დავით ჩუბინაშვილმა. ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკას შეემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კრებული, რომელიც ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესმა ასულმა ეკატერინემ აჩუქა ილია ჭავჭავაძეს. მოგვიანებით ამავე ბიბლიოთეკის საკუთრება გახდა სალომე ბაგრატიონის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული 38 დასახელების წიგნი. მოიპოვება ცნობები, რომლებიც ერთგვარად ნათელს ჰფენს პეგერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის საქმიანობას. როგორც ჩანს, აქ არც თუ ისე

იშვიათად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, წიგნების გარჩევები. მსჯელობდნენ, კამათობდნენ, იღრმავებდნენ ცოდნას. გულდასმით შეისწავლიდნენ განსაკუთრებით უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს, როგორცაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, „ქართულ მაგიანეთა კრებული“, „ქართლის ცხოვრება“, „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვა. ჟანდარმერიის მიერ განხორციელებული რეპრესიების გამო ი. ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსებული ბიბლიოთეკა დაიხურა. რევოლუციურად განწყობილ სტუდენტებს, რეაქციის მთელი ძალით მძვინვარების მიუხედავად, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. აწყობდნენ მიტინგებს და კატეგორიულად მოითხოვდნენ ბიბლიოთეკის გახსნას, კრებისა და სიგყვის თავისუფლებას. შექმნილი ვითარების კიდევ უფრო გართულების თავიდან აცილების მიზნით, ცარიზმმა მათი მოთხოვნები დააკმაყოფილა, ქართულმა ბიბლიოთეკამაც განაახლა მუშაობა. ილია ჭავჭავაძე საკმაო ხანს ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის ერთ-ერთი აქტიური დამაარსებელი თვითონ იყო. ამ საზოგადოებამ ჩვენში დიდი კულტურული როლი შეასრულა, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება სწორედ ილიას მიუძღვის. „საზოგადოების“ დაარსება უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ წინააღმდეგობა გაეწია დიდმპყრობელურ ველიკორუსული შოვინიზმისათვის, რომელიც ემუქრებოდა ქართველების ნაციონალურ არსებობას და თავგამოდებით ებრძოდა ქართულ ენას, ქართულ სკოლას და, ცხადია, ქართულ წიგნსაც. „საზოგადოების“ მიზანს შეადგენდა „წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელება სანამესგნიკოში მოსახლე ქართველებს შორის“. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც აღნიშნავდნენ „საზოგადოების“ მესვეურები, საზოგადოება, სადაც სკოლებია გახსნილი, იმათ

ხელს უმართავს, სადაც საჭიროა, იქ ახალ სკოლებს ხსნის. მართავს სახალხო წიგნების კითხვასა და ხსნის ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს. ილია თავის წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება“ აცხადებს: „განათლება, სწავლა, ცოდნა – აწ ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას, კვალთა ჩაუდგეს ხალხს, მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან... თუ ნამდვილად გულის გვგვიყვანა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანგოთ“. ილია უშუალოდ მონაწილეობდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავის გამდიდრებისათვის. 1985 წელს იონა მეუნარგისათან, დავით ერისთავთან და სხვებთან ერთად, თვითონ ჩავიდა სოფელ გორდაში სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის მიერ „საზოგადოების“ წიგნსაცავისათვის შეწირული ძველი ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექციის ჩასაბარებლად. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე შეუნელებელი აქტივობით ბრუნავდა საქართველოში ბიბლიოთეკების ქსელის გასაფართოვებლად. მრავალ ქალაქსა და სოფელში მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა წიგნსაცავები. ცნობილია, რომ თბილისში ის ბიბლიოთეკის გახსნის ცერემონიებსაც ესწრებოდა და საკმაოდ დიდ შეწირულობასაც გაიღებდა ხოლმე ამ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. სწორედ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მშენებლობას (1902 წ.).

ილიას დიდად აწუხებდა ის გარემოება, რომ წიგნების ბეჭდვა არ აგარებდა სტაბილურ ხასიათს; რაც მთავარია, ჯეროვანი ყურადღება არ

ექცეოდა გამოსაცემი ლიტერატურის შერჩევას მკითხველი-საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. 1875 წლის მიწურულს შეიქმნა „წიგნის გამომცემელთა ამხანაგობა“, რომლის არჩევითი თავმჯდომარეც ილია იყო. ამ საზოგადოებას სათავეში ედგა და მთელ მის საქმიანობას წარმართავდა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც, ილიას გარდა, შედიოდნენ: ბეს. ლოღბერიძე, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უშიკაშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვ. ამხანაგობა მიზნად ისახავდა ძველი და ახალი ქართული მწერლობის საუკეთესო ლიტერატურული, ძეგლების, ისტორიული ხასიათის წიგნებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემას. 1877 წელს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით არსდება „ქართული მწერლობის მოყვარულთა გამომცემლობა“, რომელიც ბეჭდავს ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლს „ვისრამიანს“. ამავე წელს ილიას რედაქტორობით გამოვიდა ქურნალი „ივერია“ რომელიც ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. „ივერიაში“ იბეჭდებოდა როგორც მისი რედაქტორის, ისე სხვა გამოჩენილ ქართველთა ნაწერები. აქ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მხაგვრულ ლიტერატურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, პუბლიცისტიკას, პედაგოგიკის და პოლიტიკის საკითხებს. მეფის მოხელეები დაუნდობლად დევნიდნენ ილიას და მის გაზეთს. ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად იბრძოდა სიბნელის, ბოროტებისა და უმოქმედობის წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ნათელი დღის, სამართლიანობის, ხალხის გამოღვიძებისათვის. სწორედ ასეთი ძლიერი პიროვნებანი ქმნიან ეპოქებს, ქმნიან ისტორიას, ერის კეთილდღეობასა და კულტურას.



ავთანდილ ღიასამიძე

გრიგოლ გურიელის პირადი ბიბლიოთეკა

ღიდი ეროვნული და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დავითის ძე გურიელი (1819-1891) თავისი დროის განსწავლული და დაუცხრომელი ბიბლიოფილი იყო.

როგორც ჩვენ მიერ ირკვევა, გაბეთები „ივერია“ და „ღროება“, გრიგოლ გურიელის თანამედროვენი და შემდეგდროინდელი მეცნიერ-მკვლევარები: სიმონ ჭუმბურიძე, კონსტანტინე თავართქილაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თეოდორე ქურდანიძე, გაქარია ჭიჭინაძე, სიმონ ჯორბენაძე, თეოდორე სახოკია, აპოლონ წულაძე, შალვა გომბალიშვილი, შამშე მეგრელიძე, იოსებ მეგრელიძე, გიორგი კალანაძე და სხვები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხებიან ამ ღვაწლმოსილი მამულიშვილის მოღვაწეობას, აღნიშნავენ, რომ გრიგოლ გურიელს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. სამეგრელოს თავადების – მამა-შვილ დავით და ნიკო დადიანებისა და რამდენიმე სხვა პირის ბიბლიოთეკებთან ერთად, იგი ერთ-ერთ უმდიდრეს წიგნსაცავად ითვლებოდა საქართველოში,¹ – აღნიშნავს აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა გრიგოლ გურიელთან.

გრიგოლ გურიელის დიდ მწიგნობრობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაქარია ჭიჭინაძე. იგი ახლოს იცნობდა დიდი მამულიშვილს, ამიტომ მისი შეფასება მეტად მნიშვნელოვანია. გაქარია ჭიჭინაძე იგონებს:

„გრიგოლ გურიელი დიდად განვითარებული კაცი იყო, კარგად იცოდა ქართული ძველი და ახალი მწერლობა, საქართველოს ისტორია. რუსულ მწერლობასაც თვალყურს ადევნებდა.

ნაკითხი ჰქონდა მთელის ახალის დროის საუკეთესო მწერალთა ნაწერები. ამისი სახლი სავსე იყო რუსეთისა და უცხოელთა მწერალთა ნაწერებით. აქ მოიპოვებდით ისეთ წიგნებსაც, რომელთა შოვნა დღეს იშვიათია. წელს გაფხულს გაილორის ანგროპოლოგიას კითხულობდა. ყველა სამეცნიერო წიგნის გამოსვლას დიდი სიამოვნებით ეგებებოდა. ამით უმაგალითო იყო განსვენებული ჩვენს ძველ კაცებში. იწერდა ყოველს ქართულს ჟურნალ-გაზეთს, საგახგო ქალაქებს დაბეჯითებით ადევნებდა თვალყურს, ნამეგურ რასაც ჩვენს შესახებ სწერდნენ.“²

საყურადღებოა აპოლონ წულაძის მოგონება, რომელშიც იგი აღნიშნავს: „გრიგოლ გურიელი მისი დროის შესაფერიდად იყო განათლებული, მწიგნობარი. წიგნები იმდენზე უყვარდა, რომ ღამითაც კითხულობდა და როცა მოხუცდა, მერე წიგნების და გაბეთების წამკითხველს ჰქირაობდა. ჰქონდა ძლიერ მდიდარი ბიბლიოთეკა... თაროები და კარადები სავსე იყო სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი წიგნებით“.³ ასევე ჰქონდა საგახგო გაბეთები გამოწერილი: „ნოვოსტი“, „სოვრემენიკი“, „რუსსკაია სგარინა“, „ნოვოე ვრემია“ და სხვა.⁴ აქ უსათუოდ ნახავდით ისეთ ქართულ გაბეთებსაც, როგორც იყო „ივერია“, „ღროება“, „გუთნის დედა“, „სასოფლო გაბეთები“, ჟურნალები: „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „კრებული“, თბილისში გამომავალი რუსული გაბეთები „კავკაზი“, „ტიფლისსკიე ველომოსტი“, „მაკავეკაზსკი ვესტნიკი“ და სხვა, რასაც ადასტურებს სიმონ ჭუმბურიძის მოგონება, რომელშიც ავგორი დასძენს, რომ „გრი-

გოლს ყველა ქართული და რუსული საუკეთესო გამოცემა მოსდიოდაო.“

პროფესორი იოსებ მეგრელიძე გრიგოლ გურიელს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის კარგ მცოდნედ ახასიათებს, რომელსაც ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, ხელნაწერების კოლექცია და არქეოლოგიური ნივთები,⁵ რასაც იმით აღწევდა, რომ დღენიადაგ ბრუნავდა თავისი წიგნსაცავის სხვადასხვა სახის წიგნალი ფონდის შევსება – გამდიდრებისთვის. საამისოდ მას მჭიდრო კავშირი და მიწერ-მოწერა ჰქონდა გამოჩენილ პირებთან, მეცნიერებთან, წიგნების ავტორებთან, წიგნის გამავრცელებლებთან და სხვებთან, რომლებიც მისი შეკვეთით თუ თხოვნით ყიდულობდნენ სხვადასხვა წიგნებს, მოკლედ რომ ვთქვათ, გრიგოლი წიგნის მოყვარული – „ტრფიალი წიგნთა“ იყო. იგი წიგნის მოსაძიებლად და მის შესაძენად არაფერს ბოგავდა. აი, რას გადმოგვცემს იმხანად წიგნის გამავრცელებელი კოწია (კონსტანტინე) თავართქილაძე:

„პირველ ხანებში მარგო ჩემთვის ვყიდულობდი თითო ცალს სხვადასხვა წიგნებს, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მიმქონდა ეს წიგნები ობურგეთში და ვინც კარგი მეგობარ-ნათესავი მყავდა, საჩუქრად ვთავაზობდი... მე, წიგნებზე კარგი საჩუქარი თუ შეიძლებოდა ადამიანისათვის, ვერც კი წარმომედგინა... ამას შემდეგ მოჰყვა წიგნების გაყიდვაც ნელ-ნელა. ეს ამბავი გაეგო გრიგოლ გურიელს, რომელიც ძლიერ მოყვარული ყოფილიყო წიგნების და ერთ დღეს ორი ახალგაზრდა ყმაწვილის თანხლებით შემოვიდნენ ჩემს სავაჭროში.

... გრიგოლ გურიელმა ჩემი წიგნები გადაათვალიერა, ათამდე დიდი და პატარა წიგნი აირჩია, რაც მერგებოდა ფული, მომცა, მთხოვა, რომ რამდენიც კი შეიძლება, მეტი წიგნი მეშოვა მისთვის, როცა თბილისში წამოვიდოდი და მასთან მთხოვა, როცა თავისუფალი დრო მექნებოდა, მივსულიყავი მის ბინაზე. დიდი მადლობით, მოფერებით გამომეთხოვა და წა-

ვიდა ჩემი ძვირფასი სტუმარი.“⁶

დიდი მწიგნობარის გრიგოლ გურიელის მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივიც თავის აგარაკზე – დაბა ლანჩხუთის სოფელ ორაგვეში ყოფილა განთავსებული, სადაც მრავალი უნიკალური ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წიგნი, საარქივო მასალა ინახებოდა.

გრიგოლ გურიელის წინგსაცავის მშვენიერ იყო X საუკუნის ასომთავრული ოქროს ვარაყიანი, ეგრაგზე ნაწერი სახარება, რომელსაც ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე დიდ განძს უწოდებდა.⁷ აღნიშნული სახარება ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

გრიგოლის ბიბლიოთეკაში იყო აგრეთვე საღვთო სჯულის მრავალი ხელნაწერი, მათ შორის:

1. ქამნი (XVII-XVIII ს.ს.), რომელშიც შენახულია სამი ფურცელი კვიკლოსი ისტორიული წარწერებით;
2. ლოცვანი (XVII ს.);
3. მარხვანი და სხვადასხვა დღეს საკითხავები, ხუცური ხელნაწერი;
4. მარხვანი და გიბიკონი, ხუცური ხელნაწერი;
5. ქამნი ოხით და იბაკონით, ხუცური ხელნაწერი;
6. ქამნი თთვეთა მეგყველებით, ხუცური ხელნაწერი;
7. აღდგომის წირვის წესი, ხუცური ხელნაწერი;
8. მარხვანი და სადღესასწაულო, ხუცური ხელნაწერი;
9. ქამნი და მარხვანი, ხუცური ხელნაწერი;
10. სხვადასხვა ლოცვები და სჯულის კანონები იოანე მმარხველისა, ხუცური ხელნაწერი;
11. მარგირიკა ანგონ კათალიკომისა;
12. მეგაფრაბისი და მამათა ცხოვრებანი;
13. სურათებიანი მარხვანი (XVII-XVIII ს.ს.), ნუსხა-ხუცური ხელნაწერი;

14. ჟამნ-გულანი (XVIII ს.), ნუსხა-ხუცური ხელნაწერი;

15. წიგნი სიბრძნისა ძისა მირაქისა და ეკლესიასგე (XVII-XVIII ს.ს.), ნუსხა-ხუცური ხელნაწერი;

16. ითიკა, თეოლოდია და სწავლანი მაქსიმე აღმსარებლისანი (1794 წ.), დაწერილი ნუსხა-მხედრულით;

17. სურათებიანი სახარება (XIV-XV ს.), დაწერილი ნუსხა-მხედრულის ხელით;

18. დიდი მეგაფრასი ანუ სიგყვანი და მოძღვრებანი გრიგოლი ღვთისმეტყველისანი, როგორც გაზეთი „ივერია“ წერს – in folio, დიდი ფორმაგისა, დაწერილი მშვენიერს ეგრაგზე, ლამაზი ნუსხა-ხუცურის ხელით. ყდა მაგარი აქვს ხისა, გყავდაკრული. დრო გადაწერისა არა სჩანს“. ⁸ მაგრამ პალეოგრაფიის მიხედვით, – როგორც აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, – ხელნაწერი ეკუთვნის XI-XII საუკუნეს. ეს ღირსშესანიშნავი წიგნი, – დასძენს ის, – ძვირად უღირს მის შემომწირველსო;

19. მეგაფრასი, რომელშიც მოთავსებულია:

1) ცხოვრება და მიცვალება ღვთის-მშობლისა;

2) ცხოვრება და ქადაგებანი იოანე ღვთისმეტყველისა;

3) ცხოვრება წმინდისა ოქროპირისა; ხელნაწერი დაწერილია ნუსხა-ხუცურის ხელით;

20. თარგმანებანი სახარებისა, ნუსხა-ხუცური ხელნაწერი;

21. ნაწყვეტები პარაკლიტისა, ნუსხა-ხუცური ხელნაწერი;

22. კვინკლოში ქაშნიდგან ამოღებული, ნუსხა-ხუცური ხელნაწერი.

როგორც ჩემს მიერ გამოირკვა, ზემოთ აღნიშნული მეგად მნიშვნელოვანი ხელნაწერები გრიგოლს სხვადასხვა დროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუცია ქართული სიძველეებით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარების – დიმიტრი ბაქრაძის, ექვთიმე თაყაიშვი-

ლის და თედო ჟორდანიას მეშვეობით.

ჩემს მიერ მოხდა სათანადო შედარება-შეჯერება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერ ფონდებთან, იმავე ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებთან. აღმოჩნდა, რომ ზემოთ დასახელებული საღვთო რჯულის ხელნაწერები, გარდა ერთი ხელნაწერისა (სურათებიანი სახარება XIV-XV ს.ს.), ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში. ასე რომ, გრიგოლ გურიელის დიდი რუღუნებით ქართველ ერს დიდ განძად შემოიჩა საღვთო სჯულის უძვირფასესი ხელნაწერები.⁹

გრიგოლ გურიელის ბიბლიოთეკაში იყო საღვთო სჯულის ისეთი ნაბეჭდი წიგნები, როგორცაა „კონდაკი“ – დაბეჭდილი 1783 წელს და „დაუჯლომელი და პარაკლისი“ – დაბეჭდილი მხედრულად 1790 წელს, რომლებიც მას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუცია 1891 წელს.¹⁰ ეს ნაბეჭდი წიგნები დღეს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია.

გრიგოლის წიგნსაცავში ყოფილა 29 სიგელ-გუჯარი. მე-18 და მე-19 საუკუნეებისა, რომელთაგან 8 თათრული და დანარჩენი ქართული ყოფილა.¹¹ როგორც გრიგოლ გურიელის თანამედროვენი, ისე შემდეგი დროის მეცნიერ-მკვლევარნი მიუთითებენ, რომ წიგნის დიდი მოამაგის ბიბლიოთეკაში მრავლად ყოფილა საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის ხელნაწერი თუ ნაბეჭდი ლიტერატურა, განსაკუთრებით უხვად ჰქონია თავისი დროი – XIX საუკუნის ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, მწერალთა ნაშრომები, აგრეთვე რუსული და სხვა ქვეყნების ლიტერატურა. გრიგოლმა ხომ რამდენიმე ენა იცოდა.

გრიგოლის ბიბლიოთეკას ამშვენებდა „ქა-

რთლის ცხოვრება“, აქვე მოიპოვებოდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო:

1. სამართალი მოსესი,
2. სამართალი ბერძნული,
3. სამართალი სომხური,
4. სამართალი კათალიკომისა,
5. სამართალი მეფე გიორგისა,
6. სამართალი ალბულასი,
7. სამართალი ვახტანგის.

აღნიშნული მეგად მნიშვნელოვანი ქართული სამართლის ძეგლი გრიგოლ გურიელს თავისი მეგობრის დიმიტრი ბაქრაძის მეშვეობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის მიუერთებია, საიდანაც საბოლოოდ ხელნაწერთა ინსტიტუტში მიუჩენიათ ადგილი, სადაც იგი ამჟამადც საიმედოდ არის დაცული S ფონდში.

ერის დიდი მთამავის ბიბლიოთეკაში იყო აგრეთვე ისეთი საყურადღებო ხელნაწერები, როგორცაა:

1. კვინგის კურცხოსის საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მაკედონელისა, გადაწერილი 1811 წელს;
2. კარაბადინი ანუ საექიმო წიგნი, ხუცური ხელნაწერი;
3. ამბავი როსტომისა და მურაბისა, მხედრული ხელნაწერი;
4. ზმები თქმული გიორგი თავდგირიძის მიერ გურიელი მამიას ყველიერში.
5. ქილილა და დამანა – ხელნაწერი. გრ. გურიელს შეუძენია სახელგანთქმული გენერლის თავადის ვ. ო. ბებუთაშვილის ოჯახისგან, რომელსაც თავის მხრით შეუძენია იგი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის სახლთ-უხუცესის სახლობისგან.¹²

გრიგოლ გურიელი ცნობილი იყო თავისი საგამომცემლო საქმიანობითაც. სწორედ პირველმა მან შეძლო საკუთარი ხარჯებით 1888 წელს გამოეჭყეყნებინა „მსოფლიო ლიგერაგურის მარგალიტი და ჩვენს მწერლობაში კარგად

ცნობილი, ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი, ლიგერაგურის დიდებული მშვენება „ქილილა და დამანა“, რომელიც 586 გვერდს მოიცავს. „ქილილა და დამანა“-ს 1009 ცალი, რომლის ღირებულება 3000 (სამი ათასი) მანეთს შეადგენდა, გრიგოლს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეუწირავს.¹³

„ქილილა და დამანას“-თან ერთად გრიგოლის ბიბლიოთეკას ამშვენებდა მის მიერვე 1890 წელს გამოცემული წიგნები „სიბრძნე სოლომონ მეფისა“, წიგნი „ეკლესიასტე“ და 1891 წელს გამოცემული „ქართველ მაჰმადიანთ ლოცვები.“ გრიგოლ გურიელის მიერ თავისი ხარჯით გამოცემული აღნიშნული წიგნების ეგზემპლარები საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

როგორც ცნობილია, 1887 წლის აპრილიდან 1887 წლის 7 ნოემბრამდე გრიგოლ გურიელთან მწერლად (მდივნად) მუშაობდა ეგნატე ნინოშვილი. როგორც გრიგოლ გურიელის მოურავი ივანე სარიშვილი იგონებს, გრიგოლ გურიელს აღრე 4 მწერალი ჰყავდა, ეგნატე მესუთე გახლდათ. იგი უმთავრესად გურიელის აგარაკზე იმყოფებოდა ორაგვეში,¹⁴ სადაც თავადის ბიბლიოთეკა და არქივიც იყო მოთავსებული.

ეგნატე თვითონ წერს, რომ გურიელს სამღივნოდ მცირე რამ ჰქონდაო. იგულისხმება, კვებითაც უმრუნველყოფილი იყო, ჯამაგირიც ეძლეოდა 30 მ. თვეში, თავისუფალ დროს წიგნებს კითხულობდა და მწერლობაც აქვე დაიწყო.¹⁵ თედო სახოკია კი იგონებს: „ეგნატემ ძალიან გამოიყენა გრიგოლ გურიელის ბიბლიოთეკა, მოკლე ხანში რაც ღირსად მიაჩნდა წაკითხვისა, ყველაფერი წაკითხა თურმე.“¹⁶

პროფესორი შალვა გომბალიშვილი ეგნატე ნინოშვილის თაობაზე სპეციალურ გამოკვლევაში სამართლიანად მიუთითებს: „ის დრო, რაც გურიელთან დაჰყო, ეგნატემ სასარგებლოდ გამოიყენა, გაიცნო და შეისწავლა გრი-

გოლ გურიელის ბიბლიოთეკაში არსებული მდიდარი ლიგურაგურა, მრავალი ისტორიული დოკუმენტები, საარქივო წერილობითი წყაროები 1841 წლის გურიის გლეხთა ისტორიულ აჯანყებაზე. იქ დამუშავებული და შეკრებილი მასალების საფუძველზე მწერალმა შეძლო, სულ მოკლე დროის განმავლობაში დაეწერა შესანიშნავი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“, რომელიც მწერლის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია, რომლის წერაც მას დაუწვია 1888 წლის 21 ნოემბერს და დაუმთავრებია 1889 წლის მაისის დასასრულს.¹⁷

გრიგოლის ბიბლიოთეკა მოსწავლე-ახალგაზრდობის სამსახურშიც იყო. როგორც სიმონ ჯორბენაძე იგონებს, მათ ეგნაგე გრიგოლის ბიბლიოთეკიდან წიგნებსაც უკითხავდა.¹⁸

როგორც გრიგოლ გურიელის თანამედროვეთა მოგონებებიდან და მეცნიერ-მკვლევართა მიერ მოძიებული მოგონებისა და მასალებიდან ირკვევა, დიდ მწიგნობარ და ეროვნულ მოღვაწეს გრიგოლ გურიელს თავის პირად ბიბლიოთეკაში არსებული მდიდარი ლიგურაგურა, მრავალი ისტორიული დოკუმენტი საღვთო სჯულის და ქართული მწერლობის ხელნაწერები, საარქივო წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური მასალები და სხვადასხვა დასახელების ქართული და რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთი ჰქონია.

სამწუხაროდ, იმხანად ვინმეს არ გაუკეთებია ამ ღვაწლმოსილი პიროვნების უნიკალური წიგნსაცავის კატალოგიზაცია, რომ თავის დროზე მოეცა იმ მრავალი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნების, საარქივო და არქეოლოგიური მასალების სია, რომელიც საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირთ მოეხდინათ შეჯერება-იდენტიფიკაცია, თუ რა მოეპოვებოდა გრიგოლ გურიელს პირად ბიბლიოთეკაში და მათგან რა მიიღო ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, კონკრეტულად რა ბედი ეწია გრიგოლ გურიელის მართლაც მდიდარ ბიბლიოთეკას, რა და-

რჩა ქართველ საზოგადოებას და რა გვაქვს დღეს შემორჩენილი.

თითქმის ათ წელზე მეტია ამ საკითხებით დაინტერესებული ვარ და სათანადო კვლევა-ძიებას ვატარებ. შევაჯერე გრიგოლ გურიელის სიცოცხლეში გამოძავალი გამოეტების: „ივერიის“, „დროების“, აგრეთვე სხვა ჟურნალ-გაზეთების მასალები, გამოქვეყნებული პუბლიკაციები, აგრეთვე სამეცნიერო ლიგურაგურაში არსებული ის მასალები, რომლებიც გრიგოლ გურიელის ბიბლიოთეკას, მის მიერ მოძიებულ და ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაცემული სხვადასხვა ხელნაწერებს, ნაბეჭდ წიგნებს, ისტორიულ, არქეოლოგიურ, საარქივო დოკუმენტაციას და სხვა მასალებს, შეეხებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებსა და მასალებს მივაკვლიეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში არსებულ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთლიანი საქმიანობის ამსახველ 481-ე ფონდში. გრიგოლ გურიელის მიერ დიდი გარჯით მოძიებული და საკმაოდ ძვირად ღირებული, თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის შეწირული და დღესაც ბრწყინვალედ შემონახული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. გრიგოლს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მისი სახელის უკვდავსაყოფად ეს დიდი ღვაწლიც საკმარისი იქნებოდა. ასევე ითქმის მის მიერ გამოცემულ წიგნებზე და, საერთოდ, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემულ ნაბეჭდ ლიგურაგურაზე.

და მაინც, საბოლოოდ რა ბედი ეწია ამაღლარი მამულიშვილის გრიგოლ გურიელის მდიდარ ბიბლიოთეკას?

როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლის თანამედროვენი, თანამედროვე მეცნიერ-მკვლევარე-

ბი სამართლიანად მიუთითებენ, რომ მას მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. თუმცა, ასეთი უნიკალური და მდიდარი ბიბლიოთეკის ბედის შესახებ სრულყოფილი მონაცემები და ერთიანი აზრი მეცნიერებაში არ არსებობს.

პროფესორი იოსებ მეგრელიძე 1984 წელს გამოცემულ ნაშრომში „ეგნატე ნინოშვილი“ აღნიშნავს, რომ გრიგოლ გურიელს „ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, ხელნაწერების კოლექცია და არქეოლოგიური ნივთები. ყოველივე ეს მან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ სამოგადოებას უსასყიდლოდ გადასცა სიცოცხლეშივე, ისევე როგორც – დიდა ნიკო დადიანმა (მინგრელსკიმ)“.¹⁹ ამის დასადასტურებლად ავტორი იქვე იმოწმებს ე. თაყაიშვილის და თ. ჟორდანიას წერილებს, შესაბამისად დაბეჭდილს გაზეთ „ივერიაში 1889 წლის 21 ოქტომბერს და 1890 წლის 15 ივნისს, რაც მთლად სწორი არ უნდა იყოს.

როგორც „ივერიის“ და გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან, ექვთიმე თაყაიშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას წერილებიდან, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის 481-ე ფონდში არსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების მასალებიდან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ S ფონდის ხელნაწერების, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს წიგნის პალატის შესაბამის ფონდებთან შედარება-შეჯერებით გაირკვა და წარმოჩნდა, გრიგოლ გურიელმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ სამოგადოებას შესწირა:

1) 29 ხელნაწერი, რაც ემთხვევა იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულ კორესპონდენციებში დასახელებულ ხელნაწერებს და მათ რაოდენობას, რომელთაგან 28 ხელნაწერი ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

2) გრიგოლ გურიელის მიერ საკუთარი ხარჯით გამოცემული წიგნები:

ა) „ქილილა და ღამანა“ (მთელი გირაჟი – 1009 ცალი, ღირებული 3000 მანეთად).

ბ) „წიგნი ეკლესიასტე“ და „სიბრძნე სოლომონ მეფისა“ (ორივე წიგნის მთელი გირაჟი – სულ 32000 ცალი).

„წიგნი ეკლესიასტე“ ინახება საქართველოს წიგნის პალატაში, ხოლო „სიბრძნე სოლომონ მეფისა“ – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

3) 2 ძველნაბეჭდი წიგნი „კონდაკი“ და „დაუჯდომელი“, რომლებიც დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

4) „ქართველ მაჰმადიანთ ლოცვები“, ინახება საქართველოს „პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

5) ძველი ფულები – 99 ცალი და რამდენიმე არქეოლოგიური ნივთი.²⁰

დიდი თანადგომისთვის გრიგოლ გურიელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა სამოგადოებამ 1886 წელს თავის საპატიო წევრად აირჩია.²¹ აღნიშნული სამოგადოება გრიგოლს დაუღალავ და უხვ შემომწირველს უწოდებდა.²²

„არ გაივლის ისე წელიწადი, რომ თავადმა გრიგოლ დავითის ძემ არ შემოსწიროს ჩვენს სამოგადოებას წიგნთსაცავს რამდენიმე ძველი წიგნი, ფული თუ ნივთი, მისი სხვადასხვა დროს შემოწირული წიგნები თითქმის ერთ პაგარა ბიბლიოთეკას შეადგენს და გარდა სამეგრელოს თავადის და ალ. მესხიშვილის შემოწირულობისა, სხვა შემოწირულობა მის შემოწირულობას ვერ შეედრება,“ – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი.²³

მოცემული შეფასება სრულიად სამართლიანია. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების უხვი შემომწირველი ბრძანდებოდა და მის მიერ შეწირული წიგნები ერთ პაგარა ბიბლიოთეკას შეადგენდა, ეს რო-



დი ნიშნავს იმას, რომ გრიგოლმა თავისი შესანიშნავი და მდიდარი ბიბლიოთეკა მთლიანად გადასცა აღნიშნულ სამოგადოებას. ამის თაობაზე არც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების მასალებში (ქმწკგს ანგარიშებში მიმოწერა და სხვა), რომელიც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, №481 ფონდშია დაცული, არაფერია ნათქვამი, მით უმეტეს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების გამგეობა თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას და სპეციალურად მიმოიხილავდა, თუ ვინ რა შესწირა აღნიშნულ სამოგადოებას, ვისი ბიბლიოთეკა გადაეცა მას, ვინ რომელი ნაბეჭდი წიგნი და რამდენი ხელნაწერი გადასცა, ასევე ხდებოდა შეწირული არქეოლოგიური მასალების აღნუსხვაც. აღნიშნული სამოგადოების გამგეობა თავის ანგარიშებში ხშირად მაღლიერებით მოიხსენიებს გრიგოლ გურიელს, როგორც თავის უხვ შემომწირველს და თანამდგომს, მაგრამ მისი პირადი ბიბლიოთეკის სამოგადოებისთვის მთლიანად გადაცემაზე დამამტკიცებელი მასალა არ მოგვეპოვება. ქმწკგ სამოგადოებას საგანგებოდ აქვს აღრიცხული და თავის ანგარიშებში დაბეჭდილი, თუ ვინ გადასცა მას პირადი ბიბლიოთეკა, ვინ შესწირა წიგნები და, ცხადია, არც გრიგოლ გურიელის პირადი ბიბლიოთეკის მთლიანად გადაცემის ფაქტსაც არ დაგოვებდა თავის ანგარიშებში მოუხსენებლად.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოების ანგარიში, რომელიც 1890 წელს 1-ლი სექტემბრიდან 1891 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს და სპეციალურად ეხება ბიბლიოთეკისათვის შემოწირულობებს, აღნიშნულია:

„საანგარიშო წელს, როგორც წინა წლებშიაც, არ დაჰკლებია ჩვენს ბიბლიოთეკას შემოწირულობანი კერძო პირთაგან, პირველად უნდა მოვიხსენიოთ თავადი რაფიელ ერი-

სთავი, რომელმაც შემოსწირა თავის ვრცელი და დიდი ხნის ნაამაგარი ბიბლიოთეკა; თავადი გრიგოლ გურიელი, რომელმაც შემოსწირა მრავალი წიგნი, სიგელ-გუჯარი, ძველი ფულები და სხვა საარქეოლოგიო ნივთები“.²⁴

იმავე სამოგადოების 1891 წლის 1-ლი სექტემბრიდან 1892 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდის მომცველ ანგარიშში ნათქვამია: „უნდა მოვიხსენიოთ თვალსაჩინო შემოწირულობანი თავად გრიგოლ დავითისძის გურიელისა და თავად იასონ დავითის ძის ციციშვილისა.“²⁵

სამწუხაროდ, აღნიშნულ ანგარიშში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა რაოდენობის და რა სახის წიგნები შესწირეს სამოგადოებას გრიგოლ გურიელმა და იასონ ციციშვილმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ არც ექვთიმე თაყაიშვილის, არც დიმიტრი ბაქრაძის და არც თეოდორ დანიას სამეცნიერო შრომებში თუ პუბლიცისტურ წერილებში არაა მითითებული, რომ გრიგოლ გურიელს თავისი პირადი ბიბლიოთეკა მთლიანად შეეწიროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სამოგადოებისთვის.

საყურადღებოა პროფესორ შამშე მეგრელიძის აზრი აღნიშნულ საკითხზე. საგაზეთო სტატიის „ამაგდარი მამულიშვილი“, რომელიც 1984 წელს არის გამოქვეყნებული გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ის მიუთითებს: „ომურგეთის სასულიერო სასწავლებელს შესწირა მთელი თავისი ქონება უცოლ-შვილოდ დარჩენილმა გრიგოლ გურიელმა, მათ შორის მდიდარი ბიბლიოთეკა მრავალი იშვიათი წიგნით.“²⁶

ირაკვევა ისიც, რომ გრიგოლ გურიელს პირადი ბიბლიოთეკიდან წიგნების ნაწილი, როგორც საპაგიო მშრუნველს, სოფელ ჩიბათის სასწავლებლისათვის მიურთმევია. აი, რას წერდა აღნიშნული სასწავლებლის მასწავლებელი მ. წივწივაძე გაზეთ „ივერიის“ რედაქციას: „ნება მომეცით თქვენი გაზეთის შემწეობით გულითადი მაღლობა გამოვუცხადოთ

თავად გრიგოლ დავითის ძე გურიელს, რომელმაც ამ დღეებში შემოსწირა ჩიბათის სასწავლებელს რამდენიმე ცალი ქართული წიგნი ჩვენის საუკეთესო მწერებისა. პატივცემული თავადი გრიგოლ გურიელი შემდეგისთვისაც პირდება სკოლას შემწეობასა.²⁷

თავისი კუთვნილი წიგნების გარკვეული რაოდენობა გრიგოლ გურიელს თანამოდმე მამადიანი ქართველებისთვის გაუგზავნია.²⁸

ვგულისხმობთ, რომ გრიგოლის ბიბლიოთეკის ნაწილი ერგებოდა მის ძმიშვილს ვასილ ლევანის ძე გურიელს, რომელსაც ბიძამ ანდერძით დაუტოვა თავისი ქონება.²⁹ ვასილის შვილი 1917 წელს სპარსეთში წავიდა და დაიკარგა. მეორე ძმისწული – ვანო კი რევოლუციური მოძრაობის დროს გურიაში მოკლეს. გრიგოლ გურიელის ბიბლიოთეკაში დარჩენილი წიგნები კი ფაქტობრივად უპაგრონოდ დარჩა და დაიკარგაო, – წერს გრიგოლ გურიელის მეგობარი, აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.³⁰ ასევე გაიბნა მისი პირადი არქივი თუ ბიოგრაფიის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც დაგვაახლოვებდა ამ ამაგდარი მამულიშვილის

დიდბუნებოვან სულიერ სამყაროსთან. მხოლოდ ის განძი გადარჩა მისი ხსოვნის ნათელსაყოფად, რომელიც მან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა.

ისინი სხვადასხვა მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში არის გაბნეული.

საქმეს ისიც ართულებს, რომ გრიგოლ გურიელის პირად ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების და ხელნაწერების სია არ ყოფილა შედგენილი, რომელიც მთლიანი ფონდის ბუსტიცნობების დადგენაში დაგვეხმარებოდა, არც ამ დიდი მწიგნობარის კუთვნილი ბიბლიოთეკის კატალოგი არ შეუდგენია ვინმეს.

პირველ წყაროებსა და სამეცნიერო ლიგურაგურაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ გრიგოლ გურიელს მართლაც მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია, რომელიც მას ბემოთ დასახელებული დაწესებულებებისა და სხვადასხვა პირებისათვის გადაუცნია.

ამიგომ მისდამი ჩვენი ინგერესი კვლავ არ ნელდება. ამ მიმართებით ბევრი რამ კიდევ არის გასაკეთებელი.



გამოყენებული ლიგურაგურა

1. ივერია – 1891, №89, 28 აპრ.;
2. ივერია – 1891, №258, 4 დეკემბ.;
3. ეგნაგე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, ფონდი №123, გვ. 49;
4. იქვე – ფონდი №166, გვ. 41;
5. მეგრული იოსებ, ეგნაგე ნინოშვილი. – ბათუმი, 1984, გვ. 57;
6. ეგნაგე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, ფონდი №119, გვ. 20;
7. დროება, 1985, №85, 23 აპრილი;
8. ივერია, 1891, №229, 29 ოქტომბერი;
9. აქ დასახელებული ლიგურაგურა – S ფონდში სხვადასხვა ნომრითაა აღნუსხული, ისინი ფიქსირებული აქვს ავტორს თავის ნაშრომში, რომელსაც აქ შემოკლებით ვაქვეყნებთ.
10. ივერია, 1891, №229, 29 ოქტომბერი, გვ. 3;
11. იქვე.
12. ჭყონია ილია, „ქილილა და დამანას“ გამოცემისთვის. იხ: ქილილა და დამანა სპარსულსაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან, – გრიგოლ გურიელის გამოცემა, ი. ჭყონიას რედაქციით – გფილისი, 1886. – გვ. V.
13. სცსა, ფონდი – 481, საქმე №107, ფურც. 24;
14. მეგრული იოსებ, ეგნაგე ნინოშვილი, – ბათუმი, 1984. – გვ. 87.
15. იქვე, გვ. 58.
16. სახოკია თელო, ეგნაგე ნინოშვილი (ინგოროცვა): მეგობრის მოგონება // მოამბე, 1895, №XII. – გვ. 136.
17. გომალიშვილი შალვა. ეგნაგე ნინოშვილი. – თბ.,

1985. – გვ. 20;
 18. მეგრული იოსებ. ეგნატე ნინოშვილი. – გვ. 88.
 19. იქვე. – გვ. 57.
 20. სცსსა, ფონდი 481, აღწ. 1. საქმე №126, ფურც. 4; უორლანია თ. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია, 1890, №125, 15 ივნისი, თაყაიშვილი ე. წერილი რედაქციის მიმართ // ივერია, 1896, №229, 29 თქვომბერი.
 21. ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1886 წლის მაისის 15-დამ 1 იანვრამდე 1887 წლისა. – გვ., 1987. – გვ. 1.
 22. ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1889 წლის 1 სექტემბრიდან 1890 წლის 1 სექტემბრამდე. – გვ., 1890. – გვ. 24;

23. ივერია, 1891, №89, 28 აპრილი;
 24. ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 1890 წლის სექტემბრის 1-ითგან 1891 წ. 1 სექტემბრამდე. – გვ., 1892. – გვ. 21-22.
 25. ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 1 სექტემბრიდან 1891 ქ. 1 სექტემბრამდე 1892 წ. – გვ., 1893., – გვ. 23.
 26. ლიგერატურული საქართველო, 1984, №17, 20 აპრილი;
 27. ივერია, 1887, №5,9 იანვარი;
 28. ივერია, 1891, №256, 1 დეკემბერი;
 29. თაყაიშვილი ექვთიმე, რჩეული ნაშრომები: ტ.1 – თბ., 1968. – გვ. 293.
 30. იქვე.

ჩვენს ბიბლიოთეკებში: წარსული და აწმყო



მარიამ გონაშვილი

ქნელად გასარკვევი პერსპექტივა

1887 წელს თბილისში დაარსებული აბრეშუმის მუზეუმი და ბიბლიოთეკა მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური დაწესებულებაა. ის ცნობილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებისა თუ მოყვარულთათვის. მისი ხილვა დამთვალიერებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მუზეუმის თავის ქვეყანაში წაღების ნაგვრაც კი აღძვრია ერთხელ აბრეშუმის კულტურის ისეთი გრადიციების მქონე ქვეყნის წარმომადგენელს, როგორც კორეაა. ერთ-ერთი უცხოელი ტურისტის აცხადებდა, რომ აბრეშუმის მუზეუმის დათვალიერებით საქართველოს კულტურას გავეცანიო.

„ქართული ტექსტილის ჯგუფის“ აბრეშუმის მუზეუმთან ურთიერთობა, რაც ჯერ კიდევ 10

წლის წინ დაიწყო, მუზეუმის პოპულარიზაციას ითვალისწინებდა; მათივე ხელშეწყობით მუზეუმი ინტერნეტით ევროპის ტექსტილის მუზეუმების ნუსხაშია შეგანილი (E-mail: ETN@ETN.net.org. <http://www.ETN-net.org/routes>), უნიკალურ ბიბლიოთეკაში კი, იშვიათ გამოცემათა შორის სიმპოზიუმის მონაწილე მხატვარმა სალი დილონმა (აშშ), ამერიკელი სამუელ ვითმარშის ავტორობითა და შენიშვნებით თუთის ხესა და აბრეშუმხვევიაზე რეაწლიანი დაკვირვებების შესახებ 1839 წელს გამოცემული წიგნი აღმოაჩინა...

მხატვრული ტექსტილის V საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც თანამედროვე ტექსტილის ხელოვნებასა და გრადიციულ ხა-




ლხურ შემოქმედებას მიეძღვნა, მოწვეული იყვნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, თვითნასწავლი თუ პროფესიონალი მხატვრები. თექვამე მომუშავე მოსწავლეები ასპინძის ბავშვთა სახლიდან და დაინგერესებული საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები.

უცხოელების – მეი ბესის (ახალი ბელანდია), სელი დილონის (აშშ), ინგე ევერსის (ჰოლანდია), იზაბელა ვალჰი-უტერის (ავსტრია), ლიმ კლეის (დიდი ბრიტანეთი), კარენ მასგრევის (აშშ), შეილა სმითის (დიდი ბრიტანეთი), ლეონი სმითის (ჰოლანდია), აგრეთვე ქართველი მომხსენებლების – ნინო ყიფშიძის, ირინა კოშორიძის, ირინა ნიკოლეიშვილის, ნინო კუპრავას და ქართული ტექსტილის ჯგუფის სხვა წევრების მიერ შეუდგა ლოკუმენტური ფილმისა და სლაიდების ჩვენება, სესიები და ლექციები თანამედროვე ტექსტილის ხელოვნებაზე, ისაუბრეს ხალხური შემოქმედების აღორძინების პროექტებსა და პერსპექტივებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის 26 სექტემბერს მხატვრული ტექსტილის V საერთაშო-

რისო სიმპოზიუმის გახსნისას აბრეშუმის მუზეუმის დირექტორმა ირინე ჭოგორლიშვილმა მისალმებისთანავე სტუმრებს გააცნო მუზეუმის საკოორდინაციო ცენტრის „აბრეშუმის სახლის“ და მას დაქვემდებარებული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ლიკვიდირების საფრთხე.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოამზადეს მართვა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ



სააკაშვილისადმი თხოვნით, რათა გადაეცინა მუზეუმი, ბიბლიოთეკა და საგანგებოდ მათთვის აგებული შენობა და დაექვემდებაროს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს, რადგან ეს მუზეუმი არა მხოლოდ ფლობს მეტად მნიშვნელოვან კოლექციებს,

არამედ თავისთავად არის ერის კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ძეგლი, „რომელიც საქართველოს სახეს წლების მანძილზე ღირსეულად წარმოაჩენს საერთაშორისო ასპარეზზე და ერთ-ერთი იმ ფუნდამენტურია საქართველოს კულტურაში, რომლის მსგავსით ნამდვილად იამაყებდა ნებისმიერი ქვეყანა“ (ციცაგა მიმართვიდან).

რედაქციისაგან:

საუკუნოვანი გრადიციების ისეთი დაწესებულება, როგორც აბრეშუმის მუზეუმი და ბიბლიოთეკა, ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს, ის არა მარტო კოლორიტია ჩვენი ქალაქისა, არამედ სამეცნიერო, მეცნიერებითი და კულტურული მნიშვნელობის ობიექტი. გამოუსწორებელი დანაშაული იქნება მისი ლიკვიდაცია, თუკი ასეთი რამ მოხდება. მთელმა საზოგადოებამ უნდა აიძალდოს ხმა ამგვარი ბარბაროსული, სავსებით შეუგნებელი აქტის წინააღმდეგ. ეროვნული კულტურა არ უნდა ეწირებოდეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელთაც მხოლოდ სარფი და მოგება ამოძრავებთ.



ლია ქუთათელაძე
თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციით უზრუნველყოს განათლების, სწავლებისა და ძიების პროცესი, ხელმისაწვდომი გახადოს ჩვენთან არსებული საინფორმაციო რესურსები, უზრუნველყოს ბიბლიოთეკის მომხმარებელი სრულყოფილი მაღალკვალიფიციური მომსახურებით.

1937 წელს რესპუბლიკის სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკა შეიქმნა, 1960 წელს მას გამოეყო სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. ბოლო პერიოდში, თსუ-ს განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, რექტორატის წინადადებების საფუძველზე, დამუშავდა უმაღლეს სასწავლებელთან არსებული ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის პროგრამა, რის შედეგადაც 2003 წელს განხორციელდა მისი რეკონსტრუქცია ახალი პროგრამის შესაბამისად. აღრინდელ ბიბლიოთეკას დაემატა ისეთი ფუნქციური ზონები, როგორცაა საკონფერენციო დარბაზი, დარბაზი კომპიუტერებისათვის, ვიდეოთეკა, პერიოდული ლიტერატურისა და დასვენების კუთხე და სხვა. ბიბლიოთეკაში მე-2 სართულზე განთავსებულია 2 ძირითადი დარბაზი: სამკითხველო დარბაზი 100 ადგილზე, ელექტრონული სასწავლო რესურსების განყოფილება სერვერითა და კომპიუტერული დარბაზით 22 სამუშაო ადგილზე. ამავე სართულზე განლაგებულია საენციკლოპედიო და სამეცნიერო დარბაზები. ხოლო პირველ სართულზე ფუნქციონირებს ბიბლიოგრაფიის განყოფილების უცხოური ლიტერატურის სექტორში სამკითხველო 25 სამუშაო

ადგილზე (თავისუფალი დაშვებით).

ახალმა ვირტუალურმა ბიბლიოთეკამ აღნიშნულ სფეროში პროგრესი შემოიგანა. ჩვენ გავხდით სრულიად ახალი, ბევრად უფრო დახვეწილი ინფორმაციების მეპატრონეები, რომლებსაც გვევალება ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, მედიაგრობა და მართვა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს თემატურად და ვიზუალურად თანამედროვე ევროპული სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა-ახალგაზრდობის შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა.

მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები გულისხმობს ჯგუფური დაგეგმარების პრაქტიკას, სწავლების მოთხოვნილების ანალიზს, მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლას, ღია სემინარებს, დისკუსიებს, შეხვედრებს გამოცდილების გასაზიარებლად, გრეინინგებს, გამოფენებს, ელექტრონულ სადისკუსიო დაფებს. ყოველივე აღნიშნული, თანამედროვე ბიბლიოთეკას ახალ ხარისხობრივ დატვირთვას აძლევს.

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მომსახურება უფასოა, არა მარტო ადგილობრივი მკითხველისათვის, არამედ გარეშე მომხმარებელთათვისაც. საყურადღებოა, რომ ჩვენ გვაქვს უცხოეთში შექმნილი ვირტუალური პროგრამები, რომლებიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მკითხველისათვის. საკომუნიკაციო საშუალებები შესაძლებლობას იძლევა მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრთან თუ მეცნიერთან კავშირის დამყარებისას ბიბლიოთეკა ჩართული იყოს ინტერნეტში.

სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას გააჩნია მონაცემთა მეგალ მნიშვნელოვანი ბაზები.

THOMSON

Science

ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის საუკეთესო საძიებო სისტემა. სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი ცნობილია ციტირებული ინფორმაციის ყველაზე სრულყოფილი მონაცემთა ბაზით. (Web of Science), რომელიც მოიცავს საუკეთესო 8600 სამეცნიერო ჟურნალის მონაცემებს. აქ თავმოყრილი ბიბლიოგრაფიული მონაცემები საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ეძებოს სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც ციტირებულია ესა თუ ის ავტორი ან ნაშრომი. ციტირების ძიება ISI-ის მიერ მოწოდებული უნიკალური და ექსკლუზიური სერვისია. მისი საშუალებით შესაძლებელია ვეძებოთ სხვადასხვა გზის ციტირებული ინფორმაცია პუბლიკაციის დროის, ადგილისა და სამეცნიერო დისციპლინაზე დამოკიდებულების გარეშე. თსს-ის მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ აღნიშნული მონაცემთა ბაზის 2004-2005 წლის მონაცემები.

Health

InterNetwork

HINARI-Health InterNetwork Access to Research initiative

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროექტი, რომლის მიზანია, ხელმისაწვდომი გახადოს ბიოსამედიცინო და მოსაზღვრე მეცნიერებების ლიტერატურა მცირე შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის.

HINARI-ის მიზანია, მისცეს განვითარებადი ქვეყნების ადგილობრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს ბიოსამედიცინო და მოსაზღვრე პრივილის ჟურნალების ონლაინ ვერსიებთან წვდომის საშუალება. HINARI-ის პროექტი დაიწყო 2002 წლის იანვარში და მოიცავს 6 წამყვანი საგამომცემლო კომპანიის (Blackwell, Elsevier Science, The Harcourt Worldwide STM

Group, Wolters Kluwer International Health & Science, Springer Verlag and John Wiley) 1500-ზე მეტი ჟურნალი. 2002 წლის მაისში პროექტს შეუერთდა კიდევ 22 გამომცემლობა, ხოლო ჟურნალების საერთო რიცხვმა 2000-ს მიაღწია. ამ დროიდან მონაწილე გამომცემლობების და ჟურნალების რიცხვი განუხრელად იზრდება. HINARI-ის პროექტი გაგრძელდება 2005-2006 წლების განმავლობაში.

MDConsult MS Consult

Elsevier-ის გამომცემლობის კლინიკურ მედიცინაზე ორიენტირებული ონლაინ ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს განსხვავებული ტიპის საინფორმაციო რესურსებს (ონლაინ წიგნები (40-ზე მეტი), ბიოსამედიცინო ჟურნალები (MEDLINE), ფარმაკოლოგიური მონაცემების ბაზა, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსები (CME, CPD) და ა.შ. MD Consult-ი აღიარებულია საუკეთესო ონლაინ მონაცემთა ბაზად პრაქტიკოსი ექიმებისთვის.

EBSCO

INFORMATION SERVICES

EBSCO მსოფლიოს საინფორმაციო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია ინფორმაციის მიწოდებისა და მართვის სფეროში. მისი საშუალებით შესაძლებელია 100-ზე მეტი ონლაინ ბიბლიოთეკის გამოყენება, რომლებიც ათასობით ელექტრონულ ჟურნალს შეიცავს. ებსკო უკვე 60 წელია ემსახურება მსოფლიოს ბიბლიოთეკებს და კომერციულ ორგანიზაციებს. 2005 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შეუერთდა. პროექტს „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის (eIFL), რომელიც 1999 წელს დაიწყო ღია სამოგადოების ინსტიტუტმა („სოროსის ფონდი“) და რომლის მართვა 2001 წლიდან გადაეცა საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმს. ამ პროექტის დახმარებით თსს-ის თანამშრომლებსა და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია მსოფლიოში



ცნობილი და მნიშვნელოვანი ისეთი საინფორმაციო წყაროებიდან, როგორცაა ებსკო (EBSCO), ჰაივაირ პრესი (HighWire Press), ქემბრიჯ იუნივერსიტი პრესი (Cambridge University Press), ოქსფორდ იუნივერსიტი პრესი (Oxford University Press) და BioOne-ი



Copyright © Tbilisi State Medical University 2005

2005 წელს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა 13 კონფერენცია, აქედან ორი საერთაშორისო მნიშვნელობის. ეწყობა გამოფენები, ტარდება გრენინგები.

საინფორმაციო სამსახურის ასამუშავებლად თავდაპირველად გვეხმარებოდა ამერიკული ორგანიზაცია ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის ალიანსი (ALHA), შემდგომში კი ყველაფერი ჩვენი უნივერსიტეტის შემოსავლების ხარჯებით გაკეთდა. წლების მანძი-

ლზე იმოგებოდა შემოსავალი ამგვარი ბიბლიოთეკის შესაქმნელად. უნივერსიტეტში სტუმრად მყოფი უცხოელ ექსპერტთა ჯგუფის კომისიის დასკვნები დადებითი და მეტად შთამბეჭდავია. თსსუ იქნება იმ 25 უმაღლეს სასწავლებელთა შორის ერთ-ერთი პირველი, რომელთა აკრედიტაციის საკითხი განიხილება ამჟამად ევროპაში. ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ თსსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოხდა დიდი ცვლილებები, რომლებიც გულისხმობს მისი მუშაობის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლას კლასიკური ფორმის შენარჩუნებით. ბიბლიოთეკის წიგნაღონდში 312-232 სამეცნიერო ლიგერაგურა აღინუსხება. თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 22-ს. ბიბლიოთეკის ფონდი წარმოადგენს ეროვნულ საგანძურს, რომელსაც სახელმწიფო იცავს.

გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს გ ა ზ ი ა რ ე ბ ა



მაია სულთანისვილი

მარად აქტუალური თემა

2005 წლის 7 ნოემბერს ი. ჭავჭავაძი სსახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიმართა დედაქალაქის ყველა უწყების ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფთა პირველი სემინარი. მუშაობა საინტერესოდ წარიმართა. ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, სემინარის ხელმძღვანელის გულნარა სტურუას წინადადებით, დაისვა საკითხი ბიბლიოგრაფთა საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ.

გამორჩეულად შეიძლება აღინიშნოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფის მაია სულთანისვილის გამოსვლა. მკითხველს ეძლევა საშუალება, მთლიანად გაეცნოს ტექსტს.



ბიბლიოგრაფია მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომლის ამოცანაა ბეჭდვით და ხელნაწერ ნაწარმოებთა შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათი პროპაგანდა, – ასე

განმარტავს ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ამ ტერმინს. ეს არის გრადიციული განსაზღვრება ბიბლიოგრაფიული სამსახურისა. არადა, დღევანდელობამ ახალი ამოცანა დაუსახა ამ სამსახურს. ეს არის ინფორმაციული ბაზების



შექმნა და მომხმარებელთათვის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ბევრი ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპები და ფუნქციები შეცვალა. სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ბევრად ჩამორჩება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ბიბლიოთეკათა განვითარების ტემპს. როგორც რუსულ ენაზე გამოცემული საბიბლიოთეკო პროფილის ჟურნალებიდან და ბიბლიოთეკების ვებგვერდებიდან ჩანს, მათ უკვე კარდინალურად შეცვალეს ძველი მიდგომები და ეგაპობრივად დანერგეს კომპიუტერული ტექნოლოგიები. ისინი ქმნიან მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზებს, რომლებთანაც შედარებით, ქართული საინფორმაციო ბაზები მწირი და ღარიბია.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1931 წლიდან არსებობს. განყოფილების დებულების თანახმად, მისი ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია: საინფორმაციო ბაზების შექმნა, საცნობობი ბიბლიოგრაფიული განყოფილების სპეციალიზებული ფონდისა და აპარატის რაციონალური ორგანიზაცია და მათი ეფექტური გამოყენება, მომხმარებელთა ოპერატიული მომსახურება ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის საფუძველზე.

ძლიერი საინფორმაციო ბაზების გარეშე ბიბლიოგრაფიული სამსახური ხელმოცარულია. დღეს არსებული მდგომარეობა ბევრ სირთულეს ქმნის. სირთულეები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას ახლო მომავალში ვერ გადალახავს ვერც ერთი განყოფილება და თუნდაც ვერც ერთი მთლიანი ბიბლიოთეკა. მხოლოდ ერთიანი გეგმით, კომპლექსურად უნდა მოხდეს პრობლემათა ეგაპობრივი გადაწყვეტა დაჩქარებული ტემპით. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა მეთოდური ლიტერატურა, რომლის არსებობა დღეს ბევრ შეკითხვას ღიად გოვებს. ელექტროკატალოგების წარმოებისას რუბრიკატორის არსებობამ წარმოშვა სხვადასხვა სახის პრობლემა. უფრო თვალნათელი რომ გახდეს ბემო აღნიშნული საკითხი, მოვი-

ყვან ერთ მაგალითს: ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ორი ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „24 საათის“ ელექტროდწერილობა. სამუშაო ფურცელზე, სხვა ველებთან ერთად, არის საკვანძო სიტყვების ველიც. საკვანძო სიტყვებს ირჩევს აღმწერი თავისი სუბიექტური გადაწყვეტილებით, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოიციხავს შეცდომას. რუბრიკატორი კი აგვაცილებდა შემთხვევით შერჩეულ სიტყვას საკვანძო სიტყვათა ველში. აქვე საჭიროა ორიოდ სიტყვით შევეხოთ იმ პროგრამას, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს გაზეთების ელექტროდწერილობა. ეს არის ISIS, რომელიც არ არის საბიბლიოთეკო პროგრამა და ამიგომ ბევრი ხარვეზი აქვს. არ არის საშუალება რამდენიმე ბაზაში ერთიანი ძიებისა. რომელიმე კონკრეტული საკითხის ძიებისას რამდენიმე ეგაპი უნდა გავიაროთ. თუ ვეძებთ მასალას აფხაზეთზე, ცალკე უნდა მოვიძიოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბაზაში, ცალკე – „24 საათის“ ბაზაში, ცალკე – ქართული წიგნის ბაზაში, რომელიც თავის მხრივ რამდენიმეა, ასევე დისერტაციების ბაზაში. ეს ყოველივე ბევრ დროს მოითხოვს, თუმცა რა თქმა უნდა, არსებული ელექტროკატალოგებით სარგებლობა უკვე წინგადადგმული ნაბიჯია.

დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებობს ელექტროკატალოგები, რომელთა საშუალებითაც ვემსახურებით მკითხველს. ეს ბაზებია:

მიმდინარე ქართული წიგნები – 1988-2000;

ავტორეფერატები;

დისერტაციები;

საქართველოს რესპუბლიკა;

24 საათი;

ქართული წიგნი – 1629-1952;

ქართული წიგნი – 1953-1983 და სხვა გემოთ ჩამოთვლილი ელექტროკატალოგებს ყველაზე ხშირად მივმართავთ და ამიგომაც მოვიხსენიეთ მხოლოდ ისინი.

ამჟამად მიმდინარეობს ქართული ჟურნალების მაგნიანების ელექტრობაზის შექმნა. ამ



საქმის გასრულების შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელექტრონული კატალოგი შექმნა არსებულ გაბეთებს. დაგეგმილია აგრეთვე ქართული გაბეთების მაგაზინების ელექტროკატალოგის შექმნაც.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პრესის მასალა კვლავ აქტუალურია. ბევრი მკითხველი ინტერესდება ჟურნალ-გაბეთებში გამოქვეყნებული მასალით. მართალია, გაბეთის პუბლიკაცია მეცნიერული დანიშნულების არაა და უფრო სერიოზული სამეცნიერო ინფორმაციის დამუშავებაა საჭირო, მაგრამ მკითხველთა დიდ მოთხოვნილებას ამგვარ მასალაზე ვერ უგულებელვყოფთ და ის სათანადო ყურადღებას იმსახურებს. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო და უინტერესო ფაქტი, რომელიც გაბეთმა დღეს გამოაქვეყნა, შეიძლება ძალზე აქტუალური გახდეს 2-3 წლის შემდეგ.

აქე უნდა აღინიშნოს ერთი გენდენცია: მკითხველთა ახალი თაობა უფრო მეტად ქართული მასალით ინტერესდება და უარს ამბობს რუსულ და სხვა უცხოენოვან ინფორმაციაზე. ეს კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას ქართული ბაზების სწრაფად შექმნის საქმეში.

2004 წელს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეიძინა GSS კოდექსი. ეს არის ბაზა, რომელიც მოიცავს საქართველოს ოფიციალური ორგანოების მიერ მიღებულ ყველა გიპის დოკუმენტს. ამ ბაზას უამრავი მომხმარებელი ჰყავს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი შენახვანი იყო საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებისათვის, მაგრამ ბაზა სრულად არ მოიცავს ძველი წლების დოკუმენტებს. ამ შემთხვევაში მივმართავთ საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების თემატურ კარგოთეკებს, რომლებშიც იძებნება აღნიშნული დოკუმენტი, თუკი იგი გამოქვეყნებული იყო პრესაში. ეს კონკრეტული მაგალითი ცხადყოფს, რომ ბაზის შექმნა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და სწორი მეთოდური უზრუნველყოფა განაპირობებს ბაზების სწორად და ხარისხიანად შექმნას.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების

თანამშრომლებს პრაქტიკულ საქმიანობაში არც თუ იშვიათად ინტერნეტით სარგებლობა უწევთ. უცხოური, და მათ შორის რუსული საიგები ამომწურავი და ბევრისმომცველია. მათთან შედარებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ბაზები მწირი და ღარიბია. მკითხველთა მომსახურება, ბეპირი თუ წერილობითი ცნობების მომზადება, მხოლოდ ქართულ ელექტრონულ ბაზებზე დაყრდნობით შეუძლებელია. ამიტომ კვლავ აქტიურად გამოიყენება განყოფილების სპეციალიზებული ფონდები, კარგოთეკები და მთლიანად ბიბლიოთეკის საძიებო სისტემა.

ბიბლიოგრაფებისთვის, ისევე როგორც ყველა ბიბლიოთეკარისათვის, მნიშვნელოვანია თანამედროვე კომპიუტერულ ინდუსტრიაში, ინფორმაციულ რესურსებში გარკვევა. სავალდებულოა ინფორმაციის ძიების სფეროში ანალიტიკურად საქმიანობის ჩვევები, არსებულ წყაროთა ბაზის სწორი მოხმარება, ძიების ერთიანი სტრატეგიული მოქმედება. ზოგჯერ მკითხველი ვერ ახერხებს მოთხოვნის ზუსტ ფორმულირებას. ამ შემთხვევაში სწორედ ბიბლიოგრაფმა უნდა შეძლოს დაამუშავოს მოთხოვნის რაობა, გაერკვეს მის შინაარსში და სწორი გეზი მისცეს ძიების პროცესს.

ელექტრობაზების გარდა, აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს ბიბლიოგრაფიული მარჯვენების (ნაბეჭდი სახით) შექმნა. გრადიციული ბიბლიოგრაფიების შექმნა ყოველთვის იყო საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე, მაგრამ ბოლო წლებში ეს საქმიანობა, როგორც ბევრი სხვა, შეჩერდა. თუ არ ჩავთვლით იმ მცირე გამოჩაკლისს, რომელიც ჩვენს განყოფილებაში გამხორციელდა, კერძოდ, ს. ფარაჯანოვის ბიბლიოგრაფია და ჟურნალ „სომლის“ ბიბლიოგრაფია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც ერთი მათგანი გამოცემული არ ყოფილა.

საერთოდ, ქართული ბიბლიოგრაფიის საქმის განვითარება უდიდეს გულისყურს მოითხოვს ჩვენი სპეციალისტებისაგან.

დარეჯან კოტეგიშვილი, მზია გოგონიძე

შეხვედრა კონფლიქტის ზონაში

ბელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეის ინიციატივით ცხინვალის რაიონის სოფელ დისევში გაიმართა მეგაღ სასარგებლო და საქმიანი შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა კონფლიქტის ზონაში მოქმედი ბიბლიოთეკების მდგომარეობის ანალიზს და მათი განვითარების სტრატეგიის დასახვას.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეის კოორდინატორი ალექსანდრე რუსეკვი, აღმასრულებელი დირექტორი მამუკა გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი იური სიმონიანი, ექსპერტი ნინო მათიაშვილი, მენეჯერი ნატო ჩუბინიძე. წიგნის მოყვარულთა ასოციაციიდან ჯუმბერ თითმერია და დარეჯან კაციცაძე. ასამბლეის ინიციატივით შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა.

შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფლიქტის ზონის სოფლების დისევის, თამარაშენის, ავნევის, ქურთას, ქვემო აჩაბეთის, ძარწემის, ქემერდის და ბერულის 15 ბიბლიოთეკარმა. თითოეულ ბიბლიოთეკარს შეხვედრაზე მიეცა საშუალება, გაეანალიზებინა საერთო მდგომარეობა, მოესხენებინა პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან კონფლიქტის ზონაში მუშაობის დროს.

ბიბლიოთეკების სუსტ მაგერიალურ-გექნიკურ ბაზასა და დაკომპლექტების წყაროების უქონლობაზე ილაპარაკეს ნინო ოქროპირიძემ, იმა ლოლიძემ, ლია რევაზიშვილმა, ნონა მაღალაძემ. უკანასკნელი თხუთმეტი წლის მან-

ძილზე, მას შემდეგ, რაც კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა სამაჩაბლოში, ბიბლიოთეკართა უმრავლესობის აზრით, პრობლემას წარმოადგენს საბიბლიოთეკო ფართის სიმცირე, საჭირო ინვენტარის სიძველე, რაც პრაქტიულად უკარგავს ბიბლიოთეკას ფუნქციას, მაგრამ ბიბლიოთეკარების პროფესიონალიზმითა და თავდადებით სოფლის მოსწავლეები და მცხოვრებლები ბიბლიოთეკების აქტიური მომხმარებლები არიან. საბავშვო ლიგერატორის სიმცირეზე და სახელმძღვანელოთა არარსებობაზე გაამახვილეს ყურადღება სოფლების ბერულის, ძარწემის, ქურთას, ავნევის და დისევის სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებმა.

მიუხედავად საზოგადოებაში არსებული დიდი მოთხოვნისა პერიოდულ პრესაზე, მის არარსებობაზე ბევრი ითქვა.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სოფ. თამარაშენის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგის მერი ფიფიას გამოსვლამ. აღმოჩნდა, რომ ამ მხარეში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციათა შედეგად ფონდი, რომელიც შეადგენდა 12 000 ერთეულს, 2000-მდე შემცირდა. ამჟამად ბიბლიოთეკა შეხიზნულია ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში, უკავია ძალზე მცირე ფართი. სახლ-მუზეუმი მდებარეობს სოფლის განაპირას, გრანსპორტირებაც ძნელია და, გარდა ამისა, ბიბლიოთეკა საშიშროებას უქმნის მუზეუმში დაცული ექსპონატების უსაფთხოებას.

თითოეულმა წარმომადგენელმა გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მათ საომარ პირობებში უხდებათ მუშაობა, ძალზე მცირე ხე-

ლფასის პირობებში, მაგრამ ისინი ცდილობენ, მიუხედავად კონფლიქტისა, აქტიურად ითანამშრომლონ ოს კოლეგებთან, რათა საერთო ძალებით აკეთონ თავიანთი საქმე.

მწიგნობართა ასოციაციის წარმომადგენლებმა დარუჯან კაციგაძემ და ჯუმბერ თითმერიამ დახმარება აღუთქვეს რეგიონის ბიბლიოთეკებს მწიგნობართა კლუბების ჩამოყალიბებაში. სავალდებულოა მწერლებისა და პოეტების გააქტიურება და მათი ჩართვა ამ პროცესში, საბავშვო ლიტერატურით ბიბლიოთეკების მომარაგება და გამომცემლობების დაინტერესება პრობლემებით.

კათედრის როლი ბიბლიოთეკების დასახმარებლად გვესახება უახლესი მეთოდური ლიტერატურის მომარაგებითა და ინფორმირებით საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოში. მათ ბიბლიოთეკარებს მოახსენეს ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ არსებობის შესახებ და ამ ჟურნალში პუბლიკაციების მოწოდების თაობაზე. გარდა ამი-

სა, დაისახა ღონისძიებები „საბიბლიოთეკო კვირეულში“ ხეობის ბიბლიოთეკების მონაწილეობის შესახებ.

ღონისძიებაზე გამოიკვეთა ბიბლიოთეკების მნიშვნელობა კონფლიქტის მოგვარების საქმეში. 2006 წელი გამოცხადდა საბიბლიოთეკო წლად და დაისახა ღონისძიებები კონფლიქტის ბონის ორივე მხრის ბიბლიოთეკების შეხვედრისა და მათ შორის ურთიერთობის გაღრმავებისთვის.

შეხვედრამ საქმიან, კონსტრუქციულ და სასიამოვნო გარემოში ჩაიარა, იყო საკმაოდ პროდუქტიული, რისთვისაც მადლობას ვუხდით ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს. ბიბლიოთეკარების მიერ გამოითქვა აზრი, რომ შემდგომ ღონისძიებაზე კარგი იქნება „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და რესპუბლიკის წამყვანი ბიბლიოთეკების აქტიური მონაწილეობა მსგავს შემთხვევებში.


პროფესიონალი გვიჩვენებს

მალხაზ ბაალიშვილი
აკადემიკოსი, მეც. აკად. ცენტრ.
სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ნიტრიტები ადამიანის სიცოცხლისათვის და მათი გააოყენება ბიბლიოთეკაში

მ ავნე ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურება აგმოსფეროს რღვევას იწვევს. ოზონის ფენის შემცირება უარყოფითად მოქმედებს როგორც ადამიანის ორგანიზმზე, ისე მცენარეულ და ცხოველურ სამყაროზე. ასეთ მაგნე გემოქმედებით ფაქტორებს მიეკუთვნება ამოგის ჟანგეულები. ამოგის ერთ-ერთი ჟანგეული – ამოგის

ჟანგი (NO) დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ავტომანქანების შიდაწვის ძრავებში. ის იოლად გადადის ამოგის ორჟანგში (NO₂), უკანასკნელი






კი აღვიღალ შეერთვის ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ქანგვა-აღდგენით რეაქციებს. გარდა მანქანებიდან გამოფრქვეული აირებისა, აზოტის ორქანგს შეიცავს თბოსადგურებისა და ქიმიური ქარხნების, ხოლო საცხოვრებელ ბინებში სიგარეტისა და თხიერ საწვავზე მომუშავე ღუმელების კვამლი, აზოტის ორქანგის არაგქენოგენურ წყაროს წარმოადგენს ზოგიერთი მიკროორგანიზმი, ვულკანების ამონაფრქვევი, ელვის პროცესი, ტყის ხანძარი და სხვა.

აზოტის ქანგეულის გოქსიკური მოქმედება ადამიანზე და ცხოველებზე უპირატესად გამოწვეულია ფილტვების უჯრედებში შემავალი ლიპიდების ბეჟანგური ქანგვით და ცილოვან ნივთიერებებზე უარყოფითი მოქმედებით. ეს პროცესები, რომელთა ინგენსიფიკაცია უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით შეიმჩნევა, დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანსა და მის გარემომცველ სამყაროს.

საკმაოდ კარგადაა ცნობილი, რომ აზოტგქავას მარილების (ნიტრატების) დიდი რაოდენობა უარყოფითად გემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და ბევრ შემთხვევაში შეიძლება სიმსივნეთა წამოქმდის მიზეზი გახდეს. ამიგომ ითვლება, რომ მათი დიდი რაოდენობით მიღება საკვებთან ერთად შაშხისა თუ სხვა სახით, გაუმართლებელია. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ამ პრობლემაზე გასული საუკუნის 70-იან წლებში; დაისვა საკითხი შაშხისა და ნიტრატების შემცველი სხვა პროდუქტების ადამიანის საკვები პროდუქტებიდან ამოღების შესახებ. მაგრამ უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა, რომ მათმა სრულმა აღკვეთამ ადამიანისა და ცხოველების საკვებში შეიძლება გამოიწვიოს ძალიან ცუდი შედეგები. ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ მათი გარკვეული რაოდენობით ჩართვა ადამიანის საკვებში აუცილებელია, და აი, რატომ: ფარმაკოლოგმა ნაიჯლო ბენჟამენმა, რომელიც ლონდონის წმინდა ბართლომეს ჰოსპიტალში მო-

ღვაწეობს, შეღარებითი და ინგეგრაციული ბიოლოგიის საზოგადოების წლიურ შეკრებას (2000 წლის 2-8 იანვარი ა. შ. შ., აგლანგა) მოახსენა ფრიალ მნიშვნელოვანი გამოკვლევის შედეგები. სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ ადამიანი და ცხოველები ენის ქვეშ განთავსებულ ნაპრალეებში შეიცავენ სტაფილოკოკების არაპათოგენურ ფორმას, რომლებიც ანაერობულ პირობებში საკვებში შემავალ ნიტრატებს ნიტრიტებად გარდაქმნიან:



ნიტრიტი კი მქავე არეში აზოტის ქანგად (NO) გარდაიქმნება.

ეს პროცესი ხორციელდება ფერმენტ ნიტრაგრედუქტაზის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ადამიანი და ცხოველები ნიტრაგრედუქტაზას არ შეიცავენ; ეს ფერმენტი განთავსებულია მხოლოდ მათ ბაქტერიულ ფორმაში (ენის ქვეშ მოთავსებულ სტაფილოკოკებში). პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნიტრიტები ნერწყვში კონცენტრირდებიან და მთლიანად სპობენ ორგანიზმში საჭმელთან ერთად შეჭრილ პათოგენურ მიკროორგანიზმებს. პათოგენური მიკროორგანიზმებით გამოწვეული ავადმყოფობების თავიდან ასაცილებლად ადამიანს დღე-ღამის განმავლობაში ერთი ლიტრი ნერწყვის გამოყოფა უხდება. ნერწყვით გაღატანილი ნიტრიტები კუჭის მქავე არეში (pH1-2) აზოტის ქანგად გარდაიქმნებიან. ამგვარად, კუჭში ხვდება სტერილური, პათოგენური მიკროორგანიზმებისაგან სრულიად თავისუფალი საკვები.

ამგვარად, ნიტრატებით მდიდარი საკვები (მაგალითად, სალათის) მიღებისას ნერწყვში აზოტის ქანგის რაოდენობა იზრდება, ამის შედეგად კი ნაღგურდება ყველა ის პათოგენური მიკროორგანიზმი, რომელსაც ჩვენ ვყლაპავთ. სწორედ „სტერილური კუჭის“ არსებობით აი-

ხსნება ის, თუ რაგომ არ ამოწყდა ადამიანის მოდგმა „არქაული“ ავადმყოფობებისაგან, რომლებიც პათოგენური მიკროორგანიზმებით გამოიწვევა.

ბუნებრივია, რომ ამ აღმოჩენებს დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა მედიცინასა და ადამიანის ყოფაცხოვრებაში. და მართლაც, უკანასკნელ ხანებში ეს თვალნათლივ იქნა განხორციელებული. სახელდობრ, დადგენილია, რომ ნიგრიგის შემცველი შემჟავებული კრემი ეფექტურად კურნავს გერფების სოკოვან დაავადებებს, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული სპორტსმენტა შორის. იგი აგრეთვე აქრობს ვირუსულ ინფექციას (*Molluscum contagiosum*), რომელიც კანზე მრავალი სიმსივნური ხასიათის „კოპების“ წარმოქმნას იწვევს. ამ ანტიმიკრობული სტრატეგიით შესაძლებელია ისეთი ხანდაზმული სოკოვანი დაავადებების განკურნებაც, რომლებიც დღეს ძნელად იკურნება. ვარაუდობენ, რომ შემჟავებული ნიგრიგი ახლო მომავალში შესაფერის ადგილს დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე, როგორც სოკოვანი და სხვა სახის დაავადებათა სამკურნალო საშუალება. ფრიად მნიშვნელოვანი იქნება ნიგრიგის საღებინფექციო საშუალებად გამოყენება, რადგან ეს ეკოლოგიური თვალთახედვით უფრო გამართლებულია, ვიდრე ქლორის შემცველი ნაერთების ხმარება.

ალბათ, ერთი შეხედვით, მკითხველს გააკვირვებს ის, თუ რაგომ ქვეყნდება ეს წერილი ქურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“, რა

კავშირი აქვს მასში განხილულ საკითხებს საბიბლიოთეკო საქმესთან. სწორედ რომ, უშუალო. ნორმალური რეჟიმის დარღვევის შედეგად წიგნსაცავებში ხშირადაა წიგნებისა და ქურნალების სოკოთი დაავადება.

ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნიგრიგის შემჟავებული ხსნარი შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული სოკოთი დაავადებულ წიგნების სამკურნალოდ. დღეს სოკოს აღკვეთისათვის ფართოდ გამოიყენება ფორმალინის განზავებული ან ეთილის სპირტის კონცენტრირებული ხსნარი. მათი მძაფრი სუნის ნაცვლად, უფრო გამართლებულია უსუნო სითხეების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით შესაძლებელი იქნება თაროებზე განლაგებული წიგნების ადგილზე უშუალოდ დამუშავება, მათი სპეციალურ ლაბორატორიებში გადატანის გარეშე.

ლიტერატურა:

Б.Н. Галкин, В.А. Баринов. Биохимические механизмы токсичности оксидов азота // Успехи современной биохимии: том III (вып. 5). – 1991. – стр. 738-750.

Pennisi. Integrating the many aspects of Biology. Science 287 (N 5452) 2000. – pp. 419-421.



ნიგნისა და ყვავილების სუფლო

გული კირცხალია

აოფილხართ სენაკის რაიონის სოფელ II ნოსირში? და თუ ყოფილხართ, სრულყოფილი ბედნიერება მოგნიჭებიათ, რადგან აუცილებლად სულმნათი აკადემიკოსის – ბაგონ პეგრე ქავთარაძის სახელობის კულტურის სახლს ესტუმრებით, და გაცდებოდით, რადგანაც ბიბლიოთეკა – ეს ცოდნისა და სიბრძნის გადია – მუზეუმსა და ეგზოტიკურ ბაღს წარმოადგენს, რომელიც გამთარ-მაფხულ ჰყვავის, გახალისებს; სულს გიმაღლებს ფაქიზად მოვლილი ათასგვარ ყვავილთა შემოფეთება, რაც უნებურად განგაწყობს სიხარულისთვის. თაროებზე ლამაზად განლაგებულ წიგნებს არჩევ და მალღებები საკუთარ თავზე მალღა. თბები, იმედიანღები, როცა ბიბლიოთეკაში ფუსფუსებ;



აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, და არცაა გასაკვირი, რადგანაც ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს დამსახურებული პიროვნება – ღირსების ორღენის მფლობელი, ქალბაგონი ნელი ჯანღღაღა. ის თავისი საქმის ცოდნით, სისაღავით, სიყვარულთ, გულწრფეღობით, აღამიანთა სულის შეცნობის არაჩვეუღებრივი ნიჭითაა დაჯიღღოღებული. გაგაოცებთ იმ ღიღი ენთუღბი-

აღმითა და ოპტიმიზმით, რითაც გმუხგავთ იგი. „მოღავალი აუციღებღღად კარგი იქნებაო“, – გაჯერებთ და რწმენაც გეღღევავთ.

ბიბლიოთეკის წიგნაღი ფონღი 4500 ეგგემღღარს ითვეღის, მკითხვეღი სოფღის მოსახღღეღობის 60%-ია. ბიბლიოთეკა-მუზეუმით სოფღის წარსულზე წარუშღღელი და სანიღუმო შთაბეჭღიღებღა გექმნებათ. ათვაღიერებთ ფოგო-აღღბოღმებს და თვაღწინ გიღღავთ კოღექტივიზაციის წღღები, ნოვაგოღი მესიმი-ნღღები, მეაბრეშუმეღები, შრომიღსა და ბრძოღის გმიღრები, ღიღ სამაღუღო ომში გაწვეუღთა და შინმოუსეღღელთა – მარაღღჭაბუკეღად დარჩენიღთა სახეღები. სოფღის წარსული გააღაყებთ, თუ ძირბვეღი ნოსირეღი ხართ.

ბიბლიოთეკა მრავაღი საინგერესო ღონისძიების

ავგოღრიცაა: შეხვეღრები, წიგნის პრემენგაცი-ები, ლიგერაგურული და თემაგური საღამო-ები, ექსკურსიები და სხვა. ქალბაგონ ნეღის ინიციატივით ჩაგარღღა უღროღღ დაღუპული ახაღღგაბრღა ფეხბურთეღის მ. შეროზიას სსო-ენის საღამო. მკითხვეღთა მოთხოვნით, იმღღეს საფუძვეღი ჩაყარა ახაღღ წამოწყებღს, მემბობელი სოფღების მოყვარულ ფეხბურთეღთა

გუნდები ყოველი წლის ივლისის თვეში კულტურის სახლის ებოში შეჯიბრებებს აგარებენ. ფეხბურთელებს თან ახლავთ გულშემაგვირებიც; ნებისმიერ დროს კულტურის სახლს და ბიბლიოთეკას მაყურებელი და მკითხველი არ აკლია. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა მ. შეროშიას სახელობის თასი.

სპორტის მოყვარულთათვის მოწყობილია გამოფენა „ჩვენი სპორტსმენები მსოფლიო არენაზე“. სოფლის მკვიდრმა, სპორტულმა ჟურნალისტმა – ვაჟა დანელიამ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა რამდენიმე წიგნი. ბიბლიოთეკაში მოეწყო წიგნების „გზად ოლიმპიადისაკენ“ და „აწმყო, შობილი მომავლისათვის“ პრეზენტაცია, რომელმაც სოფლის მოსახლეობის დიდი მოწონება დაიმსახურა. ღონისძიებას ესწრებოდა ავგორის და, ახლო ნათესავები.

საინტერესო იყო შეხვედრა სოფლის გრანსპორტის მუშაკებთან. ავგობუსის და მიკროავგობუსის მძღოლები, რომლებიც ემსახურებიან სოფლის შეჭირვებულ მოსახლეობას, მართლაც იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. იმდენი მაღლობის სიგყვა ითქვა მათ მიმართ, თვითონაც გაოგნებულნი იყვნენ იმ სიბრტის და სიყვარულის გამო, რომელსაც მსმენელები გამოხატავდნენ.

ღონისძიებას ესწრებოდა ავგოსერვისის უმრავლესობა, რომლის ხელმძღვანელმაც მაღლობა გადაუხადა როგორც მძღოლებს, ასევე ღონისძიების ორგანიზატორებს,

ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს 11 დასახელების ჟურნალ-გაზეთი. მიმდინარე წელს მიღებული აქვს 18 დასახელების სხვადასხვა დარგის

გამოცემა. ჩაგარდა ახალი წიგნების – მ. ბუჭუხიშვილის „ვარდების რევოლუციის“, გ. მანველიძის „მგლების“, „სარანგის“ პრეზენტაცია.

ქალბატონი ნელი ჯანჯღავა მაღალი ნიჭიერებითაა დაჯილდოვებული. ის ხელმძღვანელობს ნორჩ ნაგურალისტთა წრეს, უნერგავს ნორჩებს ბუნების სიყვარულს, უფაქიშხებს სულს.

„როცა კაცსა დაქვიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“. სწორედაც ქალბატონი ნელი ჯანჯღავა ასეთი – ყველა შეჭირვებულისა და ავადმყოფის ქომაგი და თანამდგომი. ყველა პენსიონერის უანგარო დამხმარე. მას აქვს ნიჭი, გაითავისოს სხვისი საგკივარი და ცდილობს, სულიერად გაულამამოს საწუთრო. ამიტომაც შეარქვა მაღლიერმა სოფელმა მას „დედა გერემა“. ის ხშირად იმეორებს ხალხურ სიბრძნეს: „ავადმყოფობა არც დანაშაულია და არც სირცხვილი, ავადმყოფისადმი უყურადღებობა დანაშაულიც არის და სირცხვილიც“. ქალბატონი ნელი ყველგან პირველია, სადაც საჭიროება მოითხოვს. მას რჩევისათვის ხშირად მიმართავენ ახალგაზრდები. ქ-ნი ნელის ინიციატივით სოფელში აღდგა საექიმო ამბულატორია. ამ მეგად საშურ საქმეში მან დახმარება სთხოვა აკადემიკოს პეგრე ქავთარაძის შვილიშვილს მ. ქავთარაძეს, რომელმაც დააგვირგვინა კეთილშობილური საქმე. ამჟამად სოფელს ექიმიც ჰყავს და მედღაც.

ხალხი ემადლიერება ღირსების ორდენის ღირსეულ მფლობელს – ქალბატონ ნელი ჯანჯღავას. იყოს დღეგრძელი, უფალმა გააძლიეროს.



პარუქოთ ბავშვებს – სიხარული...

მაკა ლეჟავა

ავეყანაში აღმშენებლობისა და რეფორმების მიმდინარეობის პროცესში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ძნელია იფიქრო კულტურულ ღონისძიებებზე; განსაკუთრებით პერიფერიებში, როცა რაიონის ბავშვები მოკლებულნი არიან ბევრ საინტერესო საინფორმაციო წყაროებს, თუმცა არსებობს

რაიონის ახალგაზრდობას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ბიუჯეტით არც ერთი ახალი წიგნი არ შემოსულა ბიბლიოთეკაში, ისინი ცდილობენ ძველი, რამდენჯერმე შეკეთებული და დაწებებული „გაცოცხლებული“ წიგნებით მაინც დააინტერესონ ბავშვები. რადგანაც წიგნთან მიახლოების ყველაზე სასარგებლო და ეფექტური გზა ბიბლიოთეკაა, სწორედ ამიტომაც გარდება ბიბლიოთეკაში მრავალი ღონისძიება; ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე ვისაუბრებთ, რომელმაც რაიონში ღიმილი გამოხმაურება გამოიწვია.

ბიბლიოთეკაში გამოცხადდა კონკურსები: სწრაფ კითხვაში, კალიგრაფიასა და ასფალტზე ხატვაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები. კონკურსები გარდებოდა ასაკის გათვალისწინებით – კლასების მიხედვით. დაინტერესდნენ არა მარტო

კომპიუტერი, რომელმაც ანდამაგივით მიიზიდა ყველა ასაკის ადამიანი და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ბავშვები. გვესმის რა კომპიუტერის როლი და წიგნის დანიშნულება დღევანდელ ცხოვრებაში, აუცილებელი ხდება მობარდი თაობისთვის წიგნის სიყვარულის გაღვივება.

ქ. ხაშურის ცენტრში არსებობს ლამაზი, მყუდრო სავანე – საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელიც გულღიად ეპატივება ყველას. აქ მომუშავე ქალბატონები: ბიბლიოთეკის გამგე მანანა ალაჯანოვი, ლაცაბიძე, თამარ შუბითიძე ყოველთვის მზად არიან, მაქსიმალურად დაეხმარონ

მოსწავლეები და პედაგოგები, არამედ მშობლებიც. წინასწარ ჩაგარდა სასკოლო კონკურსები, გამარჯვებულებმა კი მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკაში ჩატარებულ კონკურსებში. მონაწილეთა რაოდენობა შემლუღული არ იყო.

სწრაფი კითხვის კონკურსში მონაწილეობდა 110 მოსწავლე. კონკურსის პირობა ითვალისწინებდა წუთში მკაფიოდ და სწრაფად რაც შეიძლებოდა მეტი სიტყვის წაკითხვას.

კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეობა მიიღო 102 მოსწავლემ. გექსტი აქაც შერჩეული იყო ასაკის შესაბამისად. ეს ერთგვარად გამოცდასაც ჰგავდა. ბავშვები ძალიან დღეაღწევენ,



იგრძნობოდა თითოეული მათგანის სურვილი – ებრძოლა გამარჯვებისათვის.

კონკურსის შედეგების გამოცხადებას ბევრი სიხარული მოჰყვა თან.

კონკურსის ბოლო ეტაპი იყო – კონკურსი ასფალტზე ხაგვაში. ხაგვის დროს ბავშვებს სრული თავისუფლება ჰქონდათ. გამოვლინდა ბევრი გამარჯვებულიც. ისინი და-



ჯილდოვდნენ სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრებით. საგულისხმოა, რომ ყველაფერ ამის ხარჯები ბიბლიოთეკის მცირეხელფასიანმა თანამშრომლებმა გაიღეს.

კონკურსის შედეგებმა ნათელჰყო, რომ შეუცვლელია ბიბლიოთეკების როლი თაობების აღზრდა-განათლების საქმეში. პედაგოგებმა და მშობლებმა დიდი მალღიერებით აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკის მუშაკებმა კიდევ ერთხელ გაულამაზეს ცხოვრება ბავშვებს, რაც დიდი სტიმული აღმოჩნდა მათთვის და გამოთქვეს სურვილი, რომ ხშირად მოეწყოს ასეთი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს, ყურადღება მიექცეს ბიბლიოთეკებს, როგორც კულტურის, განათლებისა და მეცნიერების უდიდეს კერებს.



მელა შიუკაშვილი

მუხათა სუფლოუი

(შეხვედრა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ოჯახთან)

მ დიდარი კულტურული ტრადიციების ქალაქია ხაშური, ამ ტრადიციების გამგრძელებლების და დამფასებლების ღვაწლი კი განუზომლად დიდია განსაკუთრებით ახლა, როდესაც ფასეულობების გადარჩევისას, ბევრი ძვირფასი და სასიკეთო საქმე ყურადღების მიღმა რჩება.

აქ კი, ამ ქალაქში ეგრფიან ხელოვნებას და გრძელდება ტრადიციები. იმ დღეს ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზი მომხიბვლელ პაგარძალს დამსგავსებოდა.

სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის ქ-ნ მანანა ალაჯანოვის ორგანიზატორობით და №5 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგის ლეილა მარგველიშვილის თანადგომით კომპოზიტორის ვაჟა აზარაშვილის ოჯახს სიხარულით დახვდა მთლიანად ქალაქი.

ხაშურს სტუმრობდა წარმოშობით ხაშურელი, გულით ქართველი და სულით პოეტი მომხიბვლელი ქ-ნი მანანა დანგაძე, ქალაქს სტუმრობდა შვილი და სიძე – კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, ხაშურს სტუმრობდა პოეზია და მუსიკა.

სიმღერა სულ-ხორცის მთლიანობა, მუსიკა უკვდავება, ლექსი კი მარადისობაა. ასეთმა ჰარმონიამ დააგყვავა მოწვეული სტუმრები. ქართული ლექსის, მანანას ლექსის ჩამოქნილმა სტრიქონებმა კი გაამძაფრა შთაბეჭდილება.

– წავიკითხო ქალბატონ მანანას ლექსი, ჩემთვის დიდი პატივია. შთამბეჭდავი და აღმაფრთოვანებელია ნდობა – იყო ამ უმშვენიერესი საღამოს წამყვანი, – აღიარა ლექსის ოსტატურად წაკითხვის შემდეგ ვაჟა შიუკაშვილმა, რომლის ხმაშიც თრთოლაშეპარული გრძნობაა,

მანანას ლექსმა რომ აღუძრა ამ სასიამოვნო გარეგნობისა და პოეტური სულის ახალგაზრდა მანდილოსანს.

მასსოვს, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ჩვენთან ოჯახში გამორჩეული სილამაზის ქალბატონი რომ გვესტუმრა, ულამაზესი გაშლილი თმითა და უჩვეულო ხიბლით. მასსოვს, როგორ ვუმბერდი მას კარების ღრიჭოდან. ამ სტუმრობის შემდეგ ყველა ზღაპარში მზეთუნახავს აუცილებლად ასეთი თმა უნდა ჰქონოდა, – ამბობს იგი.

„არ მომაკლო შენი სითბო,

შენი წყაროს ბაღაგი,

შენ ხარ ჩემი ღელა, მამა,

ნაგვრა გულისადაგი“.

ასე ესათუთება მანანა დანგაძე მშობლიურ ხაშურს.

„მანანას ლექსები ერთი ერთმანეთზე უკეთესია, შინაგანი რიგმი დაურღვეველია და თავადვე შთაგვაგონებს მუსიკას,“ – გვიმხელს თავისი კომპოზიციის საილუმოს პოეტის მეგობარი, კომპოზიტორი ნუნუ ღელაშვილი.

ღირსეულ შემოქმედად წარმოგვიდგა ქ-ნი მანანა დანგაძე, რომელსაც პოეტური სული სიცყვაკამბულ ლექსებად, სიმღერებად უქცევია, ხოლო მათი გამომზეურება პირველად მშობლიურ ქალაქს გაუბედა.

დადგა სცენასთან რიგი. ლექსითა და მუსიკით შეთამამდნენ სტუმრები. შინაგანი ემოციებისგან განმუხგვა მოუნდა ყველას, ზოგი ლექსად, ზოგიც სიგყვად, ზოგიც მუსიკად იღვრებოდა. სულიერ-ხორციელად შთაგონებულნი ამ ორ შემოქმედს მოწიწებით თაყვანს სცემდნენ.

პოეტ ქალბატონს მიესიყვარულა მართლმადიდებელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ომარ გოჩელაშვილი,

„მე არ გამკვირვებია მანანას პოეტობა, ვინაიდან თავისი შინაგანი ბუნებით ის ჩემთვის ყოველთვის პოეტი იყო,“ – აღნიშნა თავის გამოსვლაში პოეტმა, აკადემიკოსმა, ხაშურის განათლების განყოფილების გამგემ მურად მთვარელიძემ.

პოეზია თავის ნამდვილ სახეს მაშინ გამოაჩენს, როცა შესაფერისად, ოსტაგის მიერ ოსტაგურად იკითხება. მანანას ლექსებმა იმ დღეს უხილავიდან ხილულში გამოანათეს, ყველა, ვინც კი ისურვა მისი ლექსების წაკითხვა, არ იშურებდა ხელოვნების წარმოჩენას, ოსტაგურად წაკითხეს მანანას ლექსები ქნმა მინაილა კვერნხილაძემ, ჯემალ მელქაძემ, იური ფოფხაძემ, უშანგი ჯობახაძემ, გიორგი ჩოხელმა.

ხაშურელმა კომპოზიტორმა ლიანა გაგიშვილმა მანანას ლექსზე შექმნა სიმღერა, რომელიც შეასრულა გოგონათა გრიომ – ხათუნა დვალაძის, მაია მურადაშვილის, ნინო ახალკაცის შემადგენლობით.

პაგარა მომღერლებმა სწრაფად შეკრეს ნახევარწრე და ლიანა გაგიშვილის ნიშანზე პირველად ამ დღეს შეასრულეს სიმღერა მანანა დანგაძის გექსგსა და კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილის მუსიკაზე.

მომღერალი პაგარები ყვავილების ხალიჩას უფენდნენ კომპოზიტორსა და პოეტს.

ოჯახი ხელოვნებააო, უთქვამს ხალხს, რისი დასტურია ამარაშვილების ოჯახი – ოჯახი ეროვნული ჰანგით აჟღერებული, ქართული სიმღერებით ამღერებული და, რაც მთავარია, წმინდა სულით შთაგონებული.

ბებიის ლექსები წყაროს წყალივით მორაკრაკებდა მშვენიერი თეკლა გოგსაძის ბაგეებიდან, მას მხარი დაუმშვენეს ასევე პაგარა დეკლამატორებმა თათია კახეთელიძემ და რაგი გოგრიჭიანმა. შემდეგ კი თეკლამ სიმღერა გააგრძელა ბებოს გექსგით, მისივე მუსიკაზე კო-



ნცერგმეისგერი დედის ნათია ამარაშვილის თანხლებით.

ბ-მა ვაჟამ თავის რეპერტუარს შემაგა სიმღერა მეუღლის გექსგებზე. როიალთან მათი ქალიშვილი – ნიჭიერი კონცერგმეისგერი ნათია ამარაშვილი აკომპანირებას უკეთებს მშობლების სიმღერას, ერთმა ლამაზმა ქართულმა ოჯახმა შექმნა საგალობელი ცისა და მიწისა, ჰიმნი სიცოცხლისა, სიმღერა ცხოვრებისა, მუსიკა სიხარულისა და ლექსი არსებობისა. მსმენელთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია შალვა ლენკერაშვილის მიერ შესრულებულმა „მუხამბაზმა“.

ღარბაზში ცისკიდურიდან გადმოღვრილი ჩანჩქერივით გადმოიშალა მუსიკა და მას სცენაზე განღერწამა ქალი გამოჰყვა. დადიოდა თუ დაფრინავდა, სრიალებდა თუ შრიალებდა. ამაში გარკვევა ჭირდა. ვ. ამარაშვილის „ქალაქურმა სიმღერამ“ შვა თითქოს ეს ქალბატონი ყოველი შერხეული ნოგისაგან. ქორეოგრაფმა ელენე რაგინმა საფეხებით დააგყვევა სტუმრებიც და მასპინძელებიც და იშვა ახალი ცეკვა...

სცენა „იწვის“, ღარბაზი ფეხზე დგას. როიალთან ვაჟა ამარაშვილია – იხუვლა გაშმა, ბევრით, ბევრით ცისკენ იმზირებოდა ყველა, თითქოს სცენაზე კი არა, ბე-სამყაროდან ჩამოკრესო საგალობელი.

ბ-ნმა ვაჟამ და მერაბ ღონაძემ რამდენიმე ლუეტი შეასრულეს.


ამარაშვილების ოჯახს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარემ ნონა გუფნაძემ და ხაშურის მერმა თემურ რუხაძემ.

ლონისძიების ბოლო აკორდი იყო მუსიკა „საქართველო, გამარჯვება შენ“, რომელსაც ასრულებდა სამუსიკო სკოლის ქალთა გუნდი და ანსამბლი „ხაშური“ (ხელმძღვანელი ალ. ნემსაძე) პედაგოგ მერი ჭანკოგაძის ლოგბარობით.


არავინ ჩქარობდა დარბაზიდან გასვლას. სიყვარულის ძალას ერთად შეეკრა მაყურებელთა სულები. ეს რამდენიმე საათი იყო მიარება გეციერებასთან, ამაღლება, აღმაფრენა, სიცოცხლის არსის შეგრძნება.

კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა თავის სიგყვამი აღნიშნა: „ყელაბე შთაბეჭდავი ის გახლავთ, რომ ამ პაგარა ქალაქში ჩაგარდა ტრიუმფალური ღონისძიება, რომელიც თბილისის ყველა დიდ საკონცერტო დარბაზსაც კი შეშურდებო“.

საბავშვო და №5 საქალაქო ბიბლიოთეკის კოლექტივი მაღლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომელიც დაეხმარა ღონისძიების მომზადებასა და ჩატარებაში, განსაკუთრებით კი სურამისა და ოსიაურის გამგებლებს გარიელ გოგალაძეს და რამაზ ახალკაცს, აგრეთვე სავაგონო დეპოს ხელმძღვანელობას, ბაგონ დავით წიქარიშვილს.



უხვედრა ოტია იოსელიანთან



ბაგონო ოტია!

დღევანდელ საქართველოში კარგად ჩანს თქვენი მართალი სიგყვის ფასი, თქვენ ერთადერთი ხართ, ვინც არ უშინდება სიმართლის პირში თქმას, მიუხედავად იმისა, რა თანამდებობისა და ასაკის ადამიანების მიმართ ამბობთ ამას. ამიგომ ძალბე სჭირდება მოზარდ თაობას, და არა მარტო მათ, თქვენი მართალი სიგყვა, ეროვნული ამაღლება, სულიერი სამრდო – წიგნები და მხარში ამოდგომა. უბრალო, ამაღლებული ფრაბების გარეშე თქვენ აღწევთ, ადამიანის გულში აღძრათ, შეარხიოთ სათუთი სიმები და გამოაფხიბლოთ ისინი, რომლებსაც დაავიწყდათ ილიასეული იდეები, თავისუფლებისა და დემოკრატიის ნიღბით შემოსილნი ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტს მო-

იხევეტს. სამწუხაროდ, ასეთები ვერ გრძნობენ თავიანთ დაცემას და სულიერ სილაგაკეს, სწორედ ამ დროს არის საჭირო მწერლისა და პოეტის მართალი და პირდაპირი სიგყვა, რომ გამოფხიბლდეს ერი და ბერი, გადარჩეს ქვეყანა და მისი მომავალი – მოზარდი თაობა, რომელიც უნდა აღიზარდოს ჩვენი ეროვნული და ბრძენი მწერლების ნაწარმოებებზე.

თქვენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი, დრამატულ ნაწარმოებებში აღწერდით მაშინდელი ცხოვრების მახინჯ მხარეებს და საგირული აქცენგით საზოგადოებას აჩვენებდით რეალობას. დღევანდელ საქართველოში ყველაფერი გაცილებით უარესადაა. თქვენს სიგყვას დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდებზე. ამიგომ საჭიროა, თქვენი ნაწარმოებები და მოსა-

ბრეები უფრო ახლოს მიიგანოთ ხალხთან, რათა უიმელობაში ჩავარდნილი ადამიანები ანუგეშოთ, ძალა და მოთმინება მისცეთ, სულიერად რომ არ ღავეცეთ, გადავიგანოთ ათასი შინაური და გარეული მგრის შემოგევა და სახადივით მოიხლოს ჩვენმა ქვეყანამ უცხო ქვეყნიდან შემოგანილი სენი.

ქ. თბილისის ბიბლიოთეკების თანამშრომლები ვცდილობთ მოგარდებს და მომრდილებსაც მივაწოდოთ თქვენი წიგნები, ზღაპრები და ახლოსაც გავაცნოთ თქვენი პიროვნება – ამის ნათელი დადასტურებაა დღევანდელი შეხვედრა – „ღიალოგი მწერალთან“.

ამ სიგყვით მიესალმა თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების მეთოდისგი ლუიბა ქუმეღაშვილი ბაგონ ოგია იოსელიანს, რომელსაც თბგ 53-ე ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება მონუწყო შეხვედრა.

მწერალს მიესალმნენ: საბავშვო განყოფილების თანამშრომელი მანანა ეჯიბაძე, კინოსგუღია „ქართული ფილმის“ მსახიობი ნაზი ნავროზაშვილი, დამსახურებული პედაგოგი მა-



დღენა სიხარულიძე, ფილოლოგი თამარ გელოვანი.

თანამშრომლებმა და მკითხველებმა გადაწყვიტეს, ამ ბიბლიოთეკაში შეიქმნას „ოგია იოსელიანის სალონი“, რაც მოწონებულ იქნა დამსწრეთა მიერ.

მწერალმა ოგია იოსელიანმა პასუხი გასცა მკითხველთა მრავალ შეკითხვას და დიდი სიამოვნებით დათანხმდა სალონიში მუშაობაზე.

თბილისის 53-ე ბიბლიოთეკის თანამშრომლები





ცისანა ქოჩეჩაშვილი
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

ბიბლიოთეკის ფასი: შენ უნდა იყო ის მოყმა



დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის ავტორს, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს, 50-იან წლებში, საბჭოთა მთავრობისათვის მიუმაართავს სამსახურის

თაობაზე. თხოვნა დააკმაყოფილეს და ბატონი კოტე საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს.

კომპოზიტორი დათანხმდა და დაწესებულებას მიაშურა. აქ მას ყველა კარგად იცნობდა როგორც ფოლკლორის ქომაგს, ლოცბარ-კონსულტანტს, ერთი სიტყვით, როგორც შინაურს. როდესაც ბატონმა კოტემ თანამშრომლებს მისვლის მიზეზი აუწყა და ბიბლიოთეკის ჩვენება ითხოვა, გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს და ახალგაზრდა ქალბატონზე მიუთითეს – აი, თავად ბიბლიოთეკის გამგე და, ალბათ, ის გაგიძღვებათო.

– როგორ, ცოცხალი ადამიანის ადგილზე დამნიშნეს? არა, ბატონებო, ამას ვერ დავუშვებ, მაპაგიეთ, ბოდიშს ვიხდიო, – გაგრიალდა და გაუჩინარდა.

ეს ამბავი დაწესებულების ძველმა თანამშრომელმა, ღვაწლმოსილმა ქალბატონმა მიამბო. არ გამკვირვებია – ბატონი კოტეს ინტელიგენტური, კეთილშობილი ბუნება, მოყვასი გული ამგვარ საქციელს სავსებით მიესადაგებოდა. მე სხვა რამ გამიკვირდა და არც დამიმა-

ლავს ქალბატონისათვის:

– როგორ, ამხელა კომპოზიტორი ბიბლიოთეკის გამგედ როგორ გაიმეტეს?!

– იმ დროს, ბიბლიოთეკის გამგის ხელფასი ღირეფტორისაზე მეტი იყო, – ამიხსნა მან.

ამან ნამდვილად გამაოცა.

ნუთუ მაშინ მეგად ესმოდათ წიგნისა და ბიბლიოთეკის ფასი?!

შენ უნდა იყო ის მოყმა

შენ გენაცვალე, პატარავ,
ჩვილო, აყვანში ჩაკრულო,
უნდა გაგზარდოს ქართულმა
„იანენამ“ და „ჩაკრულომ“.
მსოფლიო ენით საუბრობ,
სანამ ისწავლი საკუთარს,
ყოვლისმფარველმა უფალმა
სამშობლოსათვის გაკურთხა.
შენი გაჩენით ვამაყობ,
გულში იმედი მოდიდდა,
შენ უნდა იყო ის მოყმე,
ვისაც ვნატრობდით ოდითგან.

ეს ლექსი ექსპრომტად წარმოთქვა პოეგმა შოთა გოგონიძემ ხალხური პოემიის კონკურსზე – „ლექსო, არ დაიკარგები“, რომლის ოდენ მოწამე კი არა, ქიურის წევრიც იყო.

კონკურსის დასკვნითი გური ქ. თბილისის ნაკაშიძის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა და მასში დედაქალაქის ბიბლიოთეკების ის გამარჯვებული მკითხველები მონაწილეობდნენ, რომლებმაც ქართული ხალხური პოემიის მარგალიტებთან მიახლება სცადეს, შე-

ეჭიდნენ და წარმატებითაც. აქ პაგარა ქართული ქალ-ვაჟები ომახიანად, ეშხითა და მომხიბვლელობით, სწორი ინგონაციებით და მახვილებით კითხულობდნენ ლექსებს. „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“, „ლექსო, არ დაიკარგები“, „ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო“, „პაგარა ქალი ვიყავი“, „ქალ-ვაჟის გასაუბრება“, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, „თავფარავნელი ჭაბუკი“ – და ვინ მოთვლის კიდევ მათ ნათქვამსა და დამღერებულს. ბევრ მათგანს სამოსელიც ქართული მოერგო, ზოგს – სალამურისა და ფანდურის თანხლებაც გამოუყენებია. ყველაფერ ამას კი მოხდენილად აღგამდა გვირგვინს „პაგარა ერისიონელების“ ბრწყინვალედ შესრულებული ხალხური სიმღერებიც. გუგუნებდა „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო“ და სიამაყით მარგო მათი ხელმძღვანელს, დავით კერესელიძის გული როდი ივსებოდა...

ორი საათის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ხალხური ლექსი და სიმღერა და ყველაფერი სრულიად ქართული, ეროვნული სუნთქვით ფეთქავდა.

„ჩემი შვილები მღერიან ქართულს,
ჩემი შვილები ცეკვავენ ქართულს,
ამაზე მეტი არა მინდა რა“, –

მღელვარებით ახმოვანებდა თავის ლამაზ ლექსს ჟიურის წევრი, პოეტი ნინო მედელაშვილი. აღგაცებას ვერ მაღავდნენ ჟიურის სხვა წევრები, საპაგიო სტუმრები – კომპოზიტორი ალინა ცხომარია, მხატვრები ნელი ოქროპირიძე და ლეილა ასათიანი. სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა თვალებზე ებრაელ პოეტს – ია ხანუქაშვილს, რომლის ორი შვილიშვილი ასე ეფერებოდა ქართულ ლექსს.


და ბეიმობდა სიგყვა, ლექსი, სიმღერა...

სხვა გზა არ ჰქონდა ჟიურის თავმჯდომარეს, გაბნეულ „რაეოს“ მთავარ რედაქტორს, ბაგონ გია პაპუაშვილს; ჟიურის ერთსულოვან აზრს, თავისი დაუმატა და გამოაცხადა: კონკურსში ყველა გამარჯვებული არის, ამიტომაც არავინ გამოუყვია, კონკურსის ყველაზე ნორჩი მონაწილის 6 წლის როსტომ წერეთლის გარდა, რომელსაც, სხვათაგან გამორჩეულად, სამახსოვრო საჩუქარიც გამორჩეული გადასცა.

ასე შეაერთა საქართველოს საიმედო მომავალი – პაგარა ქართველობა კონკურსმა, რომლის იდეა გაბნეულ „რაეოს“ ყოფილ მთავარ რედაქტორს, აწ გარდაცვლილ ბონდო გაგნიძეს ეკუთვნის. მას მხარი აუბა დედაქალაქის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელმა, რომელმაც კარგად იცის, როგორც სჭირდება დღევანდელ გაუცხოებულ, გათითოვებულ საქართველოს ხალხური პოეზია – ერის წინამძღვარი, მისი ფესვებისა და მთავარი ძარღვის გამყარების საფუძველი. სამართლიანად წერდა ფოლკლორის ქომბაგი, სამოგალო მოღვაწე მელიტონ კელენჯერიძე: „სახალხო პოეზია არის ერის ნაციონალური მისწრაფება, მისი ეროვნული მეტობის დამამტკიცებელი საბუთი... იქ, სადაც ერის კულტურა და მწერლობა დასცილდა ხალხურ შემოქმედებას, იგი დაიშრიგა და გადაგვარდა, ამიტომ ეროვნული სახის შენარჩუნების ერთადერთი გზა ხალხური პოეზიისაკენ მიბრუნებაა“.

შრომა დაუფასდათ ქ. თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელებს, ბიბლიოთეკების გამგეებს, გაერთიანების მეთოდისტებს ლუიზა ქუმელაშვილს და ნელი ჯარიაშვილს, თბილისის 147-ე საშუალო სკოლის პედაგოგს მადონა ლორთქიფანიძეს, კონკურსის კეთილ მასპინძელს – ნინო ნაკაშიძის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ ღონისძიების განხორციელებაში.

სრულიად საქართველოს კონკურსი „ლექსო, არ დაიკარგები“ გრძელდება. ვინ არის შემდეგი?



ირინა გოგლიძე
ეროვნული ბიბლიოთეკის არქივ-მუზეუმის გამგე

თამარ თოთიბაძე – 110

XX საუკუნის დასაწყისში მთელ საქართველოში ფართოდ ვრცელდებოდა მოწინავე პროგრესული იდეები; საქართველოს ღირსეული მოღვაწეები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ხალხის საკეთილდღეოდ ყოველ ახალ საქველმოქმედო წამოწყებას. სწორედ ასეთ საქველმოქმედო საქმესთანაა დაკავშირებული თამარ სიმონის ასულ თოთიბაძის მოღვაწეობა. იგი 30 წელი ემსახურა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას საქართველოში და უამრავი სიახლე დანერგა.

თამარ თოთიბაძე დაიბადა 1896 წელს ქ. ობურგეთში. 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ბათუმის ქალთა გიმნაზია და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად სოფელ ნიგოთში, ხოლო 1917 წლიდან გადმოდის ქ. თბილისში და მუშაობას იწყებს შრომის სკოლებში.

1930 წელს მუშაობის შეუწყვეტლად ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტსა და უნივერსიტეტთან არსებულ უცხო ენათა კურსებს (ინგლისურის სპეციალობით).

1931 წელს თ. თოთიბაძე იცვლის პროფესიას და მუშაობას იწყებს საქართველოს კარლ-მარქსის სახელობის სახელმწიფო რე-



სპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დიდი სამკითხველო დარბაზის გამგედ.

იმ პერიოდში ისეთ საბიბლიოთეკო დარგის კორიფეებთან მუშაობა, როგორებიც იყვნენ: ი. გ. ციციშვილი, დ.ნ. მარკვეიძი, ე.რ. გორინა, თ. პ. მაჭავარიანი და სხვები, დიდ სკოლას წარმოადგენდა.

თ. თოთიბაძის უშუალო ხელმძღვანელობით ხაბურმანიამ და თ. მაჭავარიანი ქართულ ენაზე თარგმნეს საავტორო ცხრილები. მისი ინიციატივითა

და უშუალო ხელმძღვანელობით ბიბლიოთეკაში შეიქმნა სამედიცინო ლიგერატურის პირველი საგნობრივი კატალოგი, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირი პირველი იყო. თ.ს. თოთიბაძემ კატალოგები მრავლად შეავსო უცხოური ლიგერატურის აღწერილობებით და აქტიურად იმოღვაწა გოპოგრაფიული კატალოგის, საცნობო-ბიბლიოგრაფიული კარგოთეკის შედგენაზე. მისი მონაწილეობით სანიმუშო წესრიგი დამყარდა ბიბლიოთეკის საკატალოგო მეურნეობაში. საყურადღებოა, რომ იგი აქტიურ აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა მკითხველთა შორის.

1936 წლის მარტში თ. თოთიბაძე, როგორც ენერგიული და საბიბლიოთეკო დარგის გამო-

ჩენილი მუშაკი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკის დირექტორად გადაიყვანეს.

1937 წ-დან მას ასევე დაევალა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა.

როგორც ცნობილია, 1928 წელს კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ბიბლიოთეკის ფონდის ბაზაზე დაარსდა სამედიცინო სამეცნიერო ბიბლიოთეკა ლუნაჩარსკის ქუჩაზე ექიმთა და ხელოვნების ინსტიტუტის შენობის სარდაფში.

იმ პერიოდში ბიბლიოთეკის შტატი 4 თანამშრომლისაგან შედგებოდა. თ. თოთიბაძემ ენერგიული და პროფესიული მუშაობის შედეგად სრულიად გარდაქმნა ბიბლიოთეკის მუშაობა. მან საგრძნობლად გაზარდა საბიბლიოთეკო შტატი, რომელთა რიცხვმა 15 ერთეულს მიაღწია. მან მხოლოდ გამოცდილი პროფესიონალები მიიღო და დაასაქმა. მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება. გაიზარდა კატალოგების მოცულობა, რომლებიც უცხოური ლიტერატურით შეივსო. შედგა საცნობო-ბიბლიოგრაფიული კარგოთეკა და გოპოგრაფიული კატალოგი. საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ლიტერატურის საგნობრივ კატალოგს.

1937 წლის დამლევს თ. თოთიბაძე გაიგზავნა ქ. მოსკოვში საბიბლიოთეკო დახელოვნების მოკლევადიან კურსებზე.

1938 წლს თ. თოთიბაძის უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბდა „დამოუკიდებელი ბიბლიოთეკა“, რომელიც განთავსდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტთან მდებარე შენობაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აქ ჩამოყალიბდა ბ.შ.ა-ს განყოფილებები და „წიგნი ფოსკით“, აქვე ითარგმნება უცხოური ლიტერატურა ქართულად, გაიცემოდა ბიბლიოგრაფიული ცნობები, დგებოდა ბიბლიოგრაფიული მაცნეებლები, სარეკომენდაციო სიები, ბიულე-

ტენები, რომლებიც იგზავნებოდა სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში მკითხველთათვის.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკების ქსელის მრდასთან დაკავშირებით იზრდებოდა ცენტრალური სამედიცინო ბიბლიოთეკის როლი, როგორც მეთოდური ცენტრისა. ამ დარგში საჭირო იყო ახალი კადრების მომზადება და თ. თოთიბაძის ინიციატივით გაიხსნა კიდეც მოკლევადიანი საბიბლიოთეკო კურსები, რამაც ხელი შეუწყო სამედიცინო-სამეცნიერო ბიბლიოთეკის შემდგომი მუშაობის განვითარებას.

სამამულო ომის წლებში თ. თოთიბაძე აგარებდა საშეფო მუშაობას, სამეცნიერო-ლიტერატურით ამარაგებდა ჰოსპიტლებში მედიცინის მუშაკებს.

1942 წელს სამედიცინო ინსტიტუტი გადავიდა გუბლისპანსერის შენობაში. ორი სამედიცინო სამეცნიერო ინსტიტუტის ბიბლიოთეკები თ.ს. თოთიბაძის ხელმძღვანელობით ამავე შენობის პირველ სართულზე განთავსდა.

1946 წელს ომის დამთავრების შემდეგ ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო დიდძალი ნადავლი ლიტერატურით.

თ. თოთიბაძის ავტორობით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით შედგენილ და გამოცემულ იქნა ცნობარი „სამედიცინო ლიტერატურა საქართველოში“ (1921-1947 წ.წ.).

თ. თოთიბაძე გარდაიცვალა 1960 წელს 64 წლის ასაკში. სამწუხაროდ, გარდაცვალებამდე იგი არ დაჯილდოებულა „საპატიო ბიბლიოთეკარის წოდებით“, მაგრამ უმწიკვლო მუშაობისთვის ხშირად აჯილდოებდნენ მედლებითა და სიგელებით.

თ.ს. თოთიბაძემ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა სამედიცინო მეცნიერების წინსვლისა და განვითარების საქმეში. მისი სახელი წარუშლელია საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში.



მიპასულები ჩვენს ჟურნალს



ჩვენი ჟურნალი პერიოდულად დებულობს მკითხველების წერილებს, რომლებშიც ისინი თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს გვიზიარებენ.

ჟურნალის საიუბილეო დღეებში მივიღეთ თბილისის 36-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგის მზინა გარაშვილი-ფიფიას წერილი, რომელშიც ავტორი თავის გულწრფელ დამოკიდებულებას საკუთარი ლექსითაც კი გამოხატავს. საესეებით სამართლიანად აღნიშნავს მასში: „მიუხედავად მართლა დიდი გაჭირვებისა, ის არ ჩამკვდარა, არ შეწყვეტილა, ის ჩვენთან არის“.

ქალბატონი მზინა თავის წერილში მოკლედ გვატყობინებს:

„ამ ხუთიოდე წლის წინათ საბიბლიოთეკო კურსებზე ყოფნის დროს გვაცნობეს, რომ საქართველოში პირველად გამოდის ჟურნალი „სა-


ქართველოს ბიბლიოთეკა“.

ეს ცნობა ჩვენი მოულოდნელი იყო და, რა თქმა უნდა, სიხარული ვერ დავფარეთ. ბიბლიოთეკარებს გვეძლეოდა საშუალება, ჟურნალში გავცნობოლით მასალებს ჩვენი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, ყველა საკითხსა და სიახლეს.

ჟურნალი ხუთი წელია, რაც გამოდის. ყველა რუბრიკა საინტერესო და შინაარსიანია. ჟურნალში ვეცნობით ბევრ საინტერესო ამბავს, რაც ჩვენს პროფესიულ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

ჩუღურეთის რაიონის სკოლების ბიბლიოთეკარები ვულოცავთ ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკას“ 5 წლის იუბილეს და ვუსურვებთ წინსვლასა და ყოველივე კარგს!..


მზინა გარაშვილი-ფიფია
36-ე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე



იური მგალობლიშვილი

კინოკლასიკის პოეტური რეალიზმი

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თბილისის კინოს სახლის კ/რ „ქოლგაში“ წარმოდგენილი ფილმები ქანრული დაგვირთვით, შეიძლება ითქვას, უკვე მრავალფეროვანი და არაერთწახნაგოვანი გახდა. სიყვარულის მარადიული თემატიკა რეალიზებულ იქნა არა მარტო კინორომანებში, არამედ კინოს ისეთ ქანრში, როგორცაა „ფილმ-მლაპარი“. მის ერთერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლად ფრანგი კინორეჟისორი, პოეტი და ესთეტი ჟან კოკტო (1889-1963) შეიძლება მივიჩნიოთ, კინორეგროსპექტივაზე წარმოდგენილი მისი ფილმი „ლამაზმანი და ურჩხული“ (1964 წ. მთ. როლში: ჟან-მარე). მასში საოცრებათა მანამდე არნახული გამოვლენებია: სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და ვნებები. შემართება და უსუსურობა, რასაც მოსდევს შიში და ღალატი; თუმცა აქ ძნელად შეხვდებით კეთილ ფერიებს. ჟან კოკტოს აზრით, ადამიანები გადაიღალნენ იმით, რასაც „რეალური ცხოვრება“ უწოდეს. პოეტური რეალიზმი – თუნდაც ფრანგულ მითოლოგიზაციაში – თავად ამ რეალური ცხოვრების ერთგვარ გაუმჯობესების საშუალებად ანუ „აბიგლუკომად“ უნდა ქცეულიყო. ფრანგული კინემატოგრაფის უდიდესი წარმომადგენელი რენე კლერის (1898-1981) პოეტური



რეალიზმი ცოცხალი დაგვიანებული აღმოჩნდა. რენე კლერი ის ხელოვანი იყო, რომელიც ფრანგულ აკადემიაში კინემატოგრაფისტებისაგან პირველი აირჩიეს. „პოეტური რეალიზმის“ საშუალებებია გამოყენებული სწორედ ფილმში „დიდი მანევრები“ (1955წ. მთ. როლებში: ჟერარ ფილიპი, მიშელ მორგანი, ბრიჯიტ ბარდო), რომელიც აღმოჩნდა კინორეჟისორისათვის ერთგვარ „სასიხე ქვად“ პოეტურ რეალიზმში. შემდგომში რენე კლერმა ეს ბრწყინვალედ მოახერხა ფილმში „პორტი დე ლილა“ (საბჭ. გაქირაგებაში: „პარიზის გარეუბანში“). დიდი მანევრები კი ჟერარ ფილიპის პერსონაჟისათვის არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ პირად ურთიერთობებშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, თუნდაც სასიყვარულო და ვნებების ფრქვევის თვალსაზრისით, ქალბაგონ მიშელ მორგანის პერსონაჟის მიმართ. გარემომცველი ყოფა, სამყარო ანუ სოციალ-პოლიტიკური ვითარება ადამიანებს განაწყობს არა მარტო შემგუებლობისაკენ, არამედ ხშირად საწინააღმდეგოდაც. წინააღმდეგობანი არა მარტო მანევრებით, არა მარტო მანიპულაციებით ხდება, არამედ რეალური ხელოვნების სხვადასხვა საშუალებებითაც, თუნდაც კომედის კანონებით და მუსიკალური ლაივმოტივებით. უდიდესი ფრანგი იმპრესიონისტი მხა-

გერის პიერ ოგიუსტ რენუარის შვილი, უდიდესი ფრანგი კინორეჟისორი ჟან რენუარი (1894-1979) კინოკლასიკაზე წარმოდგენილი გახლდათ დაუვიწყარი ფილმით „თამაშის წესები“ (1939 წ. მთ. როლში: ჟან რენუარი), ეს არის გაუგონარი და საგანგაშო გრაფიკომედია, რომელშიც იგრძნობა შიში II მსოფლიო ომის დაწყებისა, მკვეთრად ისმის ხმა კინორეჟისორისა, რომელმაც განაჩენი გამოუტანა ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებას, რომლის ფარისევლობის, ორპირობისა და მუხანათობის, თვითდამშვიდებისა და ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე აღმოჩნდა საფრანგეთი გერმანულ-ფაშისტების (ნაცისტების) „ყბაში“, ომისშემდგომი პერიოდი კი ისევე, როგორც მთელი ევროპისათვის, საფრანგეთისთვისაც, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო აღმოჩნდა. ასე აღმოჩნდა ჟან გაბენის პერსონაჟი იგალიაში, უფრო სწორად, „ვისოსებს მიღმა“. რენე კლემანის (1913-1996) ფილმში „მალაპაგის კელლებთან“ (1948წ. მთ. როლში ჟან გაბენთან ერთად იზა მირანდა), ხოლო ივ მონგანის გმირი ლუკმა პურის ძიებას შორეულ, ოკეანეს გაღმა ბრაზილიაში ეძიებს. ანრი ჟორჟ კლუმოს (1907-1977) ფილმში „შიშის საზღაური“ (1953წ.), რომელშიც ივ მონგანის პერსონაჟი, ავტომძღოლი, არ ერიდება არავითარ სამუშაოს, თუნდაც ასაფეთქებელი ნივთიერებების გადატანა-გრანსპორტირებას. მუდამ უნდა ფრთხილობდე! მისმა პერსონაჟმა ეს დაივიწყა, იმ დროს, როდესაც ვნებადაცლილი, მხიარული, ასაფეთქებელი ნივთიერების გარეშე, გასამრჯელო აღებული (სხვებისგან განსხვავებით) ბრუნდება, საჭე ვერ დაიმორჩილა და ხრამში გადაეშვა. ფილმში „მალაპაგის კელლებთან“, – ამ ფრანგულ ფილმში, ამკარად იგალიური ნეორეალისტური კინოს კანონები იკვეთება: ვნებები, შიში, სიყვარული.


დიდი იგალიელი კინორეჟისორი ლუკინო ვისკონტის (1906-1976) ფილმში „გრძნობა“

(1954წ. მთ. როლში: ალიდა ვალი), რომელშიც კ. ბოიგას რომანის ერთგვარ ეკრანიზაციას წარმოადგენს, გვაქვს ისტორიული ექსკურსი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ფერწერული-პოეტური ფორმები. ამ მელოდრამას მძაფრი შეფასებები და დაპირისპირება მოჰყვა.

საქვეყნოდ ცნობილი კინოფილმის „კურნალისტი რომიდან“ ავტორი იგალიელი კინორეჟისორი დინო რიზი (1916წ) კინოკლასიკაზე წარმოდგენილი იყო „ქალის სურნელით“ (1974წ. მთ. როლში ვიგორიო გასმანი). ავტორი თვლის, რომ ადამიანის უმთავრესი გრძნობა სიყვარულია. ადამიანი მოქმედებს თავისი გრძნობის ორგანოებით და ეს არა მარტო ფიზიოლოგიური გამოვლინებებია. ვიგორიო გასმანის პერსონაჟს მხედველობა არა აქვს, ამდენად მას გამახვილებული აღმოაჩნდა, ვთქვათ, ყნოსვის ორგანო (ესეც ხომ ფიზიოლოგიური გამოვლენაა). ბრწყინვალე მსახიობის უსინათლო პერსონაჟისათვის სიყვარული არა მარტო სურნელია, არამედ უმაღლესი სულიერების გამოვლენა და ის ვერ ჩაჯდება ვერავითარ ფიზიოლოგიურსა თუ ვნებების გამოვლენასა თუ მოთხოვნილებაში. გავისხენოთ აქვე ამერიკელი ალპაჩინოს მონაწილეობით ანალოგიური ფილმი.

იგალიელი ახალი თაობის კინორეჟისორის ჯუმბეკ გორნაგორეს (დაიბ. 1956წ) კინოკლასიკაზე წარმოდგენილ ფილმში „ახალი კინოთეატრი პარადიზი“ (1988წ. მთ. როლში ფილიპ ნუარე, ჟაკ პერენი, „ოსკარი“-ს პრიზი) ნაჩვენებია ძველი კინემატოგრაფიისა და რეალური სოციალური ცხოვრების აღქვაგურობა, თუნდაც ერთი კინოთეატრისა და მაყურებლების მაგალითზე. აქ არის ის, რაც ესოდენ ფიერვერკისებურად იფრქვევა როგორც ეკრანიდან, ისე ცხოვრებიდანაც. ეს კი სწორედ პოეტური სიყვარული და ვნებები, დაშვებული და აკრძალული, გაუგებელობა და შიშია.

გასული საუკუნის 60-იან წლებში კინოეკრანზე უკვე ომის შემდგომი მომძლავრებული



ვეროპაა, ადამიანთა სიყვარულის მარადიული თემატიკა ახალ ჰიპოსტაზშია წარმოდგენილი. ასეა ფრანგული „ახალი გალღის“ კინემატოგრაფისგან უამრავ ფილმშიც. „ქიული და ჯიმი“ (1961 წ. რეჟ. ფრანსუა გრიუფო, მთ. როლში: ჟანა მორო) და „მიზმი“ (1963წ. რეჟ. ჟან ლუკ გოდარი, მთ. როლში: ბრიჯიტ ბარდო, მიშელ პიკოლი) უნაგვიფესი ფილმებია, თითქოსდა ბანალური, ფათერაკებიანი ისტორიებით, სასიყვარულო სამკუთხედებით – მაგრამ „ეს სიყვარული სამივესი ერთად“ არაორდინალურია. ჟან ლუკ გოდარმა „მიზმი“ გამოიჩინა იტალიელი მწერლის ალბერტო მორავიას ნაწარმოების მიხედვით გადაიღო. იგი ერთგვარი მეამბოხე აღმოჩნდა დაკანონებული „მორალისგების“ მიმართ. თუმცა ფილმში ასეთ „მეამბოხეობას“ თავად რეჟისორმა გამოუგანა განაჩენი, ქალის ლაღაგი დასჯილ იქნა, იგი ავტოკატასტროფაში იღუპება საყვარელთან ერთად.

დიდი ესპანელი კინორეჟისორის ლუის ბუნუელის ფილმში „ღღის ლამამბანები“ (საფრანგეთი, 1967 წ. მთ. როლში: კაგრინ ლენევი, სორელი, მიშელ პიკოლი, ვენეციის მთავარი პრიმი „ოქროს ლომი“), რომელშიც ნაჩვენებია ბურჟუაზიული ელიტის სადაგი დღეები. გადმოცემულია ის, თუ როგორ „მოეყირვათ“ სასიყვარულო, უფრო სწორად, საროსკიპო ცხოვრება, არა მაგერიალური გაუსაძლისობის, სექს-უკმარისობის გამო, არამედ გული თავგადასავლებისა და ფათერაკების, ახალი ვნებების საძიებლად მიუწევთ.

კინოს უდიდესი მახეგროა ლუის ბუნუელი (1900-1983). მისი კინემატოგრაფიული მიზანსწრაფვები, მართლაც ფენომენალურია. მართალია, ფენომენალური არაა თანამედროვე ფრანგული კინოს წარმომადგენელი ფრანსუა ოზონი (დაიბ. 1966 წ.), მაგრამ თითოეული მისი ფილმი გაჯერებულია იმით, რასაც არა მარტო სიყვარულის მარადიული თემა ეწოდება, არამედ რეგროსპექტული წარმოდგენაც მასზე, ისე, როგორც 5 ეპიზოდშია ნაჩვენები

ფილმში „5X2“ (2004წ). იგი, რა თქმა უნდა, „სკანდალურად“ აღიქმება.

მაყურებელი კვლავაც უდიდესი ინტერესითა და ერთი ამოსუნთქვით უყურებს თითქოსდა ლექტურ ფაბულაში გახვეული, დიდი კინორეჟისორის ალფრედ ხიჩოკის (1899-1980) ფილმებს. ასევეა 1935 წელს გადაღებულ მის ფილმში „შიონომანიით“, „39 საფეხური“. „ხიჩას“ ფენომენი მართლაც კინოსათვის იშვიათია, რამეთუ მისი ფილმები იძლევა ცხოვრების გაკვეთილებს, არა მარტო მათთვის, ვისთვისაც კინო ზედაპირული, თვალისმომჭრელია, არამედ მათთვისაც, რომლებიც რამდენიმე ფენას ეძებენ ამ ზედაპირის ქვეშ. გერმანელი კინორეჟისორის ვენდერსის (დაიბ. 1945წ) საღებუგო ფილმში „მეკარის შიში 11-მეგრიანი ღარგყმის წინაშე“, მართალია, არ არის დიდი ა. ხიჩოკის კინომატოგრაფიული გამოვლენები, მაგრამ 1972 წელს გადაღებულ ფილმში არის ადამიანური ვნებები და მის ნიადაგზე გამოწვეული „ლაუკმაყოფილებლობის კომპლექსი“, რასაც მანიაკალური მკვლელობები მოსდევს. ამკარაა, ბევრი ადამიანი არათუ ვერ ახერხებს თავისი ცოდვების მონანიებას რელიგიურად, არამედ შიშის გრძნობასაც კი კარგავს და ეს შიში ღვთის მოშიშობაა, რომელიც ერთადერთი უნდა იყოს ადამიანის ცხოვრებაში. სხვა შიში ეს სიმხალე და, უფრო სწორად, უპრინციპობაა. სიბერის ქამს, როდესაც ხდება ადამიანის დაფასება-გადაფასება, თუნდაც ყველა არსებული გიგულეების შემკობით, მოხუცი ადამიანი, პროფესორი (მსახიობი ვიქტორ შესგრიომი) ხვდება, რომ მისი წარმატებანი უპრინციპობის, სწორედ სიმხალისა და ცხოვრებაში არა რელიგიური შიშის გამო ხდებოდა. ინგმარ ბერგმანის (დაიბ. 1918წ.) თანამედროვე კინემატოგრაფისგებს შორის ყველაზე დიდი რეჟისორის (ცოცხლებს შორის) ფილმში „მარწყვის მღელი“ (1957წ.) სწორედ ამბება ლაპარაკი. კინოხელოვნებას შეუძლია ყველაფერზე ილაპარაკოს პოეტური შემართებითაც!



ნანა ფირცხალავა

საქ. მეცნ. აკად. სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

აკადემიკოს ევგენი ხარაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1974 წლის დადგენილებით აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამოსცემს ბიობიბლიოგრაფიულ სერიას – „ქართველი მეცნიერები“. ცალკეული ნაკვეთი ეძღვნება საქართველოს გამოჩენილ მეცნიერებს. ბიობიბლიოგრაფიულ მარევენებელში მოცემულია მეცნიერის ბიოგრაფია, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ქრონიკა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, შრომების ნუსხა და ავტორზე არსებული ლიტერატურა.


ბიობიბლიოგრაფიის სერიული გამოცემის პირველი ნაკვეთი მიეძღვნა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს. მას მოჰყვა 1941 წლის 22 თებერვალს ახლადდაარსებულ აკადემიაში გაერთიანებულ 16 დამფუძნებლისადმი მიძღვნილი ნაკვეთები. ესენი იყვნენ აკადემიკოსები: გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიგაშვილი, კირიაკ ბაგრიევი, ფილიპე მაიციევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკო კეცხოველი, გარას კვარაცხელია, ნიკო მუსხელიშვილი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია და ალექსანდრე ჯანელიძე.

მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა სისტემატურად მუშაობდა სერიის ნაკვეთების გამოცემაზე. დღემდე სულ 8 ნაკვეთია გამოცემული, რაც მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ყოველი დარგის მეცნიერისათვის.

ახლახან სამეცნიერო ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა ბიობიბლიოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და სამოგადლო მოღვაწეს ევგენი ხარაძეს.

ბიობიბლიოგრაფრიაში თავმოყრილია მეცნიერის სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პოპულარული და მისი რედაქციით გამოცემული შრომების აღწერილობები, აგრეთვე ლიტერატურა ევგენი ხარაძის შესახებ. მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად. ცალკეა გამოყოფილი საიუბილეო თარიღები. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილია პროფესორ ვიქტორ ჯაფიაშვილის სტატია ევგენი ხარაძის სამეცნიერო და სამოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

„გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მოხდა უნიკალური, შეიძლება მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევა – მთლად ახალგაზრდა კაცმა სრულიად უკაცრიელ ადგილას





შექმნა ასგრონომიული სამეცნიერო დაწესებულება – აბასთუმნის ასგროფიზიკური ობსერვატორია. შემდგომ თვითონვე უცვლელად ხელმძღვანელობდა მას 60 წლის განმავლობაში და საერთაშორისო ღონემღე აიყვანა იგი. ეს კაცი გახლდათ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე, ასგრონომიის ქართული სკოლის ფუძემდებელი, 1992-2001 წლებში აბასთუმნის ასგროფიზიკური ობსერვატორიის საპატიო დირექტორი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე“, – ასე იწყება პროფესორ ვ. ჯაფიაშვილის აკადემიკოს ევგენი ხარაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოკლე მიმოხილვა.

ევგენი ხარაძე დაიბადა 1907 წლის 31 ოქტომბერს, მოსამსახურის ოჯახში. მან 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას მუშაობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში სინოპტიკოსად. სწორედ ამ პერიოდში შეხვდა ლენინგრადის თეორიული ასგრონომიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ბორის ნუმეროვს, რომლის დაკვირვებულმა თვალმა მასში დაინახა თვისებები, რაც მომავალში დიდი მეცნიერული წარმატებების საფუძველი გახდებოდა.

იმ ხანად საბჭოთა კავშირში პირველად დაისვა სამთო-ასგროფიზიკური ობსერვატორიის შექმნის საკითხი. ამ მიზნით ლენინგრადიდან ობსერვატორიის შესაფერისი ადგილის შესარჩევად საქართველოში ჩამოვიდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მისმა ხელმძღვანელმა ბ. ნუმეროვმა თავისი მომავალი ასპირანტი ე. ხარაძეც შეიყვანა. არჩევანი აბასთუმანზე შეჩერდა.

ასე გადაწყდა 1932 წლის 8 თებერვალს ყანობილის მთაზე საბჭოთა კავშირში პირველი სამთო-ასგროფიზიკური ობსერვატორიის დაარსების საკითხი. ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არარსებული ობსერვატორიის დირექტორად

დაინიშნა სრულიად გამოუცვლელი, მაგრამ დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა მეცნიერი ევგენი ხარაძე.

ევგენი ხარაძემ ბრწყინვალედ შეძლო მის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანის შესრულება. მთელი მისი მეცნიერული შემოქმედებისა და უაღრესად მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასგროფიზიკური ობსერვატორია.

ევგენი ხარაძის ძირითადი მეცნიერული შრომები მიძღვნილია გალაქტიკის სტრუქტურის შესწავლისადმი. აბასთუმნის ობსერვატორიამ თავისი საქმიანობა სწორედ ამ ამოცანით დაიწყო.

„ახალდაარსებულ ობსერვატორიას მხოლოდ მცირე ზომის ასგრონომიული ინსტრუმენტები გააჩნდა, მაგრამ ბაგონი ევგენის დიდი მცდელობით ეს იარაღები ყოველთვის გამოიყენებოდა გექნიკის განვითარების თანამედროვე ღონებზე მყოფ სინათლის მიმღებ აპარატურასთან კომბინაციაში და გამოკვლევის მეთოდების შერჩევა ისე ოსტატურად ხდებოდა, რომ მიღებული დაკვირვებითი შედეგები შემდგომ წარმატებით გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი დასკვნების გასაკეთებლად“, – ვკითხულობთ წინასიტყვაობაში.

დიდი წვლილი მიუძღვის ე. ხარაძეს ასგრონომიის სხვა დარგების განვითარებაშიც. მისი მრუნვით აბასთუმნის ასგროფიზიკური ობსერვატორია მრავალპროფილიან ასგრონომიულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად ჩამოყალიბდა.

ე. ხარაძემ დიდად შეუწყო ხელი ობსერვატორიაში ახალი თეორიულ-ასგროფიზიკური სამუშაოების წამოწყებას.

ე. ხარაძის სამეცნიერო მოღვაწეობის მსოფლიო აღიარებაზე მეტყველებს მისი არჩევა საერთაშორისო ასგრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტად. მისი დიდი განსწავლულობის, ფართო ერუდიციის, მეცნიერული ორგანი-

მაცის უბანში ნიჭისა და უღირსი ენერჯის გამო იგი არჩეული იყო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის, შემდეგ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და პრეზიდენტად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგედ და რექტორად. იგი დაუცხრომლად მრუნავდა საქართველოში ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარებისათვის, ყველაფერს აკეთებდა, რომ მეცნიერების განვითარებას მოჰყოლოდა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინება.

ე. ხარაძე არჩეული იყო ბევრი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელად, სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორად. იგი არის ავტორი სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა, უკვდავია მისი ბავშვებისათვის და არა მარტო მათთვის, დაწერილი მშვენიერი წიგნი „საუბარი ასტრონომიაზე“.

ე. ხარაძის აღზრდილი, ცნობილი დანიელი მეცნიერი, ასტრონომი რიჰარდ ვესგი მეცნიერის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით წერდა: „თქვენი დახვეწილი დიპლომატიური თვისებისა და უცხო ენათა საუცხოო ფლობის გამო თქვენ მოიპოვეთ უმაღალითო პრესტიჟი თქვენს საზღვარგარეთელ კოლეგებში. განსაკუთრებით მანცვიფრებს და მნიშვნელოვნად მიმაჩნია თქვენი განუხრელი და წარმატებითი სწრაფვა – შეაყვაროთ მეცნიერება თქვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობას. ის ფაქტი, რომ ასტრონომია სასკოლო პროგრამის ნაწილად იქცა საქართველოში მრავალი წლით ადრე, ვიდრე ეს მოხდებოდა სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების უმეტესობაში, უცხოეთში შეუმჩნეველი არ დარჩენილა“. თავისი მასწავლე-

ბლისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად რედაქტორმა მის მიერ აღმოჩენილ ერთ-ერთ ასტრონომიულ „ხარაძე“ უწოდა.

„ყველა ჩვენგანისათვის თქვენ იყავით და რჩენით ერთგულ მეგობრად, ბრძენ მასწავლებლად და ნამდვილ ინტელიგენტად. ბევრ ჩვენგანს ძლიერ გაგვიმართლა, რომ ბელმა თქვენთან დაგვაკავშირა“, – ასე მიმართავს ე. ხარაძეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე ბოიარჩუკი.

ბაგონი ევგენი უაღრესად უთიკური, თავდაჭერილი, სიღარბაისლით გამორჩეული ინტელიგენტი იყო, დიდი მოთმინებისა და არაჩვეულებრივი მეტყველების კულტურის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. იგი სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოს ღირსეულ მოქალაქედ და დიდ პატივსაცემად დარჩა.

„ბევრ ჩვენგანს ძლიერ გაგვიმართლა, რომ ბელმა თქვენთან დაგვაკავშირა“, – აკადემიკოს ალ. ბოიარჩუკის მსგავსად მეც შემოიძლია ვთქვა. ბაგონი ევგენი ჩემს მეხსიერებაში დარჩა მართლაც ნამდვილ ინტელიგენტად, წიგნიერ, ჰუმანურ ადამიანად; სიცოცხლის ბოლომდე ჩვენი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ აქტიურ მკითხველად.

ბიობიბლიოგრაფია შეადგინეს მ. ბარკაძემ, მ. მახარაძემ და ი. ცხვარიაშვილმა. რედაქტორები არიან შ. საბაშვილი და ნ. ფირცხალავა. ბიობიბლიოგრაფიული რედაქცია ეკუთვნის ი. დუდუჩავას.


ესარგებლობ შემთხვევით და უღრმეს მაღლობას მოვასხენებ ბაგონ ვიქტორ ჯაფიაშვილს, ქალბაგონ ნარგიმ და ბაგონ შალვა საბაშვილებს ბიობიბლიოგრაფიის შედგენაზე მუშაობისას გაწეული დიდი დახმარებისათვის.





დაუპიწყარ პიროვნებათა გამოცხადებული უბრძანებები


მოსკოვში გამომცემლობა „ნაუკამ“ 2003 წელს რუსულ ენაზე გამოსცა ლევან მგალობლიშვილის „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამი პრეზიდენტი: შტრიხები პორტრეტებისათვის“. წიგნს წინ უძღვის აკადემიკოს ბ. ე. პაგონის გამოხმაურება ამ გამოცემასთან დაკავშირებით და ავტორის წინასიგყვაობა, აღჭურვილია სათანადო დამხმარე აპარატით, ჩართული აქვს სურათები.





ინდოელი მწერლის ნაწარმოები ქართულად

ნინო წერეთელი გორის №2 საქალაქო ბიბლიოთეკაში მუშაობს. წარმატებულ პროფესიულ საქმიანობასთან ერთად, ეწევა შემოქმედებით მუშაობასაც, სწორედ ამის დასგურია მის მიერ თარგმნილი ინდოელი მწერლის რომანი „ქურდი“, რომელიც გორში 2004 წელს გამოიცა. როგორც ანოგაციიდან ვგებულობთ, რომანი „გულისშემძვრელი აღსარებაა პაგიოსანი, კეთილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავალჭირნანახი კაცისა, რომელმაც სამოგალოებაში ვერ იპოვა თავისი ადგილი და ცხოვრებაზე გული გაუტყდა“.

როგორც ვხედავთ, თემა თავისი აქტუალობით ჩვენთვისაც საინტერესოა. იმედია, ჩვენი მკითხველები გაეცნობიან ნ. წერეთლის ნათარგმნ წიგნს და პირუთვნელად შეაფასებენ მას.





მზია რაზმაძე

სტუმრად თურქ კოლეგებთან



პირველი შეხვედრა შედგა ანკარის გაზის უნივერსიტეტის პრორექტორთან თულან ოგურთან, რომელიც პასუხისმგებელია საბიბლიოთეკო საქმიანობის ყველა საკითხზე. თულან ოგურმა არაერთი თბილი სიტყვა თქვა ქართველი ხალხის, მათი განათლებისა და წიგნის სიყვარულის შესახებ და დასახა კონკრეტული პარგნიორული თანამშრომლობის პერსპექტივები.

2006 წლის იანვრის ბოლო კვირას, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში ბიბლიოთეკარების ჯგუფი გაემგზავრა, საბიბლიოთეკო საქმიანობის გასაცნობად.

მგზავრობის გარდა ყველა ხარჯი თურქულმა მხარემ გაიღო, ხოლო მგზავრობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააფინანსა.

ჯგუფი ძირითადად თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია რაზმაძე. ჯგუფის წევრები იყვნენ: ნანა კუპრაშვილი, მაია აბულაძე, უნივერსიტეტის მაგერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი თემურ გვიმრაძე და თარჯიმანი ელგუჯა ბარბაქაძე.



შემდეგ დელეგაცია გაზის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუშაობას გაეცნო. ბიბლიოთეკის დირექტორმა თანსილ ქანალაჰმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო. გააცნო ბიბლიოთეკის სტრუქტურა.

გაზის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 1982 წელს დაარსდა. ბიბლიოთეკაში მუშაობს 14 პროფესიონალი ბიბლიოთეკარი და 60 დამხმარე პერსონალი. ამათგან უმეტესობა სტუდენტ-

გია. ისინი თვეში 40 საათს ეხმარებიან ბიბლიოთეკას და პერსპექტივაში პოტენციური თანამშრომლები არიან. სტუდენტს შეუძლია 4 წიგნის გაგანა 5 დღით, მაგისტრს – 6 წიგნისა 1 თვით. დაგვიანებისათვის იხდიან ჯარიმას. წლიური დაფინანსება მხოლოდ დაკომპლექტებაზე 1, 5 მლნ ლოლარია. აქვთ 5-სართულიანი შენობა 10 000 კვ. მ ფართის. ფუნქციონირებს 200 კომპიუტერი. 1994 წლიდან დაინერგა ადგილობრივი ავტომატიზირებული სისტემა BLISS. ფონდის მიწოდება მთლიანად ავტომატიზებულია. გამოყენება თავისუფალი დაშვება. აქვთ 30 ათასი ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. ფონდი – 150 ათასი წიგნად ერთეულს შეადგენს.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ანკარის უნივერსიტეტი, სადაც ცენტრალური ბიბლიოთეკა არ არის. 40 000 სტუდენტს 15 ფაკულტეტი და 8 უმაღლესი სკოლა ემსახურება.

ანკარის საჯარო ბიბლიოთეკა 1950 წელს დაარსდა და დღემდე კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მიაჩნიათ, რომ უმჯობე-

სია იყვნენ დამოუკიდებლები.


აქვთ ორი 400 კაციანი დარბაზი მკითხველთათვის. ასევე საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზები. დღეში 2 000 მკითხველს ემსახურებიან, მუშაობს 200 თანამშრომელი, რომელთაგან 30 პროფესიონალი ბიბლიოთეკარია.

ფონდის მიწოდება მთლიანად ავტომატიზირებულია სისტემა ALEF-ის საშუალებით.


ბიბლიოთეკა მართავს სასწავლო კურსებს გამოყენებით ხელოვნებაში, აწყობს პოეზიის საღამოებს და კულტურულ კონფერენციებს.

ღირეფტორმა, ბაგონმა ჯალალ თოქმა დიდი სურვილი და მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის თაობაზე. მისი ვიზიტი საქართველოში დაგეგმილია ა/წ მაისში.

გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ საქართველოში თურქეთის საელჩოს ყოფილ თანამშრომელს რეჯაბ არსლანთურქს, ასეთი ლაზარია და საქმიანი ვიზიტის ორგანიზებისათვის.



საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები



8 ასული წლის 20 დეკემბერს გორის რაიონის სოფ. ნაჭარმაგვეში ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ინიციატივით გაიმართა კონფერენცია თემაზე „მრავალმხრივი დიპლომატიის პერსპექტივები ცხინვალის კონფლიქტის ეფექტური მართვის საკითხებში“. კონფერენციის მსვლელობაში ყურადღება გამახვილდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ინსტიტუტების როლის გააქტიურებაზე კონფლიქტის მონაში.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის სახელით კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ასოციაციის აღმასრულებელი ღირეფტორი გურამ თაყნიაშვილი.

□ 26 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკებთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს თბილისის დიდი ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატის დაფინანსებისა და ოპტიმიზაციის საკითხები მომავალი წლისათვის.


□ 27 დეკემბერს საქართველოს კულტურის,



ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში მოეწყო შეხვედრა ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების დირექტორებთან. სამინისტროს ბიუჯეტიდან თითოეული რაიონის მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკებს გადაეცათ 700 ლარის ვაუჩერი თითოეულს ახალი წიგნების შესაძენად.

□ 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის რესპუბლიკური საბავშვო, მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის სახელმწიფო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო, თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანების, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის, საქართველოს სახელმწიფო გექნიკური, თსუ ფუნდამენტური სამეცნიერო და სხვ. დიდი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი პირები, პროფკავშირების წარმომადგენლები. სხდომაზე მოისმინეს ყველა შემოთქმული ბიბლიოთეკის დაფინანსებისა და შემდგომი განვითარების საკითხები. სხდომას და-

ესწრო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საბიბლიოთეკო ექსპერტი ნინო მეიფარიანი. გადაწყდა, ფართო საზოგადოებრიობის წინაშე დააყენონ საკითხი ბიბლიოთეკების დღევანდელი პირობებისა და ბიბლიოთეკართა მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ. შეიმუშავეს მიმართვის გეგმა.

□ 27 თებერვალს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა სამინისტროსთან ახლადშექმნილი საბიბლიოთეკო დარგში რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებული კომისიის სხდომა. განიხილეს საბიბლიოთეკო დარგში მიმდინარე ოპტიმიზაციის, ბიბლიოთეკართა ხელფასების მომაგების საკითხი. აქვე ფართო მსჯელობა გაიმართა საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო და საქართველოს მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის შეერთების საკითხებზე. გადაწყდა, კომისიის წევრები გაეცნონ ამ ბიბლიოთეკების ახალ სტრუქტურასა და დებულებას. შემდეგ შესაძლებელია კომისიამ გამოთქვას თავისი მოსაზრებები შეერთებული ბიბლიოთეკების შესახებ.





ქება წიგნისა

ბრიგანეთის მუზეუმში ინახება ე. წ. ჩესტერ-ბიგის პაპირუსი (ძვ. წ. 1300 წ.) აქ პირველადაა განდიდებული მწერლის ღვაწლი. ტექსტი გამოქვეყნდა 1936 წ.

„წიგნის სამარხის წარწერაზე უფრო მნიშვნელოვანია, მგვიცელ ნაგებ სამლოცველოზე ძვირფასია. წიგნი გაძრებზე და პირამიდებზე გამძლეა.“

აღამიანი გარდაიცვალა, სხეული გაიხრწნა და ჩაიფერფლა, ყველა მისმა ახლობელმაც მიაგოვა დედამიწა, მაგრამ მისი ნაწერი რჩება აღმიანთა გულში და გონებაში. წიგნი ფართო

სახლზე სასარგებლოა, დასავლეთის სამლოცველოზე უფრო კეთილისმყოფელია, მდიდრულ სასახლეზე უკეთესია, გაძრის სამარხზე უფრო გამძლეა... განა ქაიროს შეედრები? აღარ არიან ნეფრი და ახგოი... რაც მათ იწინასწარმეგყველეს, ყველაფერი აღსრულდა. მათი სიბრძნე მათ წიგნებშია აღბეჭდილი. უცხოთა შვილები გახდნენ მათი მემკვიდრეები, ვითარცა ღვიძლნი... წავიდნენ, მაგრამ არ არის დავიწყებული მათი სახელები, ცოცხლობენ თავიანთ ნაწერებში და კაცობრიობის ხსოვნაში“.

წიგნები ღროის გაღლებზე მოხეციალე ამრის ხომალდებია, რომლებსაც თაობიდან თაობამდე სიფრთხილით დააქვთ თავიანთი ძვირფასი გვირთი.

ფ. ბეკონი

წიგნისა ცოდნა უენოს ენასა აადგმევინებს, გონებას მოხნავს, სიბრძნეს დათესს და ფესუსა გააღმევინებს.

სულხან-საბა ორბელიანი



დიდება მიიღწევა კეთილშობილებით, მაგრამ შთამომავლობისათვის შეინახება წიგნით.

პეტრარკა

რა უნდა მისცეს წიგნმა კაცს, რომელსაც ჭკუა არა აქვს, განა სარკე ბრმას დაეხმარება?

ჩინური ანდაზა





სსოპნა

ასპინძის რაიონის საბიბლიოთეკო სამოგადოებრიობას, ინტელიგენციას, მკითხველებს დიღხანს ემახსოვრებათ რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, შესანიშნავი მოქალაქე, პროფესიონალი ბიბლიოთეკარი და წიგნმცოდნე ვენერა შეყილაძე. მან თავისი მისაბაძი შემოქმედებითი საქმიანობით, ენთუზიაზმითა და შესაშური ერთგულებით ბოლომდე შეასრულა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის საპატიო მოვალეობა; დაგოვა ფრიად მო-



ლითო იყო მისი დამოკიდებულება წიგნისა და ბიბლიოთეკისადმი. ქ-ნმა ვენერამ კარგად იცოდა წიგნის ფასი და ადგილი თანამემამულეთა აღზრდის, განათლებისა და პროფესიული სრულყოფის საქმეში. მისი მცდელობით მოპოვებულ იქნა და დაიდგა პირველი კომპიუტერი ასპინძის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, რამაც სათავე დაულო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას რაიონის საბიბლიოთეკო სისტემაში.

წესრიგებული საბიბლიოთეკო სისტემა, რომელსაც იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში. თავისი პიროვნული თვისებებით, მოქალაქეობრივი შეგნებითა და რწმენით ვენერა შეყილაძე აგარებდა ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელ ღირსებებს; იყო გაწონასწორებული და სულიერად სრულყოფილი პიროვნება, რომლისთვისაც ყველაზე მაღლა იდგა პასუხისმგებლობის გრძნობა, მიმგვებლობა და მკითხველის ინტერესი. სამაგა-

განსვენებულის მიმართ ყოველთვის მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონდათ მის კოლეგებს, რაიონის ხელმძღვანელობას, მკითხველ სამოგადოებას; მისი სახელი და საქმე დიღხანს დარჩება ხსოვნაში რაიონის ინტელექტუალურ სამოგადოებას, საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს.

ასპინძის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანება, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია





ერთ-ერთი პირველი საბიბლიოთეკო კურსების გამოშვება – პედაგოგები და მსმენელები



საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაკთა შეხვედრა ქ. ხაკინასთან (1972 წ.)

სტაგისათვის: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკატშორისი აბონოქმენგი

ესმა
ონიანი
 1938-1999
 ფერწერა
 გრაფიკა
 პოეზია

საქართველო
 2003


ესმა ონიანის სამყარო

თიბისი ბანკის სააქტო დარბაზში 9 თებერვლიდან
 17 თებერვლამდე გამოფენილი იყო ცნობილი
 ქართველი მხატვრის, პოეტის, მრავალმხრივი
 პიროვნების, ჩვენგან ადრე წასული ადამიანის –
 ესმა ონიანის გამოფენა.

თუ რამდენად ნაყოფიერი შემოქმედი გახლდათ
 ის, ნათლად მეტყველებს მისი წიგნები –
 მისი მემკვიდრეობის უტყუარი მემკვიდრე.

ესმა ონიანი
 თეორიული სტუდიები

ესმა
 ონიანი



ესმა ონიანი
 რუბინად
 დაბრუნდა
 ფრინველები

